# ლელო

№019 (12 396) 25 იანვარი პარასკევი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ამხანაგური მატჩი. 6 თებერვალი. საქართველო-ლატვია

# ტოპის წყენა არ დაივიწყა: ხიზანიშვილი ისევ აუტშია

**გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა ლატვიასთან 6 თებერვლის მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა:**

მეკარეები: გიორგი მაკარიძე (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი).

მცველები: კახა კალაძე (მილანი, იტალია), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი).

ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), დავით კვირკველია (მეტალურგი ზ, უკრაინა), გოგიტა გოგუა (სპარტაკი ნ, რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა), ლევან ცქიტიშვილი (უკლუბოდ), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), დავით მუჯირი (კრილია, რუსეთი), შოთა გრიგალაშვილი (დინამო).

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), დავით სირაძე (პადერბორნი, გერმანია), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ნიკა გელაშვილი (ზესტაფონი).



ლევან მჭედლიძე, ზურაბ ხიზანიშვილი და კახა კალაძე



# ტოპის ხელფასი შედეგზე პკიდია

დღეს, გამთენიისას, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი თბილისიდან სანკტ-პეტერბურგს გაფრინდა, სადაც იოზეფ ბლატერსა და მიშელ პლატინის შეხვდება. რუსეთიდან კი ზაგრებს მიაშურებს და უეფას ალმასკომის სხდომას დაესწრება. თბილისში ჩამოსვლამდე ახალკაცს შვეიცარიაში კომპანია "ინფრონტი" უმასპინძლებს. გამგზავრებამდე ნოდარ ახალკაცს "ლელომ" ინტერვიუ სთხოვა...

**- როგორც გაცხადდა, კლაუს ტოპმიოლერი რამდენიმე დღეში გააფორმებს ახალ კონტრაქტს. ამბობენ, რომ ამ ხელშეკრულებაში მისი ხელფასი უფრო ნაკლებია. ასეა?**

- კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით კლაუს ტოპმიოლერთან რამდენიმე თვის წინ შევთანხმდით. კონტრაქტს ხელი მალე მოეწერება. ბუნებრივია, პრესკონფერენციასაც მოვიწვევთ და მედიის წარმომადგენლებთან დეტალებზეც გვექნება საუბარი. რაც შეეხება კლაუსის ხელფასს, მისი ანაზღაურება კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული ნაკრების მიერ ნაჩვენებ შედეგზე.

**- უკვე გადაწყვეტილი და შეთანხმებულია, რომ რალფ მინგე ტექნიკური დირექტორი იქნება?**

- ვნახოთ, მინგე საქმის კურსშია და ამ საკითხს მასთან ერთად მალე განვიხილავთ.

**- ნაკრების მიზანი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა. ჩადებულია თუ არა კლაუს ტოპმიოლერთან გასაფორმებელ კონტრაქტში მისი შესაძლო გაგრძელების პუნქტი?**

- ბუნებრივია. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში მწვრთნელთან კონტრაქტი გაგრძელდება.

**- ჰაინც ტოპმიოლერი და ჰერბერტ ცანკერი საქართველოში აღარ იმუშავებენ?**

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან 3

# ცქიტიშვილს ბირმინგემში მაკლიში ელოდება




**ლევან ცქიტიშვილი** ინგლისში მიემგზავრება. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი, რომელიც ნახევარ წელიწადზე მეტია, უკლუბოდაა, რამდენიმე დღის განმავლობაში „ბირმინგემ სიტის" შემადგენლობაში ივარჯიშებს და გუნდის თავკაც **ალექს მაკლიშისთვის** თავის მოწონებას შეეცდება.

შეგახსენებთ, ამ ცოტა ხნის წინ შოტლანდიელი მაკლიში თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა, ქართველებს გლაზგოში მან 2:1 მოუგო, თბილისში კი 0:2 დამარცხდა. უფრო ადრე კი, „რეინჯერსში", მისი შეგირდები **შოთა არველაძე** და **ზურაბ ხიზანიშვილი** იყვნენ.

დავით თავართქილაძე



# თასი პვიას!

კალათბურთი. საქართველოს თასის ფინალი 10

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# ტოპმიოლერის ხელფასი შედეგებზე იქნება დამოკიდებული



ნოდარ ახალკაცი

*პირველი გვერდიდან*

- ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია, თორემ ამას არც დავმალავდით. გერმანელი მწვრთნელების საქართველოში ჩამოყვანის პირველივე დღიდანვე ვამბობდით, რომ ნაკრებ გუნდებში საჭიროა ქართველი მწვრთნელების ინტეგრაცია და ეს განვახორციელეთ კიდეც. ჩვენ გვინდა, პრესკონფერენციაზე სრული კონცეფციით წარვსდგეთ მედიის წინაშე. ამ კონცეფციის კომპონენტებია ტალანტების აღმოჩენა, ბავშვთა, ჭაბუკთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარების პოროგრამა, ახალგაზრდული ნაკრები გუნდები და ა. შ.

**- ჩვენი ინფორმაციით, 17-წლამდელთა ნაკრებს გელა შეყილაძე უთავკაცებს, 19-წლამდელებს კი ზაურ სვანაძე...**

- ეს ვერსია ჩვენი ერთ-ერთი ვარიანტია, მაგრამ ეს ზოგადი კონცეფციის ნაწილია და ჯერ დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. ზაურ სვანაძისა და გელა შეყილაძის კარიერა როგორც ფეხბურთელებისა და როგორც მწვრთნელების ყველამ კარგად იცის და მათზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვით. მათ ეს თავისი საქმიანობით, პროფესიონალიზმითა და ცხოვრების წესით დაამტკიცეს.

**- თუ მოვლენები ასე განვითარდა, ზაურ სვანაძეს შვედური GMMF-ის დატოვება მოუწევს...**

- ცხადია, ასე იქნება. 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელობის შემთხვევაში, ზაურ სვანაძის შვედეთში მუშაობის ალბათობა ნულამდე იქნება დასული. 19-წლამდელთა ასაკში ფეხბურთელებზე ჩვენ დიდ ინფორმაციას ვფლობთ, მაგრამ ამ ასაკში ფიზიოლოგიურად ახალგაზრდა ფეხბურთელი მალე იცვლება და გარკვეული სასელექციო სამუშაოები კიდევ იქნება ჩასატარებელი. ასე რომ, კომპლექსური და შრომატევადი საკითხებია და ვერ წარმომიდგენია ამისი გაკეთება შვედეთში პარარელურად მუშაობის რეჟიმში.

**- ამ ვარიანტის რეალობად ქცევის შემთხვევაში, ეროვნულსა და ახალგაზრდულს თითო მწვრთნელ-ასისტენტი მოაკლდება. მათ ადგილს სხვები ხომ არ დაიკავებენ და ვინ იქნებიან ისინი?**

- დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ რომელ პოსტს დაიკავებს და რა გადანაცვლებები მოხდება, თუ თარილებში თანხვედრა არა იქნება, ყველა ასაკის ნაკრებთა მწვრთნელებს ვთხოვთ, გარკვეული დრო გაატარონ ეროვნული ნაკრებთან ერთად. კლაუს ტოპმიოლერის დონის სპეციალისტთან მუშაობა ყველასთვის სტაჟირების საუკეთესო საშუალებაა.

**- ციურიხში "ინფრონტის" ხელმძღვანელობას შეხვდებით. ეს კომპანია ჩვენი ეროვნული ნაკრების სატელევიზიო ექსკლუზიურ უფლებას ფლობს და როგორც გავიგეთ, "ინფრონტისგან" ფედერაცია 1.9 მილიონ ევროს მიიღებს. ასეა თუ შესაძლებელია, ეს თანხა კიდევ გაიზარდოს?**

- ესა თუ ის თანხა და ციფრი ხშირად გაჟღერებულა, მაგრამ ბოლოს რეალობისგან შორს ყოფილა. "ინფრონტთან" გაფორმებულ კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც თანხის კონფიდენციალობას ითვალისწინებს და ვალდებული ვართ, ეს პირობა დავიცვათ. "იფრონტთან" ჩვეულებრივი რიგითი შეხვედრა გველის და არა გადამწყვეტი. დიდი ხანია, ორი მხრიდანაა აუდიენციის სურვილი. ამ პერიოდში ევროპაში ვიქნებით და ზაგრებში დანიშნულ უეფას აღმასკომის სხდომას "მივაბით" ეს შეხვედრა. ასე რომ, თბილისისკენ მომავალ გზაზე შვეიცარიაში ერთი დღით შევყოვნდებით.

**- "ინფრონტთან" კონტრაქტი ხომ არ გაგრძელებულა?**

- მოქმედი ხელშეკრულება 2006 წელს გავაგრძელეთ და 2013 წელს მთავრდება. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ "ინფრონტთან" კონტრაქტი არ გაგრძელებულა.

**- რამდენიმე დღეში ეროვნული ნაკრები ლატვიასთან მატჩისთვის მზადებას დაიწყებს...**

- შეკრება 4 თებერვალს დაიწყება. შედარებაც კი არ შეიძლება იმ სიტუაციასთან, რაც იყო ორი წლის წინ. მაშინ ეროვნული ნაკრების წევრ-კანდიდატებზე მწვრთნელებს ინფორმაციაც კი არ ჰქონდათ. ახლა კი არა მარტო ინფორმაციას ფლობენ გაფართოებულ სიაში მყოფი წევრ-კანდიდატების შესახებ, არამედ მწვრთნელებს ისინი გამოცდილი ჰყავთ საერთაშორისო დონის ამხანაგურ და ოფიციალურ მატჩებში. უფრო მეტიც, უკვე არსებობს ნაკრების ბირთვი, რომელიც გამობრძმედილი და ჩამოყალიბებულია ევროპულ და არაევროპულ ნაკრებებთან პაექრობაში... არიან ახალი სახეები, ახალგაზრდა, მაგრამ დიდი ტალანტის მქონე მოთამაშეები... ახლა კი ამ ყველაფერს შეზავება ესაჭიროება. ეროვნული ნაკრების შტაბთან ერთად უკვე დავგეგმეთ 2008 წლის პროექტი და მას განვახორციელებთ კიდეც.

**- იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ ამ პროექტის შესახებ...**

- თებერვლისა და მარტის ამხანაგური მატჩები საექსპერიმენტოდ უნდა გამოვიყენოთ. ამის შემდეგ ჩვენ მაისში, ევროპაში ერთკვირიანი მოსამზადებელი შეკრება გვაქვს დაგეგმილი ორი ამხანაგური მატჩით. მაისში ამ შეკრებაზე ის შემადგენლობა წავა, რომელიც მეტნაკლებად მიახლოებული იქნება იმ კონტინგენტთან, რომელიც სექტემბერში შესარჩევ ციკლს დაიწყებს. 20 აგვისტოს უელსთან ამხანაგურ მატჩში კი ის შემადგენლობა იასპარეზებს, რომელიც საკვალიფიკაციო ეტაპს სექტემბერში დაიწყებს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაკრებში ადგილი არავის აქვს დაჯავშნული, ვნახოთ, ვინ როგორ წარმოაჩენს თავს.

**- გიორგი გაბაშვილი ფეხბურთის ფედერაციასთან აქტიურად თანამშრომლობდა და არაერთ მნიშვნელოვან პროექტში მიიღო მონაწილეობა. სამთავრობო ცვლილებების შედეგად, იგი ამ თანამდებობაზე აღარ იმუშავებს. ეს ცვლილება რამდენად იმოქმედებს ფედერაციასთან ურთიერთობებსა და ფეხბურთის განვითარებაზე?**

- არა მგონია, მთავრობის რომელიმე წარმომადგენელთან რაიმე პრობლემა გვქონდეს, რადგან საერთო ინტერესი გვაქვს – ქართული ფეხბურთის განვითარება. ასე რომ, ინტერესთა სრული თანხვედრაა. გიორგი გაბაშვილი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრია და სპორტის სამინისტროსთან მართლაც აქტიური თანამშრომლობა გვქონდა, ბევრი პროექტი ერთად განვახორციელეთ და მჯერა, ეს აქტიური პარტნიორობა მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენი ფეხბურთის განვითარებას საკმაოდ იმედიანად ვუყურებ და სახელმწიფოსთან თანამშრომლობით მჯერა, დიდ წარმატებებს მივაღწევთ.

**- არჩევნების შემდგომი ვნებათაღელვა უკვე ჩაცხრა და სახელმწიფო სპორტს მეტ დროს დაუთმობს. ალბათ, მალე ამოქმედდება სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ფეხბურთისა და რაგბის განვითარებას მოიცავს...**

- ამ საკითხზე კონსულტაციები და შეხვედრები არ შეწყვეტილა. ამ საკითხში გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და მოკლე ხანში ამ პროექტის ამოქმედებაც დაიწყება. 2008 წელი ქართული ფეხბურთისა და რაგბისათვის მნიშვნელოვანი წელი იქნება.

დავით ცაბაძე



ბექა გოცირიძე რუსეთთან მატჩში

# გოცირიძე ნაკრებში გამოიძახეს, ნალჩიკი ჩაიშალა

## ვიცი, რომ განუგრავა ბაზელთან კონტრაქტს აფორმებს

ბექა გოცირიძემ დაადასტურა, რომ ის საჭირო ფეხბურთელია და არა ვილაცის ფავორიტი. გაიოზ დარსაძე ნაკრებსა და ფედერაციას ჩამოშორდა, ნიჭიერ თავდამსხმელს კი ეროვნულ გუნდში კვლავ უხმეს. კალუს ტოპმიოლერმა ლატვიის ნაკრებთან გამოძახებულები დაასახელა და სიაში 20 წლის თავდამსხმელიც მოხვდა. „ზესტაფონსა" და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშით ბექამ ყველას აჩვენა, რომ ბევრი შეუძლია. თუნდაც რუსეთთან შეხვედრა რად ღირდა, როდესაც დაამტკიცა, რომ პერსპექტიული ბიჭია და შრომა დაუფასდა. ბექა ინტერვიუებს ერიდება, გამოჩენას ჩრდილში დგომა ურჩევნია, მაგრამ ამ შემთხვევაში, სხვა რა გზა იყო - ნაკრებში გამოძახება განსაკუთრებული შემთხვევაა.

**- ბექა, გილოცავ ნაკრებში გამოძახებას.**

- მართლა გამომიძახეს?

**- ფედერაციის ვებ-გვერდზე განცხადება უკვე გამოქვეყნდა.**

- წინასწარ კი მითხრეს, მაგრამ მერიდებოდა ამაზე საუბარი.

**- შენი გამოძახება მოულოდნელი იქნებოდა.**

- მოულოდნელიც და ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიხარულია. ეროვნული ნაკრები ხუმრობა არაა, ეს ჩემთვის უდიდესი სტიმულია. ბედნიერი ვარ, მაგარი გრძნობაა.

**- თავიდან იფიქრე, რომ გაფართოებულ სიაში მოხვდი?**

- ზუსტად არ ვიცოდი, გაფრთოებულ სიაში ვიქნებოდი, თუ საბოლოო შემადგენლობაში. ფაქტია, რომ გამომიძახეს. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე მაინც არ მჯეროდა და ტოპმიოლერს ნდობისთვის მადლობა მინდა ვუთხრა.

**- შენ და გიორგი განუგრავა განუყრელი მეგობრები ხართ. სამწუხაროდ, თქვენი გზები გაიყო, შენ ისევ ნაკრებში დაგაბრუნეს, გიორგი კი ერთი წელია, არსად თამაშობს. შენი აზრით, შეძლებს ნაკრებს ხელმძღვანელობის ყურადღების მიქცევას?**

- ეჭვიც არ მეპარება. გიორგი ძალიან დიდი პოტენციალის ფეხბურთელია და თავის სიტყვას რომ იტყვის, ორი აზრი არაა. გულით მინდა, მასთან ვითამაშო. იგი არაა ჩვეულებრივი ფეხბურთელი. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ხუთი თითივით ვიცნობ. მოედანზე რომ არის, მისი სხვაგვარად მეიმედება. თამაშის ხედვა აქვს და ძალიან შრომისმოყვარეა. საბედნიეროდ, ის ახლა სწორ გზას დაადგა, მალე განუგრავაზე ისევ ალაპარაკდებიან.

**- მართალია, რომ ჩეხურ კლუბში ჩაირიცხა?**

- ეს მეც გაზეთებიდან გავიგე. ზუსტად ვერაფერს გეტყვით, ისე კი ვიცი, რომ შვეიცარიაში, „ბაზელში" ვარჯიშობდა და დღე-დღეზე კონტრაქტი უნდა გააფორმოს.

**- პირადად შენ ნალჩიკის „სპარტაკში" ტრანსფერი ჩაგეშალა?**

- ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. „ზესტაფონი" ჩემპიონობისთვის იბრძვის, მე ძირითადის ფეხბურთელი ვარ და ასეთ დროს გუნდიდან ვერავინ გამიშვებს. არა უშავს, ყურებს არ ჩამოვყრი, არც დროს უიმედობაა, ნაკრებში გამომიძახეს.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge





ერთი კვირის ათასი წვრილმანი

# ტოპიმ წყენა არ დაივიწყა: ხიზანიშვილი ისევ აუტშია


ხიზანიშვილს ნაკრების მაისურა ტოპმიოლერმა გახადა

**6 თებერვალს კლაუს ტოპმიოლერის** განვრთნილი საქართველო 2008 წლის პირველ მატჩს ითამაშებს.

ტოპის ხელში ჩვენი უპირველეს გუნდს აქვს არცთუ უმნიშვნელო წარმატებები - საქართველომ მოუგო ურუგვაის და თურქეთს.

ახლა ტოპმიოლერს უკვე მოთავე-ბული აქვს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა შესწავლა - ასეთია მასთან კონტრაქტის გახანგრძლივების ერთ-ერთი საფუძველი და ტოპიც ვე-ღარ იტყვის, ახალ-ახალ ფეხბურთე-ლებს ვუტარებ სანაკრებო გამოცდებს, კადრების მოძიების პროცესში ვარო.

მოკლედ, ტოპმიოლერს უკვე შემოეცალა თავის გასამართლებლად ერთ-ერთი მყარი არგუმენტი და, თუ ფეხი დაუცდება, ვინ აღარ წამოაძახებს იმას, რომ ნაკრებში აღარ იწვევს **ზურაბ ხიზანიშვილს და ალექსანდრე იაშვილს.**

ხიზანიშვილი **კახა კალაძემაც** გააკრიტიკა, დავა პრესაში რომ გადაიტანა, არასწორად მოიქცაო. კალაძის კრიტიკა არგუმენტირებულია, თუ გუნდში ერთიანობა და გუნდურობაა, ყველაფერი გუნდშივე უნდა ჩაითუთქოს და ჩაიფარცხოს. მაგრამ როცა ასე არ ხდება, ეს მხოლოდ ხიზანიშვილის ბრალია? თუ ხიზანიშვილს ნაკრებელი თანაგუნდელების და მათ შორის გუნდის კაპიტნის იმედი აქვს, რატომ იცლება ემოციებისგან ინტერვიუებში?

ფაქტია, ხიზანიშვილის ინტერვიუებმა ტოპი გაანაწყენა და ზურა ლატვიასთან მატჩისთვის არ გამოიძახა. ეს არის სასჯელი ფეხურთელისთვის? ასეთია სახელგანთქმული მწვრთნელის მეთოდი? დაავიწყდა ჰერ კლაუსს, რომ გვეუბნებოდა, საქართველოს ნაკრებს შვიდი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს, რომელთა სრულფასოვანი შემცვლელი არ მეგულებაო? ამ შვიდეულში შედიოდა ხიზანიშვილიც, მაგრამ ახლა ტოპმიოლერმა აზრი შეიცვალა.

ეროვნულ ნაკრებში უხმეს 19 წლის **ამირან სანაიას.** ის „ლე მანამდე" „ზესტაფონის" ფეხბურთელი იყო. სანაიას ჯერ არ უთამაშია „ლე მანში". სანაიას მუხლის ტრავმა აწუხებს და ლიტვასთან მისი თამაში სათუოა.

ტოპიმ კიდევ ერთ ახალგაზრდა მცველს უხმო - 20 წლის **გიორგი ხიდეშელი** ეროვნულ ნაკრებში პირველად **გაიოზ დარსაძემ** გამოიძახა 2006 წლის მუნდიალის შესარჩევში, თუმცა მაშინ ხიდეშელს მოედანზე გასვლა არ ღირსებია.

ეროვნულ ნაკრებში ერთხელაც გამოიძახეს 21 წლის **შოთა გრიგალაშვილი.**, მოქნილი და მოძრავი შუახაზელი, საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელი. ის ტოპიმ შარშან, ყატართან ამხანაგურ მატჩში ათამაშა, რომელშიც გააძევეს.

ასევე გამოძახებულია **ლევან ცქიტიშვილი.** ნახევარი წელია, უგუნდოდაა, მაგრამ ტოპისთვის ის ჯილაა. ალბათ არ არსებობს იმის ანალოგი, რომ ნახევარი სეზონი უგუნდოდ მყოფ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში იწვევდნენ. არ გვგონია, ლიტვასთან თამაში ცქიტიშვილს გუნდის მოძებნაში დაეხმაროს. მისი შესაძლებლობები ყველამ ისედაც კარგად იცის. „ბურთის ამოტანაში" ცქიტიშვილი ძალიან ძლიერია, რაც მას ერთობ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნაკრებში.

საინტერესოა, რა ამპლუას გამოუძებნის ტოპი **დავით მუჯირს.** სისწრაფე და დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება ნამდვილად არ არის მუჯირის კოზირი. ნახევარდაცვის ცენტრში აქცენტი კეთდება **ლევან ყენიაზე, გოგიტა გოგუასა** და გრიგალაშვილზე, მუჯირის ადგილი იქ არ ჩანს, ის სულ სხვა ტიპის მოთამაშეა.

ტოპმიოლერმა ნაკრებში პირველად უხმო 19 წლის **ბექა გოცირიძეს.** ეს ჩია და აგრესიული ტიპის შემტევი თავის დროზე დარსაძის ჯილა იყო და ასაკობრივ ნაკრებებშიც ჯერ კიდევ სამი წლის წინ თამაშობდა.

როგორც ჩანს, ტოპი ნაკრებში აღარ გამოიძახებს **გიორგი დემეტრაძეს,** ვისაც წლეულს 32 წელი უსრულდება. წინა შესარჩევში დემეტრაძე რამდენჯერმე კარგად გამოადგა ნაკრებს. მას ყოველთვის უჭირდა რიგიანად გარჯა გრანდ ნაკრებებთან, მაგრამ შედარებით სუსტ მეტოქეებთან ხშირად მოუტანია ხეირი საქართველოს ნაკრებისთვის.

ტოპმიოლერის გემოვნებაში აღარ ჯდება კარლსრუელი იაშვილი. თქმა არ უნდა, ტოპი მისი არგამოძახებით რისკზე მიდის.

ევროპის საუკეთესო ლიგებში ხუთი ქართველია, მათგან ერთმა, **შოთა არველაძემ** სანაკრებო კარიერა დაასრულა. დანარჩენი ოთხიდან ორს, იაშვილსა და ხიზანიშვილს ტოპი ნაკრებში აღარ იწვევს და ოდენ კალაძეს და **ლევან კობიაშვილს** ეყრდნობა.

ღმერთმანი, დიდად უცნაური ამბავია.

დავით თავართქილაძე

**P.S** ოთხშაბათს ზურაბ ხიზანიშვილმა ბლექბერნთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა

ტრანსფერი

# ზესტაფონმა ნიკა გელაშვილი გაიფორმა

**ნიკოლოზ გელაშვილის** სავარაუდო ბელგიური ტრანსფერის შესახებ საუბარი დასრულდა - „ვიტ ჯორჯიასა" და საქართველოს ნაკრების 22 წლის ფორვარდმა კონტრაქტი „ზესტაფონთან" გააფორმა. გელაშვილმა ფეროელებთან სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

გუშინვე „ზესტაფონი" ბელექში გაემგზავრა შეკრებაზე და გელაშვილიც თან იახლა. თურქეთში იმერული კლუბი 9 თებერვლამდე დარჩება. „ზესტაფონი" იქ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, მისი პირველი მეტოქე 1 თებერვალს ვლადიკავკაზის „ალანია" იქნება.

„ზესტაფონში" არ დაბრუნებულა ბრაზილიელი **სანტოსი,** რომელიც შეგახსენებთ, საქართველოდან მეუღლის გაუპატიურების გამო წავიდა. მისი თანამემამულე **ჟონატასი** კი თურქეთის ნაცვლად, სეზონის მეორე ნახევრისთვის „ზესტაფონის" დუბლშემადგენლობასთან ერთად მოემზადება.

თურქეთში „ზესტაფონის" შემდეგი ფეხბურთელები გაემგზავრნენ:

მეკარეები: **გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე, ნიკოლოზ ჯალალონია.**

მცველები: სევასტი თოდუა, შალვა ლონლაძე, ედიკ საჯაია, როინ ონიანი, გიორგი ხიდეშელი, უჩა ლობჟანიძე, ზურაბ ბახტურიძე, გიორგი ხუმარაშვილი.

ნახევარმცველები: ჟილვან ვიეირა, ნიკოლოზ კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, პოლ კესანი, ალექსი ბენაშვილი, ლაშა საცერაძე, თორნიკე გორგიაშვილი, გიორგი გავაშელაშვილი, ტარიელ სოფრომაძე.

თავდამსხმელები: ზურაბ იონანიძე, ბექა გოცირიძე, ეტიენ ბიტოო, ნიკოლოზ გელაშვილი.

ლევან ჯანეზაშვილი


ნიკა გელაშვილი



ავტორადიო თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# მოდებაძემ ამქარში გაიტანა



ირაკლი მოდებაძე

პერმის „ამკარის" მთავარ მწვრთნელად ჩერნოგორიელი **მიოდრაგ ბოჟოვიჩი** დანიშნეს. მან გუნდი მოსამზადებლად თურქეთში წაიყვანა. რუსული პრესა ამტკიცებს, რომ „ამკარი" საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და მხოლოდ ორიოდე ძლიერი მოთამაშე სჭირდება, რუსეთის პრემიერლიგის ლიდერებს რომ შეუტიოსო.

თავად ბოჟოვიჩს კი გადაწყვეტილი აქვს, გამორჩეული თავდამსხმელი უნდა შევიძინო და მართლა კარგად მექნება საქმეო. მას აგენტები მრავალ კანდიდატურას სთავაზობენ, ერთ-ერთი მათგანი ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ყოფილი ფორვარდი **ირაკლი მოდებაძეა.**

როგორც „ამკარის" ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, დროებით გუნდს ბულგარელი **მარტინ კუშევი** გამოაკლდა, რომელიც სამშობლოში შვილის დაბადების გამო ორიოდე დღით გაუშვეს. მის არყოფნაში ჩერნოგორიელმა სპეციალისტმა **ალექსანდრ გლების** უმცროსი ძმა, **პაველი** და **ირაკლი მოდებაძე** გასინჯა.

23 წლის ქართველმა პერმელთა შემადგენლობაში ითამაშა საკურორტო ქალაქ კუნდუში, ალმატის „კაირატის" წინაალმდეგ და თავიც გამოიჩინა. რუსების მიერ გატანილი ერთადერთი ბურთი მოდებაძის ანგარიშზეა. ანგარიში ყაზახებმა მეოთხე წუთზე გახსნეს, რუსებმა მხოლოდ 61-ე წუთზე გაათანაბრეს. ირაკლიმ სამიოდე მეტრიდან დამატებაზე ყველას დაასწრო.

ვებ-გვერდის ინფორმაციით, ქართველ თავდამსხმელს „ამკარში" ჩარიცხვის დიდი შანსი არ გააჩნია - საეჭვოა, რომ სამი მეტრიდან გატანილი ბურთი მოდებაძის პერმელებთან კონტრაქტის გაფორმების გარანტიად გამოადგესო.

ირაკლი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა. ბოჟოვიჩი კი ამბობს, რომ თავდასხმელის ძიებას კვლავაც აგრძელებს. ინფორმაციიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ქართველს გუნდიდან გაუშვებენ. თუმცა ნუ ვიჩქარეთ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

მერაბ მამულაშვილი



გაგრის სპორტული დირექტორი გია გეგუჩაძე

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# გაგრამ ანთალიაში სპარინგი გამართა

პირველლიგელმა „გაგრამ" ანთალიურ შეკრებაზე პირველი საკონტროლო მატჩი ითამაშა - ყაზახურ „ალმათასთან" 1:2 წააგო.

„გაგრის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო:

**ხომერიკი - ქაჯაია, ქჟრივიშვილი, კვანტალიანი, თოთაძე - ცხადაია, ხელაძე, ჩარგეიშვილი - ძაგანია, სუხიაშვილი - შარიქაძე.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ჩოჩია, ყიფიანი, დათუნაშვილი, კორითაძე, ლალიანი და აბაშიძე.**

პირველ ტაიმში გოლი არ გასულა, მეორეში „გაგრა" ზაზა დათუნაშვილმა დააწინაურა, მაგრამ გაგრელელებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. „გაგრაში" გვითხრეს პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჯობა, მეორეში პირიქით კი მოხდა, მაგრამ არწასაგები თამაში წავაგეთო.

„ალმათა", რომელსაც ჰოლანდიელი სპეციალისტი წვრთნის, ყაზახეთის ჩემპიონატში ამ დროისთვის მე-6 ადგილზეა.

მომდევნო საკონტროლო მატჩს „გაგრა" ანთალიაში 26 იანვარს ითამაშებს მეორელიგელ „ობერჰაუზენთან", 27-ში ლვოვის „კარპატს" გაეჯიბრება, 30-ში კიდევ ერთ ყაზახურ გუნდს, ხოლო 31 იანვარს და 3 თებერვალს სავარაუდოდ რუმინულ გუნდებს ესპარინგება. „გაგრა" საქართველოში 4 თებერვალს დაბრუნდება.

დავით თავართქილაძე

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20

# ფაზისსა და მეშახტეს პირველი ლიგიდან გავარდნა ემუქრებათ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგის დასავლეთ ზონაში მოასპარეზე რაჭის „ფაზისსა" და ტყიბულის „მეშახტეს" 31 იანვრამდე მისცა ვადა, რათა დაფარონ საწევრო თანხის დავალიანება. წინაალმდეგ შემთხვევაში, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომაზე იქნება გატანილი ჩემპიონატში მათი შემდგომში მონაწილეობის საკითხი. ალსანიშნავია, რომ ამ გუნდებმა საწევროს თანხის ნაწილი სეზონის დაწყებამდე უკვე შემოიტანეს."

კომენტარისთვის ლიგის გენერალურ მდივანს, **პაატა ბურჯალიანს** მივმართეთ.

*„ორივე გუნდი პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში ასპარეზობს. მათ ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში მივმართეთ, რომ თვის ბოლომდე საწევრო გადაეხადათ, სხვაგვარად, ლიგიდან მოვკვეთავდით. სამწუხაროდ, ჩვენი მიმართვას რეაგირება არ მოჰყოლია და საგანგებო განცხადება ამიტომ გახდა საჭირო. ტყიბულელებს საწევრო თანხის უფრო მეტი ნაწილი აქვთ შემოტანილი, ვიდრე რაჭველებს, მაგრამ საერთო სურათს ესეც ვერ შეცვლის. გუნდები თანხას ლიგას არ უხდიან, ეს ჩემპიონატის ნორმალური წარმართვისთვის, მსაჯებისა და კომისრების მატჩებზე მისავლენად არის საჭირო.*

*ჩვენ გვსურს, ამ კლუბების ხელმძღვანელებს შევახსენოთ, რომ შარშან ანალოგიური მიზეზით, სეზონის დაწყებამდე უმაღლესი ლიგიდან ქუთაისის „ტორპედო" და საჩხერის „ჩიხურა" მოვკვეთეთ, რაც ძალიან მძიმე გადაწყვეტილება გახლდათ. „ტორპედო" ჩვენი ფეხბურთისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და აქედან ყველას დასკვნა უნდა გამოეტანა. ასეთ სახელოვან გუნდს მკაცრად რომ ვექცევით, სხვებს ხელს ნაღდად არ დავაფარებთ.*

*ამ ყოველივეს მიზანი უმაღლეს და პირველ ლიგაში მდგომარეობის გამოსწორება გახლდათ. ყველა კლუბი ელემენტარულ პირობებს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. როდესაც გუნდი საწევრს ვერ იხდის, ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი ფეხბურთელებს ხელფასსა და პრემიებს დროულად უხდიდეს და დავალიანება არ ჰქონდეს. ჩვენ არავის დასჯა გვსურს, მხოლოდ უკეთესი და გაცილებით ჯანსაღი ვითარება გვინდა ქართულ ფეხბურთში დავამყაროთ. ასეთი პრეცედენტები კი ამ მიზნისკენ ყველანაირად ხელს გვიშლის და მასთან შეგუებას არ ვაპირებთ. ასე რომ, სანამ დროა, „ფაზისმა" და „მეშახტემ" ვითარება უნდა გამოასწორონ, თორემ პირველ ლიგას დაემშვიდობებიან."* - განაცხადა ბურჯალიანმა.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შონ რაიტ-ფილიპსი ჯოლეონ ლესკოტის წინააღმდეგ

ინგლისის ლიგის თასი. ნახევარფინალი. განმეორებითი მატჩი

# ლონდონური დერბი უემბლიზე

## არისტოკრატები მეორე შემადგენლობით თამაშობენ და იმარჯვებენ...

**ევერტონი–ჩელსი 0:1 (1:2)**

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ფილ ნევილი, ნუნო ვალენტე, არტეტა, კაჰილი, კარსლი (70. ანიჩებე), ფერნანდესი (78. ვოგანი), ჯაგიელკა, ოსმანი, ენდი ჯონსონი.

**ჩელსი:** ჩეხი, ალექსი, ბელეტი, ბრიჯი, კარვალიო, ჯო კოული (82. პისარო), მაკელელე, მალუდა (90. ემლი კოული), სიდველი, რაიტ-ფილიპსი, ანელკა (90. ბენ ჰაიმი).

**გოლები:** 0:1 ჯო კოული (69)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 9(8)-21(9); **ჯარიმა:** 16-10; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 37 086

ინგლისის ლიგის თასის ფინალში ლონდონური დერბი გაიმართება. "ტოტენჰემს" მეტოქედ "ჩელსი" ერგო. "არისტოკრატებმა" განმეორებით შეხვედრაშიც დაამარცხეს "ევერტონი" და ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება. "ჩელსი" ლიგის თასის შენარჩუნებას ეცდება. გამარჯვებულის ვინაობა 24 თებერვალს, "უემბლიზე" გახდება ცნობილი. 23 თებერვალს "ტოტენჰემსა" და "ჩელსის" პრემიერლიგაში ეთამაშათ. თასის გამო მათი მატჩი მოგვიანებით ჩატარდება. "ტოტენჰემმა" ფინალის საგზური ერთი დღით ადრე გაინაღდა. მან "არსენალს" 5:1 სძლია. "ტოტენჰემი" "ჩელსის" 1967 წლის ასოციაციის თასის ფინალში შეხვდა და 2:1 მოუგო.

ოთხშაბათს ერთადერთი გოლი **ჯო კოულმა** გაიტანა. "ჩელსის" რვა ფეხბურთელი აკლდა, ამათგან ექვსი - **ფრენკ ლემპარდი, ჯონ ტერი, მიხაელ ბალაკი, ანდრეი შევჩენკო, მიკაელ ესიენი** და **დიდი დროგბა** - ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა, ხოლო ორი - **სალომონ კალუ** და **ჯონ ობი მიკელი** - სათადარიგო, რომელთაც მწვრთნელი ყოველთვის ენდობა. თამაშის წინ გამოჯანმრთელდა **შონ რაიტ-ფილიპსი**. ნახევარდაცვის ცენტრში **სტივ სიდველმა** ითამაშა, ხოლო დაცვის მარცხენა ფლანგზე **ეშლი კოული უეინ ბრიჯმა** შეცვალა.

შეხვედრა "ჩელსის" შეტევებით დაიწყო. **ალექსმა** საჯარიმო ცოცხალ კედელს გაარტყა. რაიტ-ფილიპსის დარტყმისას ბურთი მცველს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. მეცხრე წუთზე **პეტრ ჩეხს** თამაშში ჩართვა მოუხდა. **ჯოლეონ ლესკოტი მიკელ არტეტას** კუთხურს გამოეხმაურა და თავით ძლიერად დაარტყა. "ჩელსის" მეკარემ ეფექტური სეივით ბურთი ისევ კუთხურზე გადააგდო. "არისტოკრატები" ფრთხილი ტაქტიკით თამაშობდნენ. ისინი დიდი ძალებით იცავდნენ თავს და წინ მარტო **ნიკოლა ანელკა** ჰყავდათ. არბიტრმა **ლი კარსლი** რაიტ-ფილიპსის მოცელვისათვის გააფრთხილა. ანელკამ **ტიმ ჰოვარდს** დაბალ კუთხეში დაურტყა, ხოლო **ფლორან მალუდამ** ხელსაყრელი მდგომარეობიდან ბურთი ტრიბუნებზე გააფრინა.

შესვენების შემდეგ პირველსავე წუთზე ანელკამ დიდებული მომენტი შექმნა. მან მეტოქის საჯარიმოში თავისუფალი სივრცე მოძებნა, შემოტრიალდა და ძლიერად დაარტყა. ბურთი **ფილ ჯაგიელკას** მოხვდა, შემდეგ კი ხარიხას დაეძგერა. ევერტონის საპასუხო შეტევესის ფილ ნევილმა ჩეხის ოსტატობა შორიდან მოსინჯა. ამასობაში, 69-ე წუთიც დადგა. "ჩელსიმ" სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, მალუდამ ჯო კოულს გრძელი პასი გაუკეთა. მან კი აუღელვებლად შეაგდო. დარჩენილ დროში არისტოკრატებს თამაში აღარ გაუმწვავებიათ და საქმე მშვიდად მიიყვანეს დასასრულამდე.

ინტერვიუ ადრიანოსთან

# აღარ დამიძახოთ იმპერატორი...

## ადრიანო ნანობს, რომ წელიწადნახევარი ტყუილად დაკარგა

ადრიანო ბრაზილიურ "სან პაულოში" კარგად მოეწყო და ერთ-ერთ ბოლო მატჩში დუბლიც მიითვალა. არენდის პერიოდი ივნისის ბოლოს მთავრდება. დაბრუნდება თუ არა "იმპერატორი" "ინტერში?" ამასწინათ, მას ეს კითხვა ბრაზილიურმა პრესამაც დაუსვა. ადრიანომ ჟურნალისტს არაორაზროვნად მიუგო: "ნერაძურიში" დაბრუნება ძალიან კი მინდა, მაგრამ არ ვიცი, რამდენად შესაძლებელი იქნება ეს, ვიდრე იქ რობერტო მანჩინიაო. "ინტერის" მწვრთნელთან დაძაბულ ურთიერთობაზე მან "გაძეტა დელო სპორტთანაც" ისაუბრა, გაიხსენა თავისი თავგადასავლები და სკანდალური წარსულის გამო სინანულიც გამოთქვა... მოკლედ, თქვენს წინაშე სწორედ ეს ინტერვიუა.

**- უკვე ორი თვეა, რაც "სან პაულოში" ხარ. დაივიწყე შენგან ათასობით კილომეტრის მოშორებით მყოფი "ინტერი"?**

- პირველივე დღიდან, რაც აქ ჩამოვედი, ერთსა და იმავეს ვიმეორებ: ჩემი მომავალი მთლიანად "ინტერს" უკავშირდება. იტალიაში ყველაზე ლამაზი მოგონებები დავტოვე და ძალიან მინდა, სერია A-ში დავბრუნდე. მე კიდევ მაქვს იქ რალაც დასამტკიცებელი, პირველ რიგში, პროფესიული კუთხით. ესეც არ იყოს, ბოლო ხანებში მომხდარი ამბების გამო პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ და მინდა, ამ თემასაც წერტილი დავუსვა.

**- ანუ, სამშობლოში ყოფნის პერიოდშიც კი "ინტერს" მშობლიურ კლუბად მიიჩნევ?**

- და სხვაგვარად როდის იყო? მე აქ ერთადერთი რამის გამო ვარ: რამდენიმე თვის მერე კლუბში თავანეული დავბრუნდე. ახალგაზრდა ვარ და მაქვს დრო, რათა ჩემი ცხოვრება რადიკალურად შევცვალო.

**- ახლა როგორ ფორმაში ხარ? ან საერთოდ, შენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას როგორ შეაფასებ?**

- ვცდილობ, ყველაფერი თავიდან დავიწყო და მინდა ვთხოვო ყველას, პრესასა და ქომაგებსაც, რომ აღარ დამიძახონ "იმპერატორი" მანამ, ვიდრე ჩემს ძველ კონდიციებს არ მივაღწევ. ჯოჯოხეთური მუშაობა მომიწევს. იმასაც ვცდილობ, მშვიდი ვიყო როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ. სწორედ ეს მეხმარება კონცენტრაციაში. სხვათა შორის, უკვე ვამჩნევ, რომ გაწონასწორებული ვარ...

**- ეს როგორ? მშვიდი ხარ იმ ფონზეც კი, რომ ხელიდან გაუშვი კიდევ ერთი სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი?**

- ჩემპიონთა ლიგის თემა ჩემთვის მართლაც მძიმე ტრავმაა. გახსოვთ, ალბათ, მანჩინიმ განაცხადში რომ არ შემიყვანა... საერთოდ, უკან ყურებას ნელნელა გადავაჩვიე. მომავალზე რომ არ ვფიქრობდი, იმიტომაც წავიდა ცუდად ჩემი საქმე.

**- მშვიდად ხარ ალბათ იმიტომაც, რომ ბრაზილიაში არ არის ისეთი ფსიქოლოგიური წნეხი, როგორიც იტალიაშია. ასეა?**

- რაც მთავარია, ოჯახთან ახლოს ვარ. ამისთვის, სულ რალაც ნახევარსაათიანი ფრენა მჭირდება. ვგრძნობ მწვრთნელის მხრიდან ნდობასაც, ასევე თანაგუნდელებისა და ქომაგებისგან. ხანდახან, დიდი სიმტკიცე გჭირდება კაცს, მაგრამ ემოციური მხარდაჭერაც აუცილებელია.

**- გაიაზრე შენი შეცდომები?**

- მინდა, ყველაფერს ერთხელ და სამუდამოდ ნათელი მოვფინო: მე ვალიარე ჩემი შეცდომები. ფაქტობრივად, წელინადნახევარი ტყუილად დავკარგე და ამას ყველაზე მეტად ვნანობ... მაგრამ გასულ ზაფხულს ვცადე, ჩემი კარიერა კვლავ პოზიტივისკენ შემომეტრიალებინა და სერიოზულად დავიწყე მუშაობა. თავიდან, მანჩინი ძირითად შემადგენლობაშიც მაყენებდა, მაგრამ მერე რამდენჯერმე სკამზე დამსვა ისე, რომ არაფერი აუხსნია. ერთხელ ამაზე ვკითხე კიდეც, მაგრამ პასუხი ვერ მივილე. ეს გარემოება იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ დროებით "ინტერის" დატოვებაზე მეფიქრა.

**- მაინც რაშია პრობლემა: დიდ კონკურენციაში თუ თავად მანჩინის პიროვნებაში?**

- მოდით, ასე ვიტყვი: მანჩინი ბრწყინვალე მწვრთნელია, "ინტერთან" ერთად უკვე ბევრს მიაღწია და დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრს მიაღწევს. იმაზეც მადლობელი ვარ, რომ ხშირად მესაუბრებოდა, უნდოდა, დამხმარებოდა...

**- იმასაც კი ამბობდა, ადრიანოსთვის უფროსი ძმა ვარო...**

- ...მაგრამ თუ ძმად თვლი თავს, მაშინ ბოლომდე უნდა იყო. ასე არ არის? ამ სეზონშიც ძალიან მინდოდა დამხმარებოდა, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. ვინ იცის, იქნებ არ ჰქონდა საამისო დრო... ყველას თავისი ხასიათი აქვს, მაგრამ მე ვფიქრობ, მწვრთნელი ვალდებულია, ფეხბურთელთან უფრო ადამიანური იყოს.

**- "ინტერში" დაბრუნების შემთხვევაში თუ შეძლებ წარმატებების მიღწევას?**

- იმედი მაქვს დავბრუნდები და ყველა ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ძველებურად ავთამაშდე. თუმცა დღეს რაიმე პროგნოზის გაკეთება ძნელია. თუ არაფერი გამოვა, "ინტერიდან" წასვლა მომიწევს. ამ საკითხს მასიმო მორატი გადაწყვეტს, უფრო სწორად, ერთად მოვძებნით გამოსავალს, რადგან არ მინდა, ყველაფერი ძველებურად დარჩეს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს გამოსავალი განშორება იყოს.

**- ...და გადასვლა "მილანში?**

- დამისახელეთ ფეხბურთელი, რომელიც ბედნიერი არ იქნებოდა "მილანში" გადასვლით. მაგრამ გარწმუნებთ, ამ წუთას მხოლოდ "ინტერში" დაბრუნებაზე ვფიქრობ. თუ კვლავ არ მომეცემა უმიზეზოდ ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება, მზად ვიქნები, სხვა ვარიანტები განვიხილო.

**- როგორ მიდის საქმეები "სან პაულოში"?**

- პირველ ეტაპზე, ძირითადად, ფიზიკურ კონდიციებზე ვზრუნავდი. ბრაზილიაში რომ ჩამოვედი, 100 კილოს ვიწონიდი, ახლა 97.5 კილო ვარ, მაგრამ კიდევ უნდა დავიკლო. ისე, ამ წონითაც კარგად ვგრძნობ თავს, გაცილებით კარგად.

**- "სან პაულოში" ფსიქოლოგთან ერთადაც მუშაობ?**

- დიახ. ისე, ძალიან კი არ მიყვარს ბევრი ყბედობა, მაგრამ რას ვიზამ, სულელური აზრებისგან გათავისუფლება ნამდვილად მჭირდება და ფსიქოლოგიც სწორედ ამაში მეხმარება.

**- "ინტერშიც" ხომ გყავდა ფსიქოლოგი? თუ არა?**

- მყავდა, მაგრამ ამას პოზიტიური ეფექტი არ ჰქონია. შესაძლოა, ასე იმიტომაც მოხდა, რომ იტალიურ ენაზე ზუსტად ვერ გამოვხატავდი ჩემს გრძნობებს.

**- სამაგიეროდ, მოედანზე ყველა უნივერსალურ საფეხბურთო ენაზე საუბრობს. როგორც ამბობენ, შენი ინტერელი თანაგუნდელები ხშირად წუწუნებდენ იმაზე, რომ ბურთს ძალიან ურტყავდი?**

- მახსოვს, რომ პირველ რიგში, ეს მათზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, მერე კი ყველა მეკითხებოდა, თუ რის ხარჯზე მქონდა ასეთი არაადამიანური სიძლიერის დარტყმა. სხვას ვერაფერს გეტყვით, ვინ რაზე წუწუნებდა.

**- როგორ ფეხბურთს თამაშობენ ახლა ბრაზილიაში?**

- უფრო ტექნიკურს, მაგრამ აქ თამაშის ტემპი არ არის ძალიან მაღალი, შესაბამისად, ორთაბრძოლებიც ნაკლებია.

**- "სან პაულოში" 10-ნომრიანი მაისურა აირჩიე. რატომ?**

- კლუბმა თავად შემომთავაზა. მითხრეს: თუკი იტალიაში "ათიანი" იყავი, აქაც "ათიანი" უნდა იყოო. ბრაზილიაში, და საერთოდ ყველგან, ამ ნომერს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან ეს ისეთ ფეხბურთელებთან ასოცირდება, რომელთაც თამაშის ბედის გადაწყვეტა ერთპიროვნულად შეუძლიათ.



ადრიანოს გააქვს გოლი პაულისტას შტატის ჩემპიონატის მატჩში, რიო პრეტოს წინააღმდეგ

არსენალი

# უოლკოტი იჯარით

## ვენგერმა საკუთარი პირობები წამოაყენა, რატომ იჩხუბეს ადებაიორმა და ბენდტნერმა...

**არსენ ვენგერს** თეო უოლკოტის იჯარით გაშვება უნდა. "მირორის" ცნობით, "არსენალის" თავკაცი პირადად შეეხმიანა რამდენიმე კოლეგას და ახალგაზრდა თავდამსხმელი შესთავაზა. დაინტერესება დიდია, მაგრამ ვენგერი გარანტიებს ითხოვს. მას სურს, უოლკოტმა ახალ კლუბში სტაბილურად იასპარეზოს და გამოცდილება დააგროვოს, რათა შემდეგ ეს გამოცდილება ისევ "არსენალს" მოახმაროს. მოსიე არსენი ასევე დაბეჯითებით ითხოვს, უოლკოტის ნახევარდაცვის ცენტრში და არა ფლანგზე დაყენებას. მხოლოდ ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში გაფორმდება საიჯარო კონტრაქტი. ხელშეკრულების მაქსიმალური ვადა ექვსი თვე იქნება. ვენგერს უნდა, რომ ახალი სეზონიდან უოლკოტი ისევ მის განკარგულებაში იყოს. ერთი კვირის წინ "მეთოფეების" თავკაცმა დანანებით აღნიშნა, რომ "არსენალში" გატარებული ორი წლის განმავლობაში თეოსაგან უფრო დიდ პროგრესს ელოდა.

ინგლისელმა მიმომხილველებმა **ემანუელ ადებაიორისა** და **ნიკლას ბენდტნერის** ჩხუბის დეტალები შეიტყვეს. "არსენალის" თავდამსხმელებმა "ტოტენჰემთან" სამშაბათის მატჩისას პირდაპირ მინდორზე დააყარეს ერთმანეთს. "მირორის" მიმომხილველი წერს, რომ უსიამოვნება ტოგოელი ფეხბურთელის უკმეხ განცხადებას მოჰყვა. ის მინდორზე შეცვლაზე შევიდა და როცა ბენდტნერს გვერდით ჩაუარა, მიაძახა, ნეხვივით რომ გამოიყურები, იმიტომ გამომიყვანესო. ნიკლასმა მას ყურადღება არ მიაქცია. ადებაიორი არ დაშოშმინდა და რამდენიმე წუთში კოლეგას კვლავ შეურაცხყოფა მიაყენა. ბენდტნერმა მას შუა თითი უჩვენა. ემანუელმა მისკენ გაიწია და სახეში კინალამ თავი ჩასცხო. "არსენალის" მესვეურები ინციდენტს ამონწურულად მიიჩნევენ. ადებაიორმა ბენდტნერს საჯაროდ მოუხადა ბოდიში. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია მომხდარს მაინც გამოიძიებს და არაა გამორიცხული, ორივე ფეხბურთელი დააჯარიმოს.

იტალია. სერია A. XII ტურის გამოტოვებული მატჩი

# ისევ გაშტერდა...

## კალაძის საგოლე შანსი და შეცდომა

ეს მატჩი 11 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ ბერგამოს სტადიონზე მომხდარი არეულობის გამო, რაც "ლაციოს" ფანის მკვლელობამ გამოიწვია, თამაში დაწყებიდან 10 წუთში შეწყდა. გამომდინარე იმ მოვლენებიდან, "ატლეტი აძურიზე" შეხვედრა ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ჩატარდა. **კარლო ანჩელოტის** კვლავ არ ჰყავდა მეკარე **დიდა**, რატომლაც ტრანსფორმაცია განიცადა მისმა ახალმა იდეამ და **კაკა-პატო-რონალდოს** ტრიოში ეს უკანასკნელი **ჯილარდინომ** შეცვალა. როგორც ჩანს, "ჯილას" მწვრთნელმა ამაგი დაუფასა უდინეში გატანილი გამარჯვების გოლის გამო. მაგრამ ამჯერად, კარლეტოს არც ჯილარდინომ გაუმართლა, არც **პატომ** და არც სხვებმა. მოკლედ, "მილანი", რომელიც ამ სეზონში არასტაბილურად თამაშობს, წლის პირველ ორ მატჩში მოპოვებული მაქსიმუმის შემდეგ ბერგამოში დამარცხდა.

მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო. სტარტზე ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე შანსები. **კოპოლამ** რთული დარტყმა აუღო პატოს. მერე ჩინებული მომენტი დაკარგა შეტევაში წასულმა **კალაძემ**. ჩვენებურმა **პირლოს** კუთხურს თავური დასცხო, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ დიდებულად ითამაშა, ამას მაშინვე მოჰყვა **ზეედორფის** დარტყმა საჯარიმოს ხაზიდან, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

ამასობაში, ანგარიშიც გაიხსნა. **გატუზოს** გასწვრივი გადაცემის შემდეგ, ბერგამოელთა კაპიტანმა **დონიმ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, კოპოლა კი აბსოლუტურად უძლური იყო. გოლმა "მილანს" სტიმული შემატა და მთლიანად დაეუფლა თამაშის სადავეებს. მომენტები ჰქონდათ **კაკასა** და ჯილარდინოს, მერე პატომ "ატალანტის" მცველ **კაროციერის** შეცდომით ისარგებლა, მარტო დარჩა კოპოლასთან, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

"როსონერი" გამოუყენებელი მომენტებისთვის დაისაჯა. პირველი ტაიმის მიწურულს, **ლანჯელა** ორ მცველს შორის გაძვრა და **კალაჩსაც** იოლად გაუსწორდა. მეორე ტაიმი "ატალანტამ" უკეთ დაიწყო, თუმც მწვავე სიტუაციები ძირითადად მის კართან იქმნებოდა. არბიტრმა სამართლიანად გააუქმა ჯილარდინოს გოლი, თუმცა საკამათო იყო სიტუაცია, იმავე ჯილარდინოს კაროციერი საჯარიმოში უხეშად მოექცა. არბიტრმა თამაშის გაგრძელება ბრძანა...

ანჩელოტის შეტევაში ახალი ძალა სჭირდებოდა. პატოს ნაცვლად მან **რონალდოს** უხმო. ამ დროს, **ლუიჯი დელ ნერის** უკვე ჰქონდა პრობლემები დონის ტრავმის გამო, რაც "მილანს" ერთგვარ უპირატესობას აძლევდა. მაგრამ "ატალანტამ" ნელნელა წნეხში მოაქცია მრისხანე მეტოქე და 68-ე წუთზე დაწინაურდა კიდეც. პოზიციურად შეცდა კალაძე, რომელსაც **ბელინის** პასი გაეპარა, მერე **სიმონე ინძაგიმ** კარიდან გამოიტყუა კალაჩი და **ტისონეს** ცარიელი კარის წინ გადააწოდა - 2:1.

"მილანმა" ძალ-ღონე მოიკრიბა და 76-ე წუთზე რონალდოს ნაღდი მომენტი ჰქონდა. იქეთ მხარეს, "ატალანტასაც" შეეძლო ანგარიშის შეცვლა, როცა ტისონეს დარტყმული რიკოშეტით ხარიხას მოხვდა, ხოლო შემდეგ **ფლოკარიმ** დაკარგა შანსი. ამრიგად, "მილანი" მე-10 ადგილზე დარჩა, დელ ნერის გუნდმა კი სერიოზული ნახტომი გააკეთა და მე-6 პოზიციაზე მოკალათდა.

**ატალანტა-მილანი 2:1**

ატალანტა: ფ. კოპოლა-6, რივალტა-6.5, კაროციერი-5.5, პელეგრინო-6, ბელინი-6, პინტუ-6, ტისონე-7.5 (81. პადოინი-შ.გ), გუარენტე-6.5, ლანჯელა-7 (64. დე აშენტისი-6), კ. დონი-6 (54. ს. ინძაგი-7), ფლოკარი-6.5.

მილანი: კალაჩი-5.5, ბონერა-5.5 (72. ოდო-შ.გ), ნესტა-5, კალაძე-5.5, ფავალი-6, გატუზო-6.5 (82. გურკუფი-შ.გ), პირლო-6.5, ზეედორფი-6.5, კაკა-6, ჯილარდინო-5.5, პატო-5.5 (63. რონალდო-6).

გოლები: 0:1 კ. დონი (16-საკ. კარში), 1:1 ლანჯელა (42), 2:1 ტისონე (68)

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 0-8; ჯარიმა: 14-19; თამაშგარე: 9-10; კარში დარტყმა: 15-12(8-6); ბურთის ფლობა: 35%-65%.

მაყურებელი: 0 (დისკვალიფიკაცია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 19 | 15 | 4 | 0 | 43-13 | 49 |
| 2. რომა | 19 | 12 | 6 | 1 | 37-19 | 42 |
| 3. იუვენტუსი | 19 | 10 | 7 | 2 | 36-16 | 37 |
| 4. ფიორენტინა | 19 | 9 | 7 | 3 | 30-18 | 34 |
| 5. უდინეზე | 19 | 9 | 5 | 5 | 23-22 | 32 |
| 6. ატალანტა | 19 | 6 | 7 | 6 | 27-26 | 25 |
| 7. სამპდორია | 19 | 7 | 4 | 8 | 25-24 | 25 |
| 8. პალერმო | 19 | 6 | 7 | 6 | 27-33 | 25 |
| 9. ჯენოა | 19 | 6 | 7 | 6 | 20-25 | 25 |
| 10. მილანი | 17 | 6 | 6 | 5 | 28-16 | 24 |
| 11. ნაპოლი | 19 | 6 | 6 | 7 | 29-29 | 24 |
| 12. კატანია | 19 | 5 | 7 | 7 | 18-22 | 22 |
| 13. ლივორნო | 18 | 5 | 6 | 7 | 22-28 | 21 |
| 14. ლაციო | 19 | 4 | 7 | 8 | 22-29 | 19 |
| 15. პარმა | 19 | 4 | 6 | 9 | 22-29 | 18 |
| 16. ტორინო | 19 | 2 | 11 | 6 | 17-24 | 17 |
| 17. სიენა | 19 | 3 | 8 | 8 | 22-30 | 17 |
| 18. რეჯინა | 18 | 3 | 8 | 7 | 15-26 | 17 |
| 19. ემპოლი | 19 | 3 | 7 | 9 | 15-26 | 16 |
| 20. კალიარი | 19 | 2 | 4 | 13 | 13-36 | 10 |

ბომბარდირები: 13 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ტრეზეგე (იუვენტუსი); 12 - მუტუ (ფიორენტინა); 11 - ბორიელო (ჯენოა); 10 - კრუსი (ინტერი), ტოტი (რომა); 9 - ბელუჩი (სამპდორია), ტავანო (ლივორნო); 8 - ამაური (პალერმო), დელ პიერო (იუვენტუსი), კ. დონი (ატალანტა), კაკა (მილანი), პანდევი (ლაციო); 7 - დი ნატალე (უდინეზე), კვალიარელა (უდინეზე), სალაიეტა (ნაპოლი).



ჯონათან ვუდგეიტი

ნიუკასლი

# კიგანმა, ვუდგეიტიო

## რთული სქემა იმისათვის, რომ ბარტონმა არსენალის წინააღმდეგ ითამაშოს...

"ნიუკასლს" **ჯონათან ვუდგეიტის** დაბრუნება სურს. **კევინ კიგანმა** დირექტორებს "მიდლსბროსთან" მოლაპარაკებების დაწყება სთხოვა. 2003-04 წლებში ვუდგეიტმა "სენტ ჯეიმს პარკზე" ერთი სეზონი გაატარა. 2004 წელს, 13.4 მილიონ გირვანქად მან მადრიდის "რეალს" მიაშურა. ჯონათანს მადრიდული კარიერა არ აეწყო. ესპანეთის დედაქალაქში გატარებული ორი წლის განმავლობაში მან მხოლოდ 9 მატჩი ჩაატარა. 2006 წლის ზაფხულში ვუდგეიტი "მიდლსბროს" ათხოვეს. ხოლო 2007 ზაფხულში რივერსაიდელებმა ფეხბურთელი საბოლოოდ გამოისყიდეს. ვუდგეიტის ქრონიკულ ტრავმებს დასასრული არ უჩანს. ფეხბურთელი ამჯერადაც დაშავებულია. მას ახალი წლის შემდეგ არ უთამაშია. ჯონათანის არყოფნაში ერთმანეთს ჩინებულად შეეწყვნენ ბოროს ახალგაზრდა ცენტრალური მცველები - **დევიდ ვიტერი** და **რობერტ ჰუთი**. მთავარი მწვრთნელი **გარეთ საუთგეიტი** ვუდგეიტის ტრანსფერზე დაყენებას შესაძლებლად მიიჩნევს, თუ სანაცვლოდ სოლიდურ კომპენსაციას შესთავაზებენ. კიგანი ჯონათანს ძალიან აფასებს. 1999 წელს ვუდგეიტი ინგლისის ნაკრებში სწორედ მან მიიწვია. ფეხბურთელი 7 მილიონი გირვანქა ღირს.

კიგანმა ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველ **ლუკა მოდრიჩსაც** დაადგა თვალი. ამ ბიჭს ჩელსიც ეპატიჟება. სპეკულაციების თანახმად, "არისტოკრატებს" ზაგრების "დინამოსთან" შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეული აქვთ, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა. კიგანიც ამ გარემოებით აპირებს, რომ ისარგებლოს. მისი კიდევ ერთი სამიზნეა "ჰერენვეენის" ბრაზილიელი თავდამსხმელი **აფონსო ალვეში**. ეს ბიჭი 13 მილიონი გირვანქა ღირს. ფეხბურთელმა "ალკმაართან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ თუ "ნიუკასლი" ალკმაარელებს კომპენსაციას შესთავაზებს, ფეხბურთელს უპრობლემოდ დაეუფლება.

და კიდევ, ხვალ "ნიუკასლი" ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდში "არსენალს" შეხვდება. კიგანმა გადაწყვიტა, ნახევარმცველ **ჯოი ბარტონს** უხმოს. ბარტონი ჯორდების საკუთრებაა და ჩვეულებრივ შემთხვევაში მის გამოძახებაში უჩვეულო არაფერი იქნებოდა, მაგრამ ჯოი მორიგ სკანდალშია გახვეული. ახალი წლის წინ მან მის მშობლიურ ლივერპულში ჩხუბი ატეხა, რის გამოც ახალი წელი საპყრობილეში გაატარა. ბარტონი ერთი კვირა დაჭერილი იყო. ახლა ის გირაოთია გათავისუფლებული, თუმცა სასამართლოს დასრულებამდე "ლივერპულიდან" გასვლა ეკრძალება. უფრო ზუსტად, მას შეუძლია, დღის განმავლობაში სადაც უდა, იქ გაემგზავროს, მაგრამ საღამოს 7 საათზე აუცილებლად შინ უნდა იყოს. პოლიციამ შეიძლება ნებისმიერ წუთს შეამოწმოს და თუ შინ არ იქნება, კვლავ ციხეში უკრავენ თავს. "ნიუკასლისა" და "არსენალის" მატჩი შუადღისთვისაა დანიშნული. კიგანი ფიქრობს, შესაძლებელია თუ არა ბარტონის განაცხადში შეყვანა, შემდეგ კი მისი ლივერპულში დაბრუნება ისეთ დროს, რომ პოლიციასთან პრობლემები არ შეექმნეს. დიახ, შესაძლებელია, თუ ბარტონს პენსიონალურ ვერტმფრენს გამოუყოფენ და სწორედ საჰაერო ტრანსპორტით დააბრუნებენ შინ. მისტერ კევინი სწორედ ამის გაკეთებას აპირებსო, წერს "მირორი".

იტალიის თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# დიდი კითხვის ნიშნები

## იუვენტუსმა სან სირო შემოატრიალა

იტალიის თასი საინტრიგო ეტაპზეა, მით უმეტეს, რომ წილისყრამ "ინტერი" და "იუვენტუსი" დააწყვილა. **რობერტო მანჩინიმ** და **კლაუდიო რანიერიმ** "სან სიროზე" სახეშეცვლილი შემადგენლობები დააყენეს. აღვნიშნოთ ის, რომ პირველმა **იბრაჰიმოვიჩი** დაასვენა, მეორე კი **ნედვედი, ტრეზეგეს** გამოყვანა კი იძულებითი ნაბიჯი იყო. აქვე ვთქვათ ისიც, რომ "ინტერს" "იუვე" თასზე 1970 წლის მერე არ დაუმარცხებია. მილანელები ახლოს იყვნენ მიზანთან, რომ "ტრადიცია" დაერღვიათ, მაგრამ "ქალბატონმა" ორბურთიანი დეფიციტის გაბათილება მოახერხა.

სტუმრებს უკვე მე-7 წუთზე შეემთხვათ უსიამოვნება, როცა **მარკიონიმ** კუნთი დაიჭიმა და ადგილი ტრეზეგეს დაუთმო. ასე რომ, ამ მომენტიდან რანიერის მოედანზე უკვე სამი ფორვარდი ჰყავდა. გავიდა ერთი წუთი და "ინტერი" 10 კაცით დარჩა. **ბურდისო** იმდენად უხეშად ეთამაშა **დელ პიეროს**, გამოცდილ არბიტრ **სტეფანო ფარინას** წამითაც უფიქრია წითელ ბარათზე.

თამაში ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა. თუმცა პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. მთავარი მოვლენები კი მეორე ნახევარში განვითარდა. მიუხედავად კაცნაკლულობისა, 54-ე წუთზე "ინტერი" წინ გაიჭრა. **ლეგროტალიესა** და მეკარე **ბელარდის** შეუთანხმებელი მოქმედებით **კრუსმა** ისარგებლა და თავურით ანგარიში გახსნა. მერე იყო ტრავმების ახალი ტალღა: ჯერ ინტერელმა **სოლარიმ** დატოვა მოედანი, ხოლო შემდეგ მას ტურინელი **ბირინდელიც** მიჰყვა...

ამასობაში, კრუსმა ანგარიში ორამდე გაზარდა. 74-ე წუთზე მას ხელი ვერ შეუშალა **ბუმსონგმა** და არგენტინელს 7-8 მეტრიდან პრობლემა არ ჰქონია. პირველი სიგნალი, რომ თამაში დამთავრებული არ იყო, ხუთ წუთში გაისმა. დელ პიერომ ტრეზეგეს გადაცემა მიილო და სხვაობა მინიმუმამდე დავიდა. გავიდა კიდევ 5 წუთი და ბუმსონგმა წონასწორობა აღადგინა. დელ პიეროს კუთხურის შემდეგ ფრანგმა მცველმა თავური დასცხო და განმეორებითი მატჩის წინ, რომელიც ტურინში 30 იანვარს გაიმართება, "იუვენტუსის" შანსები ერთიორად გაზარდა.

გენუაში "სამპდორიამ" და "რომამ" 1:1 ითამაშეს. მართალია, ფავორიტად "რომა" რჩება, მაგრამ არ დაგვავიწყდეს სათასო მატჩების სპეციფიკაც. ასე რომ, "ოლიმპიკოზე" ყველაფერია მოსალოდნელი. პირველი შეხვედრის შემდეგ კი ორივე მწვრთნელი უკმაყოფილო იყო. **ვალტერ მაძარი** და **ლუჩანო სპალეტი** ლამის ერთ ხმაში ჩიოდნენ, რომ ფრე უსამართლო შედეგი იყო. განსაკუთრებით გაბრაზებული გახლდათ "სამპის" მწვრთნელი, რომელმაც აღშფოთება გამოთქვა არჩათვლილი გოლის გამო. გარკვეული ინტრიგა ჰქონდა **კასანოს** დაპირისპირებას თავის ძველ კლუბთან. სწორედ მასთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა **მექსე**, რომელმაც მე-17 წუთისთვის ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და თანაგუნდელები უმცირესობაში დატოვა.

ანგარიში კი 62-ე წუთზე გაიხსნა, როცა მასპინძელთა ნახევარმცველი **ციგლერი** მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და **კურჩის** მახვილი კუთხიდან გაუტანა. ხუთ წუთში გოლს უკვე "ჯალოროსი" ზეიმობდა. **მანსინის** პასის შემდეგ **ვუჩინიჩმა ლუკინის** დაასწრო და ბოლოს **მირანტეც** ხელმოცარული დატოვა.

"უდინეზემ" ხუთგოლიან თრილერში "კატანია" დაამარცხა. საბოლოო გამარჯვებულის ვინაობა აქაც კითხვის ნიშნის ქვეშაა.

**ინტერი-იუვენტუსი 2:2**

ინტერი: ტოლდო, ბურდისო, მატერაცი (80. ვიეირა), რივასი, მაქსველი, სოლარი (57. ხ. ძანეტი), მანიშე, პელე, სეზარი, კრუსი, კრესპო (67. კამბიასო).

იუვენტუსი: ბელარდი, ბირინდელი (67. ბუმსონგი), გრიგერა, ლეგროტალიე, მოლინარო, მარკიონი (7. ტრეზეგე), ნოჩერინო, კ. ძანეტი, პალადინო, იაკუინტა, დელ პიერო.

გოლები: 1:0 კრუსი (54), 2:0 კრუსი (74), 2:1 დელ პიერო (79), 2:2 ბუმსონგი (84)

გაძევება: ბურდისო (8. ინტერი)

მაყურებელი: 38 000

**სამპდორია-რომა 1:1**

სამპდორია: მირანტე, კამპანიარო (65. მაჯო), სალა, ლუკინი, კ. ძენონი, დელვეკიო (55. ბელუჩი), ვოლპი, დ. ფრანჩესკინი, ციგლერი, კასანო (79. კარაჩოლო), ბონაცოლი.

რომა: კურჩი, კასეტი, ფერარი, მექსე, პანუჩი, დე როსი, აკვილანი (77. ბრიგი), ტონეტო, ჟიული (57. ტადეი), მანსინი, ვუჩინიჩი (85. სისინიო).

გოლები: 1:0 ციგლერი (62), 1:1 ვუჩინიჩი (69)

გაძევება: მექსე (17. რომა)

მაყურებელი: 17 000

**უდინეზე-კატანია 3:2**

უდინეზე: კიმენტი, ფერონეტი, კოდა, ფელიპე, ისლა, ობოდო (46. ერიომენკო), ინლერი, სიკეირა, კანდრევა (61. პეპე), პაოლუჩი (61. კვალიარელა), ფლორო ფლორესი.

კატანია: ბიცარი, გაცოლა, სილვესტრი, სტოვინი, ვარგასი (76. ნარდინი), ედუსეი, ჯაკ. ტედესკო, იცკო (76. ბაიოკო), მარტინესი, კოლუჩი (63. მასკარა), სპინეზი.

გოლები: 1:0 ფერონეტი (9), 1:1 იცკო (21), 1:2 მარტინესი (31), 2:2 პეპე (70-პენ), 3:2 ფელიპე (76)

მაყურებელი: 8 000

**წუხელ**

**ლაციო-ფიორენტინა 2:1**



დელ პიეროს წინააღმდეგ უხეშობის გამო ბურდისო მე-8 წუთზე გააძევეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესგუნდი

# გერმანია შიშობს: ვაითუ...

## ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის 19 კანდიდატის მდგომარეობა კითხვებს აჩენს...

**გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებს. ბუნდესგუნდის მიზანი კონტინენტის პირველობის მოგებაა – ალემანებმა უნდა დაამტკიცონ, რომ 2006 წლის მუნდიალზე ნაჩვენები კარგი ფეხბურთი და მიღწეული წარმატება შემთხვევითობა არ იყო. მაგრამ იოახიმ ლიოვს და მის შტაბს პრობლემები თავზესაყრელად აქვთ. ცხადია, საკადრო პრობლემებს ვგულისხმობთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ დღეს ლიოვი უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე იურგენ კლინსმანი იყო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ.**

რამდენიმე დღის წინათ ბუნდესმწვრთნელი **ლიოვი**, მისი ასისტენტი **ჰანსი ფლიკი**, მეკარეების მწვრთნელი **ანდრეას კიოპკე** და ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** მიუნხენში შეიკრიბნენ და სამომავლო გეგმებსა და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების სტრატეგიაზე იმსჯელეს. მათ შეხვედრას კი ერთი მეტად არასასიამოვნო ფაქტი დაემთხვა: ლიოვმა და კომპანიამ სწორედ შეხვედრის დროს შეიტყვეს, რომ ბუნდესგუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა **ტორსტენ ფრინგსი** ისევ დაშავდა. ამ ამბავმა იოგი ძალიან დაამწუხრა. *„ყველანი შოკში ჩავარდით. ჩვენ ვგეგმავდით, რომ ფრინგსი სეზონის განახლებისთანავე დაიწყებდა თამაშს და დარწმუნებულები ვიყავით, რომ ევროპის ჩემპიონატს კარგ ფორმაში მყოფი შეხვდებოდა. ახლა კი, მისი საკითხი ბურუსითაა მოცული,"* – აცხადებს გერმანიის ნაკრების დამრიგებელი.

ფრინგსს მარჯვენა მუხლზე ტრავმა გაუმიზეზდა. დიაგნოზი ასეთია: ტორსტენი ვარჯიშის განახლებას 6 კვირის შემდეგ შეძლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ 6 თებერვალს დაგეგმილ ტესტ-მატჩში, რომელშიც გერმანელები ავსტრიას დაუპირისპირდებიან, „ვერდერის" საყრდენი ნახევარმცველის თამაში გამორიცხა. დიდი შანსია, რომ ფრინგსმა ვერც 26 მარტს, ევროპის ჩემპიონატის მეორე მასპინძელთან, შვეიცარიის ნაკრებთან ითამაშოს. არადა, ეს მატჩი ბუნდესგუნდისთვის შეკრების დაწყებამდე უკანასკნელი იქნება. არსებობს თუ არა იმის საშიშროება, რომ ფრინგსს ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მოუხდეს? ლიოვი ამას გამორიცხავს, რადგან ზაფხულამდე ტორსტენი აუცილებლად გამოჯანმრთელდება, მაგრამ მისი ფეხზე დადგომა ახლაც იგეგმებოდა და ტორსტენი ისევ დაშავდა, შესაბამისად, უკვე არაფრის გამორიცხვა აღარ შეიძლება – ფეხბურთელის მუხლი ძალიან პრობლემატური გახდა. მაგრამ ის, რომ ლიოვი ფრინგსის მდგომარეობით სერიოზულადაა შეშფოთებული, მისი მომდევნო კომენტარიდანაც ჩანს. *„ჩვენმა ექიმებმა და ფიზიოთერაპევტებმა „ვერდერის" ექიმებთან და ფიზიოთერაპევტებთან ერთად უნდა მოიფიქრონ, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ტორსტენმა ევროპის ჩემპიონატი არ გამოტოვოს. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. ფრინგსმა ავსტრია/შვეიცარიაში რომ ვერ ითამაშოს, ეს გერმანიის ნაკრებისთვის ძალიან სერიოზული დანაკლისი იქნება,"* – ამბობს ლიოვი.

მაგრამ ბუნდესმწვრთნელს ყველაზე მეტად ის აღელვებს, რომ ფრინგსის შემთხვევა ერთადერთი არ არის. იმ 36 ფეხბურთელიდან, რომლებსაც ბუნდესმწვრთნელმა ოქტომბრის დასაწყისში ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დაავალა და ასე ვთქვათ, გაფართოებულ სიაში შეიყვანა, ნახევარზე მეტს დღესდღეობით სერიოზულ პრობლემებთან უწევს ჭიდილი. ნაწილი ტრავმირებულია (ფრინგსი, **ფრიტცი, ტასკი, პანდერი**), ნაწილს იძულებითი პაუზების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად ბრძოლა მოუწევს (**მეტცელდერი, იანსენი, არნე ფრიდრიხი, მანუელ ფრიდრიხი, კურანი, გომესი**), ნაწილი ახლახან გამოჯანმრთელდა (**ბალაკი, შნაიდერი, კელი**) და ნაწილს კი კლუბებში სათამაშო პრაქტიკა არა აქვს (**პოდოლსკი, შლაუდრაფი, შვაინშტაიგერი, ბოროვსკი, ოდონკორი, ლემანი**).

*„ფაქტი ის არის, რომ ჯერჯერობით სერიოზული დაგეგმარება შეუძლებელია, რადგან უბრალოდ ძალიან ბევრ კითხვის ნიშანთან გვაქვს საქმე,"* – ნერვიულობს ლიოვი, რომელმაც მომდევნო ხუთშაბათს ის შემადგენლობა უნდა დაასახელოს, რომელიც 6 თებერვალს ვენაში ავსტრიის ნაკრებს გაეჯიბრება.

იოგისთვის უკვე ძალიან სერიოზული პრობლემაა კრისტოფ მეტცელდერი, რომელიც გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრში ლამის უკონკურენციოა და ევროპის ჩემპიონატისთვის **პერ მერტეზაკერთან** ერთად ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება. მეტცეს მადრიდის „რეალში" უკვე 2 თვეა, აღარ უთამაშია და ბოლო დროს განაცხადშიც კი ვერ ხვდება (!). შესაბამისად, ლიოვს უახლოეს მომავალში მეტცელდერთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი და არა მარტო მასთან, ბუნდესმწვრთნელი ყველა იმ ფეხბურთელთან გასაუბრებას აპირებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ. *„ფეხბურთელებს ვეტყვი, რომ ჩამორჩენა აუცილებლად უნდა აღმოფხვრან. მომდევნო სამი თვე ყოველი მათგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია,"* – აცხადებს იოგი.




ლიოვს სანერვიულო არ ელევა: ფრინგსი ისევ დაშავდა, ლემანს არსენალში არ ათამაშებენ, მეტცელდერს რეალში, პოდოლსკის კი ბაიერნში...

ეს პირველ რიგში იენს ლემანსა და ლუკას პოდოლსკის ეხებათ, რომლებიც ლონდონსა და მიუნხენში სათადარიგოთა სკამებს ხეხავენ და მიუხედავად ამისა, მაინც თავიანთ კლუბებში დარჩენა მოისურვეს (ლემანი) ან იძულებულები არიან, რომ დარჩნენ (პოდოლსკი). თუმცა ლიოვი რეგულარულად იმეორებს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ის პოდოლსკის მაინც ენდობა. როგორც იცით, პოლდი სერიოზულად ფიქრობდა სეზონის ბოლომდე იჯარით სადმე წასვლაზე და მას „მანჩესტერ სიტი" ეპატიჟებოდა. სანამ „ბაიერნის" ხელმძღვანელები გარიგებაზე უარს იტყოდნენ, პოლდიმ რჩევა ლიოვსაც ჰკითხა, რომელსაც უთქვამს, ნუ წახვალ „სიტიშიო". *„როცა ხალგაზრდა ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატამდე 6 თვით ადრე კლუბს ტოვებს და ახალ გუნდში გადადის, ეს ძალიანს საეჭვო პერსპექტივაა. იოლად შეეგუება ახალ გარემოს? არა, ეს რისკი იყო და მეც ვურჩიე, „ბაიერნში" დარჩი-მეთქი,"* – ამბობს ლიოვი.

ლემანმა „დორტმუნდში" გადასვლა იუარა და მიზეზად ის დაასახელა, რომ მხოლოდ 6 თვით ოჯახის სხვაგან წაყვანა არ უნდა. ლიოვმა მისი ალიბი მიიღო, ამაში გაუგებარი არაფერიაო. მაგრამ მეტი არც არაფერი. შესაბამისად, ფაქტია, რომ ბუნდესმწვრთნელი ლემანის გადაწყვეტილებით მოხიბლული არ დარჩენილა. ცხადია, მას ერჩივნა, რომ ლემანი „ბორუსიაში" გადასულიყო და სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა, რადგან „არსენალში" იენსის სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნებას ჯერჯერობით პირი არ უჩანს.

*„ჩვენ ევროპის ჩემპიონატს ლემანთან ერთად ვგეგმავთ, მაგრამ არცერთ ფეხბურთელს არა აქვს იმის გარანტია, რომ პირველ მატჩში ითამაშებს. მათ შორის, ასეთ გარანტიას ვერც პირველ ნომერს მივცემ,"* – ასეთია ლიოვის ბოლო სიტყვა.

**გოტფრიდ ლენცი**



კარლოს ალბერტო

ვერდერი

# კარლოს ალბერტო სკანდალით წავიდა

## გააუპატიურეს თუ არა ბრაზილიელის სახლში 22 წლის გოგო?

ამას წინათ გაცნობეთ, რომ „ვერდერმა" ბრაზილიელი **კარლოს ალბერტო**, რომელიც ბრემენული კლუბის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შეცდომა გახდა, „სან პაულოში" გაანათხოვრა. ფეხბურთელმა, რომელმაც ბრემენელ ქომაგებს თავი მხოლოდ სკანდალებით დაამახსოვრა, ბრემენი კი დატოვა, მაგრამ ახლა მის მიერ გაფუჭებულ კიდევ ერთ საქმეს ეფინება ნათელი.

მოკლედ, 22 წლის ბრემენელი გოგონა ამტკიცებს, რომ ის კარლოს ალბერტოს ბინაში გააუპატიურეს. ეს ინფორმაცია გუშინ „ვეზერ კურიერმა" გაავრცელა. გოგონას მტკიცებით, ეს 8-9 დეკემბრის ღამეს მოხდა – 65 საათით ადრე, სანამ „ვერდერი" ჩემპიონთა ლიგაში „ოლიმპიაკოსთან" სამარცხვინოდ დამარცხდებოდა (0:3). ბრემენის პროკურატურამ საქმის გამოძიება დაიწყო.

როგორც ირკვევა, ბუნდესლიგაში „ჰანოვერთან" წაგების შემდეგ (3:4), კარლოს ალბერტომ თავის სახლში დიდი წვეულება მოაწყო, რომელზეც 40-50 ნაცნობი დაპატიჟა. წვეულებაზე იმყოფებოდა „ვერდერის" კიდევ ერთი ფეხბურთელი, პორტუგალიელი **უგო ალმეიდაც**. გოგონა, რომელიც წვეულებაზე იმყოფებოდა, ამბობს, რომ ერთ-ერთი სტუმარი, რომელიც ბრაზილიელია და გერმანიაში ცხოვრობს და რომელიც დაახლოებით მისი ასაკის იყო, მას ღამის 4-დან 6 საათამდე აუპატიურებდა. დაზარალებულმა პოლიციას მეორე დღესვე მიმართა.

პროკურატურამ უკვე დაკითხა კარლოს ალბერტო მოწმის სახით და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, თვითონ ბრაზილიელი ფეხბურთელი ეჭვმიტანილი არ არის. ეჭვმიტანილი კარლოს ალბერტოს მეგობარია და მას დაკითხვაზე უთქვამს, სექსუალური კონტაქტი კი გვქონდა, მაგრამ ეს ორმხრივი სურვილით მოხდაო.

გამოძიების პარალელურად „ვერდერის" მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** ის ფეხბურთელები დაიბარა, რომლებიც წვეულებაზე იმყოფებოდნენ. ალოფსმა თითოეულ მათგანს ჰკითხა, ხომ არაფერი მიჰქარეთო და ყველასგან უარყოფითი პასუხი მიიღო. *„ჩვენს ფეხბურთელებს არაფერი დაუშავებიათ და კარლოს ალბერტოს ვერაფერს დავაბრალებთ მხოლოდ იმის გამო, რომ მისი სტუმარი ცუდად მოიქცა,"* – ამბობს ალოფსი.

წვეულებიდან ორი დღის შემდეგ „ვერდერი" "ოლიმპიაკოსთან" განადგურდა, კარლოს ალბერტო კი, ამ დროს ბრემენში ისევ ზეიმობდა – ამჯერად თავის 23-ე დაბადების დღეს. და ღამის პირველ საათზე ავტოგასამართ სადგურზე ლუდი, სიგარეტი და პრეზერვატივები შეუძენია...

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# ვისზე ნაკლებია ჩემი შვილი?!

## მესუთ იოზილის მამა აბოგოქრდა...

როგორც იცით, „შალკეს" გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** 19 წლის ტალანტი **მესუთ იოზილი** გუნდიდან მოკვეთა. მიზეზი: ფეხბურთელმა კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა, მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა ძალიან კარგი პირობები შესთავაზა. შედეგად, მიულერმა თქვა, რომ იოზილი „შალკეში" აღარ ითამაშებს. მესუთს მოყვარულთა გუნდის განაცხადშიც კი არ შეიყვანენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მან სასწრაფოდ ახალი გუნდი უნდა იპოვოს.

ამასობაში, ფეხბურთელის მამამ და პირველმა მრჩეველმა, **მუსტაფა იოზილმა** ხმა აიმაღლა. აი, რა განუცხადა მან თურქულ გამოცემა „ჰიურიეთს": *„როცა ლინკოლნი „გალათასარაიში" გადავიდა, „შალკეს" პრეზიდიმმა გვითხრა, რომ გუნდის პირველი ფლეიმეიქერი ჩემი შვილი გახდებოდა. დიახ, ისინი დაგვპირდნენ, რომ ახალ სეზონში მესუთი მე-10 ნომერს მიიღებდა და ძირითად შემადგენლობაში ითამაშებდა. მაგრამ ერთი თვის შემდეგ მიულერმა ივან რაკიტიჩი იყიდა და დღეს მე-10 ნომერიც ამ ფეხბურთელს აქვს და ძირითად შემადგენლობაშიც ის თამაშობს. ამით ჩემმა შვილმა უკანა პლანზე გადაინია! ის არავისზე ნაკლები არაა, მით უმეტეს რაკიტიჩზე."*

ნუთუ ეს არის იმის მიზეზი, რომ იოზილმა „შალკეს" კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა? მიულერი: *„ეს სისულელეა. ჩვენ არავის დავპირდით, რომ ვინმე აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებდა. სექტემბერში, „ბაიერნთან" მატჩამდე ორი დღით ადრე, მესუთის მამას ხელი ჩამოვართვი - ჩვენ შევთანხმდით, რომ იოზილთან ახალ კონტრაქტს გავაფორმებდით. ორი დღის შემდეგ, „ბაიერნთან" რაკიტიჩმა ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და ჩემთვის მოულოდნელად, იოზილის მამამ ყველანაირი კონტაქტი გაწყვიტა და დაპირება აღარ ახსოვდა."*

ეს ყველაფერი კი ბინძური გაყრით მთავრდება. *„31 იანვრამდე ჩემი შვილი სხვა გუნდში გადავა, ეს უკვე გადაწყვეტილია. ჩვენ უკვე გვაქვს შემოთავაზებები იტალიიდან, ესპანეთიდან, ინგლისიდან და „ფენერბაჰჩედან". მესუთს ბუნდესლიგაში დარჩენა კი სურს, მაგრამ ალბათ გერმანიიდან წავა,"* – ამბობს მუსტაფა. მაგრამ „შალკე" გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრს იაფად არ დათმობს. იოზილის კონტრაქტს ვადა 2009 წელს გასდის, „შალკე" მის სანაცვლოდ მინიმუმ 4 მილიონ ევროს ითხოვს...




მამა-შვილი, მესუთ და მუსტაფა იოზილები

ინტერვიუ რაფაელ ვან დერ ვაარტთან

# მიხარია, რომ იუვეს ვუნდივარ!

## ჰამბურგსა და იუვენტუსს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. ჰოლანდიელს უნდა, რომ ყველაფერი მალე გაირკვეს...

**რაფაელ ვან დერ ვაარტი** „ჰამბურგის“ ლიდერი და ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. გერმანიის ჩემპიონატის პირველ წრეში ჰოლანდიელმა გამთამაშებელმა 9 გოლი გაიტანა, რითაც ის ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. როგორც უკვე იცით, ვან დერ ვაარტის შეძენა ტურინის „იუვენტუსს“ სურს. ორი დღის წინათ „იუვეს“ ხელმძღვანელები ჰამბურგში ჩავიდნენ და HSV-ს შეფებთან პირველი მოლაპარაკებები გამართეს. გუშინ „ბილდმა“ ვან დერ ვაარტის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

**- ჰერ ვან დერ ვაარტ, ორი დღის წინათ ტურინის „იუვენტუსის“ წარმომადგენლები ჰამბურგში ჩამოვიდნენ და HSV-ს მენეჯერ ბერნდ ჰოფმანსა და სპორტულ დირექტორ დიტმარ ბაიერსდორფერს შეხვდნენ. საუბარი, რა თქმა უნდა, თქვენს შესაძლო ტრანსფერს შეეხო. დეტალების შესახებ ინფორმირებული ხართ? და საერთოდ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ამბავზე?**

- ჩემთვის ეს დიდი პატივია. მიხარია, რომ ჩემი გადაბირება ისეთ დიდ გუნდს უნდა, როგორიც „იუვენტუსია“. მოკლედ, მოხარული ვარ. თანაც, გული კარგს მიგრძნობს.

**- რატომ? ან რას გიგრძნობთ გული?**

- ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი შრომა და თავდადება დაფასდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი თამაში არა მარტო ჰამბურგში და გერმანიაში, არამედ გერმანიისა და ჰოლანდიის საზღვრებს გარეთაც ძალიან მოსწონთ. ეს ძალიან მიხარია, რადგან „ჰამბურგში“ თავს არ ვზოგავ. ესეც არ იყოს, მოსალოდნელი ტრანსფერისკენ ამით პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, რა გამოვა ამ საქმიდან.

**- როგორ გგონიათ, როდის გადაწყდება საბოლოოდ, გადახვალთ თუ არა ტურინში?**

- არ ვიცი. მოლაპარაკებები ხომ მხოლოდ ახლა დაიწყო. ძალიან მიხარია, რომ „ჰამბურგი“ თანახმაა, ესაუბროს ყველა იმ კლუბს, რომელსაც ჩემი შეძენა უნდა. ხომ გახსოვთ, ზაფხულში ეს ასე არ იყო. მაშინ ჩემი ყიდვა „ვალენსიას“ უნდოდა, მაგრამ „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებმა მაშინ ესპანურ კლუბთან მოლაპარაკებების დაწყებაზე უარი განაცხადეს.

**- შესთავაზა თუ არა „იუვენტუსმა“ „ჰამბურგს“ გარკვეული თანხა ან თუ არა, მაშინ როდის შესთავაზებს?**

- დეტალების შესახებ ინფორმირებული არ ვარ. კლუბებს შორის მოლაპარაკება ჩემი საქმე არაა. შესაბამისად, არ ვიცი, შესთავაზა თუ არა რამე „იუვენტუსმა“ ჰამბურგს.

**- თქვენ უკვე გქონდათ „იუვესთან“ კონტაქტი?**

- არა! ტურინელებთან არ მისაუბრია და ყველა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მე უკვე შევუთანხმდი „ბებერ ქალბატონს“, სიცრუეა და მეტი არაფერი.

**- არადა, როგორც იტალიურ, ასევე გერმანულ პრესაშიც გავრცელდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ თქვენი მრჩეველი სიორენ ლერბი „იუვენტუსთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებდა და ტურინულ კლუბს მოურიგდა კიდეც...**



რაფაელ ვან დერ ვაარტი ზაფხულში სავარაუდოდ იუვენტუსში გადავა

- ასე არ არის. „იუვენტუსი“ ძალიან სერიოზული კლუბია, რომელიც წესებს არასდროს დაარღვევს. პირველ რიგში გუნდები უნდა მორიგდნენ და ჩემთან მოლაპარაკებები მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება.

**- დაახლოებით როდისთვის ელოდებით მოილაპარაკებების დასრულებას?**

- ვერაფერს ვიტყვი, რადგან არაფერი ვიცი. იმას კი ვიტყვი, რომ ძალიან მინდა, ყველაფერი მალე გაირკვეს. ჩემს ადგილზე ნებისმიერი ფეხბურთელი ამას იტყოდა. რაც უფრო მალე გაირკვევა ყველაფერი, მით უკეთესი.

**- თქვენს ტურინულ მომავალს თითქმის ყველა სკეპტიკურად უყურებს. ამბობენ, რა უნდა რაფაელს ისეთ ქვეყანაში, სადაც მუდმივად სკანდალებიაო...**

- ეს არ მაშინებს. „იუვენტუსი“ დიდი გუნდია, ახალ სტადიონს აშენებს და მომავალ სეზონში "ინტერის" ჰაგემონიის დამხობას გეგმავს. ნამდვილად არ იქნება ურიგო, თუ მეც ამ პროგრამის ნაწილი გავხდები.

**გოტფრიდ ლენცი**

ვეტერანი

# ბებერი რამელოვის ვნებანი

## ოთხი ოპერაცია ერთ წელიწადში. კარსტენის საქმე ცუდადაა...

**კარსტენ რამელოვი** ბუნდესლიგის ვეტერანი ფეხბურთელების სიას განეკუთვნება, სიას, სადაც ცნობილი და პოპულარული ფეხბურთელები მოიხსენიებიან. კარსტენი „ლევერკუზენის“ ყველაზე ძველი წარმომადგენელია – ის „ბაიერში“ 1995 წელს ბერლინის „ჰერტადან“ გადავიდა. რამელოვს ბუნდესლიგაში 333 მატჩი აქვს ჩატარებული. ამასთან, ის დიდი ხნის მანძილზე გერმანიის ნაკრების წევრიც იყო და ბუნდესგუნდში 46 მატჩი გამართა. 2002 წელს რამელოვი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა.

ერთი სიტყვით, კარსტენის ჩინებული კარიერა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ისეთ დასასრულს, როგორსაც თვითონ ვეტერანი ფეხბურთელი ვერასდროს წარმოიდგენდა. გასულ კვირას რამელოვმა მარჯვენა მუხლზე კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა. ეს გახლავთ რიგით მე-4 ოპერაცია ბოლო 12 თვის განმავლობაში. 2007 წლის 16 იანვარს მან მარჯვენა მუხლზე მენისკის ოპერაცია გაიკეთა. 30 მარტს მენისკი გაუმიზეზდა და კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდა. 11 სექტემბერი და ისევ ქირურგიული ჩარევა: ისევ მენისკის ოპერაცია მარჯვენა მუხლზე. ამა წლის 20 იანვარს კარსტენს ისევ მარჯვენა მუხლმა უმტყუნა და ისევ ოპერაციის გაკეთება მოუხდა.

*„ბოლო 12 თვე რამელოვის კარიერაში ძალიან მძიმე და ტრაგიკული გამოდგა. მე მას კარიერის სხვანაირ დასასრულს ვუსურვებდი და დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოსაზრებას აბსოლუტურად ყველა ქომაგი იზიარებს. დავეხმარები, როგორც შემიძლია,“* – აცხადებს „ლევერკუზენის“ დამრიგებელი **მიხაელ სკიბე** თავის კაპიტანზე.

*„ნამდვილად არ მეგონა, თუ ჩემს კარიერაში ასეთი მძიმე მომენტი დადგებოდა. მომენტი, როცა საკუთარ თავს ეკითხები, რით დავიმსახურე ასეთი რამე,“* – წუხს რამელოვი, - *„ასეთ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახის წევრების თანადგომაა. მებრძოლი ადამიანი ვარ და ბოლო წამამდე არ დავნებდები.“*

რამელოვი იმედოვნებს, რომ მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში რამდენიმე მატჩის ჩატარებას მაინც შეძლებს, ზაფხულში კი, ერთი წლით ამერიკაში წასვლას გეგმავს. „კალეს“ MLS-დან აქვს წინადადებები...



კარსტენ რამელოვი ტრავმებმა დატანჯა



რონალდინიო ფორმაში დგება

ბარსელონა

# რონალდინიომ შვიდი კილო დაიკლო

## დაიბრუნებს თუ არა ბრაზილიელი ძველ ბრწყინვალებას?

**ზუსტად** ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც **რონალდინიოს** "ბარსელონის" ღირსება არ დაუცავს. ბოლოს ის 23 დეკემბერს "რეალთან" სუპერკლასიკოში ვიხილეთ. ვრცელდებოდა ხმები, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავი მოედანზე გასვლას ტრავმის გამო ვერ ახერხებდა. გაუჩოს გარკვეული პრობლემები მართლაც ჰქონდა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ მისი უთამაშებლობის მთავარი მიზეზი წონაში მომატება იყო. დიახ, სამხრეთამერიკელს ხუთი კილო ჰქონდა მომატებული. თითქოს არც ისე ბევრია, მაგრამ პროფესიული ფეხბურთის დატვირთვასა და სირთულეს თუ გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ უმნიშვნელოდ გასუქებაც კი უდიდეს პრობლემებთანაა დაკავშირებული. ბუნებრივია, კატალონიური გრანდის მწვრთნელები ამ ყველაფერს ჩვენზე კარგად აცნობიერებდნენ და გაუჩოს მისთვის უპრეცედენტოდ რთული ვარჯიშების ჩატარებას ავალებდნენ. ორკვირიანმა მუშაობამ ფანტასტიკური შედეგი გამოიღო. რონალდინიომ არა ხუთი, არამედ სულაც შვიდი კილო დაიკლო. კატალონიელი ჟურნალისტები იტყობინებიან, რომ "ბარსას" მეათე ნომერი ჩინებულ ფორმაშია. მან სისწრაფესაც მოუმატა და გაცილებით მეტსაც დარბის.

ამით გახარებულმა **ფრენკ რაიკაარდმა** საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია: *"ვითარება არ იცვლება და გამიდმებით საუბრობენ, რომ "ბარსელონა" რონალდინიოს გასაყიდად ემზადება. ეს ჭორია და სხვა არაფერი. მიხარია, რომ გაუჩო თავდაუზოგავად ვარჯიშობდა. პროგრესს საკუთარი თვალებით ვხედავ. არ დავმალავ, რომ ჯერ კიდევ ორი კვირის წინ სამხრეთამერიკელი საჭიროზე ხუთი კილოგრამით მეტს იწონიბდა. ჩვენი ფიზმომზადების სპეციალისტების დახმარებით პრობლემა უმოკლეს დროში აღმოიფხვრა. დარწმუნებული ვარ, რონალდინიო ძალიან მალე უწინდებური ბრწყინვალებით ათამაშდება."*

ამის იმედი აქვს თავად ფეხბურთელსაც. გუშინდელი ინდივიდუალური ვარჯიშის დასრულების შემდეგ გაუჩომ პრესისთვის მოკლე განცხადება გააკეთა: *"ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ფორმა აღვიდგინო და ჩემს კლუბს დავეხმარო. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. მართლაც ძალიან ბევრს ვმუშაობ."*

როგორც მოგახსენეთ, ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რონალდინიოს "ბარსელონაში" არ უთამაშია. ახლა ყველას ერთი კითხვა ებადება - როდის დაბრუნდება ის? კატალონიური გრანდის პრესსამსახური გვატყობინებს, რომ ბრაზილიელი საკუთარი მოვალეობების შესრულებას მომავალი კვირიდან შეუდგება. ისღა დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ მისი სახით მსოფლიო ფეხბურთს ბრწყინვალება და სილამაზე შეემატება. ფაქტია, გაუჩოს სპექტაკლები გულშემატკივრებს ძალიან მოენატრათ.

### იუვე: ტიაგო ტოტენჰემში, ალმირონი მონაკოში, ბუმსონგი ლიონში

**ტიაგო მენდეში** ინგლისში ბრუნდება. პორტუგალიელი ნახევარმცველი "ტოტენჰემთან" კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. "მამლები" "იუვენტუსს" 7 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ფეხბურთელი სამწლინახევრიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. ტიაგო 26 წლისაა. 2004 წელს ის "ბენფიკიდან" "ჩელსიში" გადავიდა, 2005 წელს კი "ლიონში" გაყიდეს...

ვაგრძელებთ ტურინულ სატრანსფერო თემას. ოთხშაბათს, **ჟან-ალენ ბუმსონგმა** იტალიის თასზე "ინტერს" გოლი გაუტანა. სიმბოლურია, რომ "იუვენტუსის" მცველი კლუბს სწორედ ამ ჟესტით დაემშვიდობა. გუშინ მან "ლიონს" მიაშურა, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის და საფრანგეთის ჩემპიონში 3.5 მილიონ ევროდ გაიყიდება. "ბებერი ქალბატონი" კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა. არგენტინელი ნახევარმცველი **სერხიო ალმირონი**, რომელმაც **კლაუდიო რანიერის** იმედები ვერ გაამართლა, 6-თვიანი არენდით "მონაკოში" ითამაშებს.

### ბაროში ინგლისში ბრუნდება?

**მილან ბაროში** მზადაა, პრემიერლიგაში დაბრუნდეს. ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელს "პორტსმუთი" ეპატიჟება. ბაროშმა "ლიონს" გასულ ზაფხულს მიაშურა და 19 მატჩში მხოლოდ 6 გოლის გატანა მოასწრო. საფრანგეთის ჩემპიონები მისგან უფრო მეტს ელოდნენ. გუშინ "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** განაცხადა, რომ იანვრის ფანჯრის დახურვამდე ორი თავდამსხმელიდან ერთის გაყიდვა მოუწევს. მან **ფრედი** და ბაროში დაასახელა...

ესპანიოლი

# ტამუდო ორი თვე ვერ ითამაშებს

**ჩვენი** გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ, რომ "ესპანიოლის" ტრავმირებულ ფხბურთელთა სია კიდევ უფრო გაიზარდა. გუშინწინდელ ვარჯიშზე კატალონიური გრანდის ლიდერმა **რაულ ტამუდომ** იდაყვის ძვალი მოიტეხა. "ესპანიოლის" ექიმები შიშობდნენ, რომ წამყვანი ნახევარმცველის რეაბილიტაციას დიდი ხანი დასჭირდება. სამწუხაროდ შიში გამართლდა. ტამუდოს გამოჯანმრთელებას სულ მცირე ორი თვე დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ერნესტო ბალბერდეს** თავდასმის ხაზში სერიოზული პრობლემები დაემუქრება. გართულებების თავიდან აცილების მიზნით "ესპანიოლის" მესვეურებმა სატრასნფერო ბაზრის დახურვამდე რომელიმე ფორვარდის გადაბირება განიზრახეს. სავარაუდოა, რომ კატალონიელები საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებენ. სპორტული დირექტორის, **პაკო ერერას** თქმით დირექტორატი ინტენსიურად მუშაობს, რათა პრობლემა უმოკლეს დროში გადაიჭრას. ბარსელონელები **რობერტო სოლდადოს** ანიჭებდნენ უპირატესობას, მაგრამ "რეალის" შეფებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. ერერა გვარწმუნებს, რომ ამის შემდეგ ისინი უცხოურ კლუბებში ამჯობინებენ სასურველი კადრის მოძებნას. ჯერ-ჯერობით გვარები არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ კატალონიელები სწრაფ, ახალგაზრდა და ტექნიკურ ფორვარდს ეძებენ.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ ტამუდოს გარდა სენიორ ბალბერდე ტრავმირებულ **ლაფუენტესთან, რიერასთან, დე ლა პენიასა და კლემენტე როდრიგესთან,** ასევე აფრიკის თასზე სათამაშოდ წასულ **კამენისთან** ვერ ახერხებს მუშაობას. "ესპანიოლს" **დანიელ ხარკეც** ვერ ეხმარება. მას საოჯახო უბედურება შეემთხვა და კლუბის ხელმძღვანელობამ გაათავისუფლა.



რაულ ტამუდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ პრედრაგ მიატოვიჩთან

# კრისტიანო რონალდოს შეძენა შეუძლებელია

## მადრიდელთა გენერალური დირექტორი წუხს, რომ მანჩესტერელები საუბარს იმავე წამს წყვეტენ, როგორც კი ესპანელები პორტუგალიელის ტრანსფერზე ჩამოაგდებენ სიტყვას...

გუშინ ესპანურმა სააგენტოებმა საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს: "რეალი" მზადაა, კრისტიანო რონალდო მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქციოსო. "დიარიო სპორტმა" შესაძლო ტრანსფერის თაობაზე დამატებითი ცნობები მოგვაწოდა: თუ პორტუგალიელი ვარსკვლავი მადრიდში გაემგზავრება, ექვსწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ და 40 მილიონ გირვანქას (გადასახადების გადახდის შემდეგ) მიუთვლიანო. "დიარიო სპორტის" მტკიცებით, "მანჩესტერ იუნაიტედი" კომპენსაციის სახით, ასევე სარეკორდო თანხას, მიიღებს. კომპენსაციის ოდენობა არ კონკრეტდება. ესპანური სააგენტოები ვარაუდობენ, რომ რონალდოს ტრანსფერს სატრანსფერო ბაზრისათვის ჯერ არნახული თანხა დასჭირდება. ვაჭრობა მინიმუმ 60 მილიონი გირვანქიდან დაიწყება. ადვილი შესაძლებელია, რონალდო პირველი ფეხბურთელი გახდეს, რომლის ფასი 100 მილიონ გირვანქას მიაღწევსო, ამბობენ ისინი.

ეს ყველაფერი სპეკულაციაა. დაგვეთანხმებით, საქმეში გასარკვევად ოფიციალური პირების კომენტარებია საჭირო. და აი, გუშინ ასეთი კომენტარიც გავრცელდა. პრედრაგ მიატოვიჩმა "რადიო მარკას" ვრცელი ინტერვიუ მისცა. სამეფო კლუბის გენერალურმა დირექტორმა მადრიდული რადიოს მიკროფონებთან გუნდის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ისაუბრა. ალსანიშნავია, რომ მიატოვიჩი იმავე სტუდიაში ზუსტად ერთი წლის წინაც იყო. მაშინ ის შემადგენლობის გაძლიერებას ოპტიმისტურად უყურებდა და საზოგადოებას არწმუნებდა, რომ "რეალი" სახელის წინაშე ყველა ვარსკვლავი უძლური იქნებოდა. მას სჯეროდა, რომ თავად მოთამაშეები იაქტიურებდნენ და თავიანთი გუნდების ხელმძღვანელებს ტრანსფერზე დათანხმებას აიძულებდნენ. ერთი წლის შემდეგ ოპტიმისტური განწყობა უკვალოდ გამქრალა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მიატოვიჩი ახლა სრული პასუხისმგებლობით ამბობს, რომ "რეალს" კაკასა და კრისტიანო რონალდოს გადაბირების შანსი არ გააჩნია. მადრიდელთა დირექტორი თავად ახსენა ის თემა, რომლის შესახებ ჟურნალისტს კითხვა ჰქონდა მომზადებული. მოდით, მიატოვიჩის ინტერვიუს გავეცნოთ. სერბი ჩინოვნიკი სხვა საინტერესო თემებსაც მიმოიხილავს.



პრედრაგ მიატოვიჩი

- ძალიან დიდი ხანია არ გვისაუბრია. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს სტუდიაში იმყოფებდით და მზად ხართ, "რადიო მარკას" ჟურნალისტების კითხვებს უპასუხოთ.

- მზად ვარ, იმდენჯერ მოვიდე თქვენს სტუდიაში, რამდენჯერაც დამპატიჟებთ (იცინის). არ ვხუმრობ, თუ გადაუდებელი საქმე არ მექნება, ყოველთვის დიდი სიამოვნებით გესტუმრებით და გაგესაუბრებით.

**- მოდით, თავდაპირველად ტრანსფერებზე ვისაუბროთ. რამონ კალდერონი ხელისუფლებაში კაკას შეძენის პირობით მივიდა, მაგრამ ეს ტრანსფერი დღემდე არ განხორციელებულა. საზოგადოების ერთ ნაწილს ჰგონია, რომ ეს დაპირება სხვა არაფერი იყო, თუ არა უბრალო პოპულიზმი...**

- ვინც ამას ამბობს, ღრმად ცდება. სენიორ კალდერონი "მილანთან" მოლაპარაკებას არჩევნებში გამარჯვებამდე დიდი ხნით ადრე აწარმოებდა. იტალიურმა მხარემ მას პატიოსანი თანამშრომლობის პირობა მისცა. "მილანის" მესვეურებმა მაშინ გარკვევით გვითხრეს, თუ არჩევნებში გაიმარჯვებთ, კაკას ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალურ მოლაპარაკებებს დავიწყებთო. თავად ფეხბურთელი კი თანახმა იყო, "რეალში" გაეგრძელებინა კარიერა. სამწუხაროდ, არჩევნების მოგების შემდეგ "მილანმა" პოზიცია შეცვალა და ტრანსფერის გაჩარხვაზე კატეგორიული უარი განგვიცხადა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მართლაც დიდი შეცდომაა იმის თქმა, რომ კალდერონმა კაკას პერსონა პოპულიზმისა და არჩევნებში გამარჯვებისთვის გამოიყენა.

**- მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის შეძენის იმედი დაკარგეთ?**

- საქმე იმაშია, რომ "რეალის" გულშემატკივრებისთვის ყველაზე სასურველი ფეხბურთელი არა კაკა, არამედ კრისტიანო რონალდოა.

**- როგორ, კაკას უკვე იწუნებთ კიდეც?**

- რომ არ გაგეწყვეტინებინათ, მოგახსენებდით, რომ კაკას ჩვენგან დაფასება არ აკლია. რა თქმა უნდა, უზომოდ ბედნიერები ვიქნებით, თუ ის სამეფო კლუბის ღირსებას დაიცავს... მაგრამ მოდით ვიყოთ გულწრფელები და ვაღიაროთ, რომ "მილანი" პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეულ ბრაზილიელს ცოცხალი თავით არ შეელევა. მით უმეტეს, კაკა ერთდროულად "მილანის" ხერხემალი და გულია.

**- რის საფუძველზე აცხადებთ, რომ "რეალის" გულშემატკივრებისთვის კრისტიანო რონალდო უფრო სასურველი ფეხბურთელია, ვიდრე კაკა?**

- ჩვენ სისტემატურად ვაწარმოებთ სხვადასხვა მასშტაბის სოციოლოგიურ გამოკითხვას. ამ გზით ვცდილობთ, ზუსტად გავიგოთ რა სურთ გულშემატკივრებს. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა სოციოლოგიურმა ორგანიზაციამ ჩვენ მიერ შეკვეთილი გამოკითხვის შედეგი მოგვაწოდა. გავიგეთ, რომ ინჩასების აბსოლუტურ უმრავლესობას პირველ რიგში სწორედ კრისტიანო რონალდოს გადმობირება სურს. ის უპირობო ლიდერია.

**- მზად ხართ, რომ ხალხის სურვილი აღასრულოთ?**

- რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობასაც ძალიან უნდა, რომ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ჩვენი გუნდის ღირსება დაიცვას. რონალდოს ღირსებებსა და ფანტასტიკურ შესაძლებლობებზე საუბარს აღარ დავიწყებ. მის შესახებ ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. სამწუხაროდ, წარმოუდგენელია, "მანჩესტერ იუნაიტედმა" კრისტიანოს გაყიდვა ისურვოს. ინგლისური გუნდი ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში და მათი ფულით მოხიბვლა ძალიან რთული იქნება. ასე რომ...

**- ასე რომ?!**

- დამალვას რა აზრი აქვს?! ვფიქრობ, კრისტიანო რონალდოს შეძენა შეუძლებელია. სამწუხაროა, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით. მანჩესტერელები ჩვენთან საუბარს იმავე წამს წყვეტენ, როგორც კი კრისტიანო რონალდოს სახელს ვახსენებთ. უკვე ველარც დავითვლი რამდენჯერ გამომისტუმრეს კატეგორიული უარით. ბოლოს და ბოლოს დამამცირებელია მუდამ ერთი და იმავეს შეთავაზება და ყოველთვის უარყოფითი პასუხის მიღება. "მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურებმა აბსოლუტურად ყველა გზა დაგვიხშეს. მინიმალური შესაძლებლობაც კი არ დაგვიტოვეს იმისთვის, რომ პორტუგალიელ ვარსკვლავს როგორმე მივუდგეთ და საქმე მკვდარი წერტილიდან დავძრათ.

**- ვიცით, რომ სესკ ფაბრეგასითაც ხართ დაინტერესებული. არ მითხრათ, კატალონიელის შეძენაც შეუძლებელიაო...**

- აქაც თითმის ანალოგიური ისტორიაა. სესკის შეძენას გასულ ზაფხულსაც ვცდილობდით, მაგრამ სანადელს ვერ მივაღწიეთ. "არსენალს" პრაქტიკულად მხოლოდ "რეალი" თხოვდა ფაბრეგასის გაყიდვას, მაგრამ ლონდონელებმა კარგად იცოდნენ, თუ რამდენად ნიჭიერი ფეხბურთელის გადაბირება გვსურდა და წარმოუდგენელი დაბრკოლებები შეგვიქმნეს. არადა, სესკმა ღიად განაცხადა, "სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდი სიამოვნებით ვითამაშებდიო. ამჯერადაც გულწრფელი ვიქნები და ვიტყვი, რომ კატალონიელის შეძენაც გამორიცხულია. არსენ ვენგერს პირადად ვესაუბრე. მან ყველა იმედი გადამიწურა. მითხრა, ძალიან დიდ პატივს გცემთ, მაგრამ თქვენს ინტერესებშია, სესკი დაივიწყოთ. მილიონიდან ერთი შანსიც არ არის, რომ მის გასხვისებას დავთანხმდეო. "არსენალში" კი ვენგერის უკითხავად არაფერს აკეთებენ. ჯადოქარი არ ვარ, მოსიე არსენს ისეთი რამ დავალევინო, რაც პოზიციას 100 პროცენტით შეაცვლევინებს. საქმე იმაში კი არ არის, თუ რამდენს გადავიხდით, ლონდონელები, ისევე როგორც "მილანისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურები მოლაპარაკების დაწყებასაც კი ეწინააღმდეგებიან. ამ პირობებში წარმატებაზე ფიქრი მართლაც უტოპიაა. კედელს რამდენიც არ უნდა უძახო, გაიხსენი და გამატარეო, მაინც არაფერი გამოვა.

**- აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ თუ შესაბამის იარაღებს მოიმარჯვებთ და კედლის დანგრევას დაიწყებთ, სანადელს აუცილებლად მიაღწევთ. როგორ ფიქრობთ, სასურველი ფეხბურთელების ხელშიჩასაგდებად ყველა საშუალება ამოწურეთ?**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთ წამსაც არ დავკარგავ იმ საქმისთვის, რომლისგანაც წინასწარვე ვიცი, რომ არაფერი გამოვა. ამ ეტაპზე ჩამოთვლილი მოთამაშეების შეძენა 100 პროცენტით გამორიცხულია.

**- გავრცელებული ხმების თანახმად, ფერნანდო ტორესით და დავიდ ალბელდათი დაინტერესდით. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?**

- ნეტავ ვინ გაავრცელა ეს ცნობა? ტორესისა და ალბელდას შეძენა არც გვიფიქრია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ ფეხბურთელების მენეჯერებს არ დავკავშირებივართ.

**- რობინიო წელს შეუდარებელია. როგორ ფიქრობთ, ბრაზილიელმა საკუთარი ადგილი იპოვნა?**

- რობინიოს გასულ სეზონში სერიოზული პრობლემები ჰქონდა, რადგან ფაბიო კაპელოს სტილს ვერ ეგუებოდა. ის სულ სხვა ყაიდის ფეხბურთელია. კაპელოს "რეალში" ბრაზილიელს მოქმედების თავისუფლება არ გააჩნდა და შებოჭილად თამაშობდა. წელს კი ყველაფერი შეიცვალა. რობინიო ახლა მართლაც შეუდარებელია. პრაქტიკულად ყველა მატჩში გადამწყვეტ როლს ასრულებს. თუნდაც "ატლეტიკოსთან" დერბი ავიღოთ. მე-40 წამზე მან დაუჯერებელი ფინტი გააკეთა და რაულს გოლი გაატანინა. რობინიოს პირადად ვესაუბრე და დავარწმუნე, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ბოლომდე ენდობა. ის ჩვენი ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. შუსტერმა ბრაზილიელს ის თავისუფლება მიანიჭა, რომელიც აქამდე არ ეღირსა.

**- კაპელოსა და შუსტერი "რეალი" რითი განსხვავდება?**

- სამწუხაროდ, ხშირად აბობენ, თამაშის ხარისხის თვალსაზრისით შუსტერის მოსვლის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილაო. ეს მცდარი შეფასებაა. რა თქმა უნდა, ყოველ ტურში ვერ ვახერხებთ დაუვიწყარი სპექტაკლის დადგმას, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ წლევანდელი "რეალი" შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთაც თამაშობს და უკეთესი შედეგებითაც იწონებს თავს. 2007 წლის ამ დღეს 12 ქულით ნაკლები გვქონდა მოპოვებული და 15 ბურთით ნაკლები შეგდებული. განა ეს არ არის თვალხილული პროგრესი? თავად ფეხბურთელები აღნიშნავენ, რომ სამეფო კლუბში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა.

**- კეთილი, მეც მიმაჩნია, რომ წლევანდელი გუნდი უფრო სტაბილური, სანახაობრივი და ძლიერია. საინტერესოა, პროგრესს მომავალშიც თუ ელით.**

- რა თქმა უნდა. ამ შემადგენლობას გაცილებით უფრო მეტის უნარი შესწევს. შუსტერი სწორად მუშაობს. მან იცის, როდის როგორი ტაქტიკა გამოიყენოს. მერწმუნეთ, მომავალში ბევრად კარგად ვიასპარეზებთ.

**- სერხიო რამოსს ყველაზე ცოტა ხელფასს რატომ უხდით?**

- არასწორი ინფორმაცია გაქვთ. რამოსი "რეალის" ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა. მასთან დაკავშირებით უამრავი ჭორი გავრცელდა. გულშემატკივრებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ - სერხიოს სხვაგან წასვლა არ სურს. "ბერნაბეუზე" ის უზომოდ ბედნიერად გრძნობს თავს.

**- პირადად მე არ მჯერა, მაგრამ ნებისმიერ მადრიდულ ბარში რომ შეხვიდეთ, გაიგებთ ვან ნისტელროის ტრანსფერზე დააყენებენო...**

- ეს ისეთი ტყუილია, კომენტარის გაკეთებაც კი არ ღირს. ვან ნისტელროი სამეფო კლუბის ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული ფეხბურთელია. გიჟები, ან თვითმკვლელები ხომ არ ვართ, რომ გოლების მანქანა ვინმეს დავუთმოთ? ერთი სიტყვით, საქმე მორიგ ჭორთან გვაქვს.




კრისტიანო რონალდო, მსოფლიოს ახალი უძვირფასესი ფეხბურთელი?

ილია ნიკოლაიშვილი




საქართველოს თასი. ფინალი

# ავია აღარ დადის, დაფრინავს!

24 იანვარი, სპორტის სასახლე

**ავიამშენი-თსუ 110:90**

**33:28, 27:27, 24:15, 26:20**

| ავიამშენი | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუში | 38 | 23 | 11 | 8 | 5 | 0 | 4 | 4 |
| ნიკოლაძე | 38 | 30 | 5 | 5 | 0 | 0 | 4 | 3 |
| ხოშტარია | 28 | 17 | 2 | 3 | 0 | 0 | 4 | 2 |
| იმნაძე | 11 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| მათიაშვილი | 37 | 14 | 12 | 3 | 0 | 1 | 2 | 5 |
| კვიმსაძე | 15 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 |
| ნინიაშვილი | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| მინაშვილი | 28 | 22 | 4 | 3 | 1 | 0 | 1 | 2 |
| ჯამი | | 110 | 42 | 24 | 7 | 3 | 19 | 19 |

| თსუ | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არწივიძე | 36 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 3 | 1 |
| ფანჩულიძე | 35 | 8 | 2 | 6 | 2 | 0 | 4 | 4 |
| ბარბაქაძ | 36 | 23 | 7 | 2 | 2 | 0 | 4 | 3 |
| ყველაშვილი | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 |
| კეიდია | 22 | 15 | 7 | 0 | 0 | 2 | 5 | 3 |
| დ. ბერიშვილი | 33 | 17 | 3 | 8 | 2 | 0 | 5 | 2 |
| ტყეშელაშვილი | 25 | 12 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ივანეიშვილი | 4 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ჯამი | | 90 | 30 | 19 | 9 | 3 | 24 | 15 |

მსაჯები: ზ.მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**„თბილავიამშენი" ერთადერთი გუნდია, რომელმაც საქართველოს თასი მეორედ მოიგო. მანამდე ამ საპატიო ჯილდოს „ბასკო", „დინამო", სტუ და „თსუ-ნიკორა" ფლობდნენ. თსუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა კი ყველაზე მეტჯერ, ოთხჯერ გაიყვანა გუნდი ფინალში...**

**რადგან ისტორიულ ციფრებს ვიხსენებთ, აქვე გეტყვით, რომ თასის ექვსი ფინალიდან ყველაზე დიდი სხვაობა გუშინ „ავიამშენი"-თსუ-ს მატჩში დაფიქსირდა - 110:90.**

თსუ-მ და „ავიამშენმა" ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარეს. პირველში „ავიატორები" დაცვაში სუსტად, ხოლო შეტევაში შეწყობილად გაისარჯნენ. შემთხვევითი როდია - საწყის 20 წუთში მათ 60 ქულას მოუყარეს თავი. ლევან მოსეშვილის შეგირდები ფარქვეშაც ზუსტნი იყვნენ და შორი დისტანციიდანაც. ბურთი მეტოქის ნახევარზე სწრაფად გადაჰქონდა **კოტე ტულუშს**, ხან პასებს ფლანგებზე **ნიკოლაძესა** და **ხოშტარიას** უნაწილებდა, ხან ფარქვეშ **იმნაძეს, მათიაშვილსა** და **მინაშვილს** ამარაგებდა. თუკი „ავია" შეტევაში ოდნავ შეყოვნდებოდა, თამაშს საკუთარ თავზე გიორგი ნიკოლაძე იღებდა, ან ფარქვეშ შეფრინდებოდა, ან პერიმეტრიდან ზუსტად სტყორცნიდა. საწყის 20 წუთში გიოს 5-დან 4 სამქულიანი ჰქონდა ჩაგდებული, ხოლო მისი ქულათა მონაგარი 22-ს შეადგენდა.

პირველ ტაიმში თსუ-ს ფარქვეშ თამაში არ გამოუვიდა. სხვებთან ერთად ტანმაღლებიც (**ბარბაქაძე და კეიდია**) პარიმეტრზე ადიოდნენ და იქიდან ატრიალებდნენ ანგარიშის „ბორბალს". კარგადაც გამოსდიოდათ - საწყის 20 წუთში სტუდენტებს მხოლოდ 6 ორქულიანი ჰქონდათ ჩაგდებული, სამაგიეროდ 19-დან 12 სამქულიანის რეალიზება (63.2 პროცენტი) მოახერხეს. ასე და ამგვარად, დიდი შესვენების მაუწყებელმა სირენამ ტაბლოზე მაღალი ანგარიში და „ავიას" მცირე უპირატესობა დააფიქსირა - 60:55.

როგორც ჩანს, შესვენებაზე, მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა დაცვის კედელი ფარქვეშ [illegible]. ხაზთან აიტანა და [illegible] დუეტმა არწივიძე-ფანჩულიძე-ბერიშვილს პერიმეტრი სათანადოდ გადაუკეტეს. ეს მესამე პერიოდის საწყის წუთზეც გამოჩნდა: ჯერ **არწივიძემ**, შემდეგ **ბერიშვილმა** სამიანი რომ ვერ ჩააგდეს, ორი ნაბიჯით „ავიას" საჯარიმოში შეინაცვლეს და იქიდან მოახერხეს ზუსტი ტყორცნა. მეტსაც გეტყვით, მეორე 20-წუთიან მონაკვეთში სტუდენტებმა მხოლოდ 2 სამიანის რეალიზება მოახერხეს. ფარქვეშ კი დაღლილ ბარბაქაძესა და კეიდიას ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. მეოთხე პერიოდიდან თსუ-ს ყველა კალათბურთელს აშკარად შეეტყო დაქანცვა, რაც გასაკვირი ნამდვილად არ გახლავთ - წინა დღეს სტუდენტებმა ხომ მთელი ენერგია „ენერჯის" დამარცხებას შეალიეს. „ავიამ" კი გუშინწინდელი შეხვედრის მსგავსად ბოლო მეოთხედში გაილაღა და თასის ფინალში პირველი 20-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირეს - 110:90.

**თსუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა ყურადღება გაამახვილა რეზერვის არყოლაზე:**

„ტრავმების გამო ერთი-ორი წამყვანი კალათბურთელი გვაკლდა (მათ შორის შიო ხეცურიანი). ამასთან, ამ ზამთარს ორმა კალათბურთელმა დაგვტოვა და მათი არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო. ფინალში გასვლა გახლდათ მაქსიმუმი, რისი გამოწურვაც ამ ეტაპზე თსუ-სგან შეიძლებოდა." ეჰ, კიდევაც გასაკვირია როგორ აცერხებს მწვრთნელი საფინალო გუნდის შეკვრას - სტუდენტებს ხომ სეზონის დაწყებიდან დღემდე ხელფასი არ აულიათ"...

„ავიას" მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა თავი უკმაყოფილოდ გადააქნია, როცა საუბარი პირველ ტაიმზე ჩამოვუგდეთ:

„საწყისი 20 წუთი ძალიან სუსტად ვითამაშეთ, ფაქტობრივად დაცვა არ გვყოლია - მეტოქემ 55 ქულა ჩაგვიგდო. მეორე ნახევარში სიტუაცია გამოვასწორეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ამ გამარჯვებას ჩვენი გუნდის პრეზიდენტს პანტიკო თორდიას ვუძღვნით, რომელიც დღეს იუბილარია. იმის თქმაც შემიძლია, რომ ამჟამად „ავია" ფორმაში მხოლოდ 50 პროცენტითაა. ერთადერთი, ვინც ოპტიმალურ კონდიციებშია, გიორგი ნიკოლაძეა."

გიორგიმ გუშინ 30 ქულა ჩააგდო და დამსახურებულად მოიპოვა ფინალის საუკეთესო კალათბურთელის ჯილდო:

„რთული შეხვედრა გვქონდა. თსუ-მ მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია. მოხარული ვარ რომ ზედიზედ მეორე ტიტული მოვიგეთ - ქორქია-საკანდელიძის თასს საქართველოს თასი მივამატეთ. დარჩა ეროვნული ჩემპიონატი და ვიმედოვნებ, რომ სეზონის ბოლოს ტიტულებს გავასამებთ. ჩემს თამაშზე კი ვერაფერს ვიტყვი - როცა ზედიზედ ორ მატჩში 30 ქულას აგდებ, ე. ი. თანაგუნდელები სათანადოდ გეხმარებიან"...

**ადგილობრივმა დიქტორმა კი განაცხადა, რომ სპორტის სასახლეში კალათბურთი 2 თებერვალს დაბრუნდება - საქართველოს ჩემპიონატის მესამე წრე დაიწყება.**

ვაჟა სიმონიშვილი



საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. ვაჟები

# გოგონათა კვარტეტი

გუშინ ჭადრაკის სასახლეში მეოთხე ტური გათამაშდა და ისედაც თვალსასეირო შეჯიბრი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა. უპირველესი მიზეზი, ცხადია სატურნირო მდგომარეობა და ის მოჭადრაკეები არიან, ვინც „მეორე ეშელონის" წევრებად ითვლებოდნენ, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით პირველ რიგებში იმყოფებიან. ამ მხრივ განსაკუთრებით ყოჩაღობენ ახალგაზრდა გოგონები, რაც, სიმართლე ითქვას, ყველაზე დიდი მოულოდნელობაა. ტურნირზე სულ ოთხი მანდილოსანია და ისეთი რეიტინგით, ლიდერებში ძნელად რომ მოიაზრებდნენ თავს. მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი **ნინო ბაციაშვილს** აქვს, რომელიც ტურნირზე მეთერთმეტეა.

გუშინ ვწერდით, რომ ოთხივე გოგონამ მოიგო და ცხრილის ზედა ნახევარში აინაცვლა. შვეიცარული სისტემის თვისებაა, მოგების შემდეგ საკმაოდ მაღლა იწევ და ლიდერებს ხვდები, წაგების შემთხვევაში კი, უმეტესად სუსტი მეტოქე გერგება. სიმართლე ითქვას, მეოთხე ტურში გოგონათა კვარტეტს დადებით ბალანსს ვერ ვუწინასწარმეტყველებდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვცდებოდით: ოთხიდან სამმა იმარჯვა, ერთმა კი ყაიმით დაასრულა შეხვედრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია **სოფო ხუციძის** მოგება, რომელმაც თეთრი ფერით **ზვიად ფაცია** დაამარცხა. ძლიერი მეტოქე ჰყავდა **ალექსანდრა ვახანიასაც**, თანაც შავებით თამაშობდა, თუმცა ვერც **დავით ზარქუამ** შეძლო მანდილოსანზე უპირატესობის დამტკიცება და მხოლოდ ყაიმს გამორჩა. **მერი არაბიძემ** საერთაშორისო ოსტატი **ალექსანდრე ყაშაშვილი** დაამარცხა თეთრებით და ერთ-ერთი სენსაციის ავტორი გახდა. **ნინო ბაციაშვილმა** თეთრებით დავით ურუშაძეს მოუგო.

კვლავ უნდა აღვნიშნოთ ვეტერან **გიორგი ციხელაშვილის** წარმატება. 59 წლის კაცი ახალგაზრდებს არ ეპუება და ჯიქურ მიიწევს წინ. მეოთხე ტურში მან თეთრებით 25 წლის **შავლეგ შამუგიას** აჯობა და ახლა სამი ქულით მესამე-მერვე ადგილებს იყოფს.

კიდევ ერთ სენსაციაზე უნდა დავწეროთ, მაგრამ, როგორც ჩანს, **გოგა ყუფარაძეს** ძალიან დიდი საჭადრაკო კრიზისის დრო უდგას და ლამის ყველასთან აგებს - გუშინ თეთრებით დამარცხდა 13 წლის **ნიკა ვოლკოვთან.** ცხადია, ნიკას წარმატებას არ ვაკნინებთ, მაგრამ ყუფარაძეს რომ ათასგზის მეტი შეუძლია, ფაქტია.

ახლა კი ლიდერთა შესახებაც ვთქვათ. მეორე დაფაზე **დავით ლომსაძემ იოსებ კვირიაშვილს** შავებით მოუგო. მესამე დაფაზე **ლუკა პაიჭაძემ** თეთრებით მოუგო **ივერი ჭილლაძეს** და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკუთარ ამბიციებს - მას მარტო ექვსეულში მოხვედრა არ დააკმაყოფილებს.

მთავარი და ყველაზე დაძაბული პირველ დაფაზე შემდგარი ბრძოლა იყო: **შოთა აზალაძე გაიოზ ნიგალიძის** დამარცხებას ცდილობდა თეთრი ფერით. იქამდე ნიგალიძეს ნახევარი ქულაც არ დაეკარგა და მეტოქეს ნახევარი ქულით უსწრებდა. აზალაძეს მთელი პარტიის განმავლობაში მცირე უპირატესობა ჰქონდა, რისი გამოყენებაც სრულად შესაძლებელი იყო. გაიოზი თავს მედგრად იცავდა და არ აძლევდა მეტოქეს იმის შანსს, რომ მცირე უპირატესობა დიდში გადაეზარდა - ამას ლამის ერთადერთი სვლებით ახერხებდა. აზალაძე თავისას ცდილობდა და თითქოს შექმნა კიდეც მოსაგები ვითარება - ლაზიერი და კუ ჰყავდა, მეტოქეს კი ლაზიერი და მხედარი, პაიკთა რაოდენობა კი თანაბარი - 5-5. თეთრების შანსები ლაზიერის ფრთაზე უნდა გამოჩენილიყო, სადაც A და B პაიკები მიიწევდნენ მერვე ჰორიზონტალისკენ. A პაიკი მეხუთე უჯრამდეც კი მივიდა და წინაც ვერაფერი ელობებოდა, თან საკუთარი ლაზიერიც უმაგრებდა ზურგს.

მიუხედავად ამისა, შანსები შავებსაც ჰქონდათ და დიდი ყურადღება იყო საჭირო, რომ კონტრიერიში არ გამოპარვოდა აზალაძეს. ცაიტნოტიც ნამოეპარათ მოჭადრაკეებს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა შეცდომის ალბათობას. რთული სათქმელია, აზალაძემ შეცდომა სად დაუშვა, თითქოს სწორად გააკეთა ყველაფერი, მაგრამ ნიგალიძემ შესანიშნავად ითამაშა, ცაიტნოტში ბრწყინვალე სვლა დაინახა - ლაზიერით ისეთ უჯრაზე გადაადგილდა, საიდანაც მეტოქის მეფეზე იერიშის განხორციელება შეიძლებოდა, თუმც ამ სვლის დანახვა იოლი არ გახლდათ. შემდეგ ყველაფერი ნიგალიძისთვის სასურველად წარიმართა და გადამწყვეტ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. აზალაძე თავს მედგრად იცავდა, მაგრამ ცალკე ცაიტნოტი და ცალკე უიმედო პოზიცია გადარჩენის შანსს არ უტოვებდა - ასეც მოხდა: დროში ვერ ჩაეტია და წაგება ჩაეთვალა.

**ნიგალიძე ოთხიდან ოთხი ქულით ერთპიროვნული ლიდერია, ნახევრით ჩამორჩებიან მას ლუკა პაიჭაძე და დავით ლომსაძე. ლიდერის შეჩერებას დღეს პაიჭაძე შეეცდება.**

მეხუთე ტური. პირველი ათი დაფა: **გაიოზ ნიგალიძე (4) - ლუკა პაიჭაძე (3,5); დავით ლომსაძე (3,5) - ნინო ბაციაშვილი (3); პარმენ გელაზონია (3) - მერი არაბიძე (3); თამაზ მგელაძე (3) - გიორგი ციხელაშვილი (3); ივერი ჭილლაძე (2,5) - სოფო ხუციძე (3); ნოდარ დავარაშვილი (2,5) - ლევან ბრეგაძე (2,5); ალეკო მინაშვილი (2,5) - დავით ზარქუა (2,5); ზვიად ფაცია (2,5) - დავით ბენიძე (2,5); ალექსანდრა ვახანია (2,5) - შოთა აზალაძე (2,5); ალექსანდრე ყაშაშვილი (2) - იოსებ კვირიაშვილი (2).**

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვიქტორ დიდებულიძესთან

# ფრანგულ კლუბებთან პრობლემა საბოლოოდ უნდა გადაიჭრას!



მარცხნივ - ვიქტორ დიდებულიძე

საქართველოს ნაკრების ორი ქართველი მწვრთნელიდან ერთ-ერთი საფრანგეთის ფედერალ 1-ში მოასპარეზე კლუბ „მასის" მოთამაშე-მწვრთნელი ვიქტორ დიდებულიძეა. ბორჯღალოსანთა ვეტერანი მეორეხაზელი ეროვნულ გუნდში მთავარი მწვრთნელის ასისტენტ- სელექციონერი იქნება და საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერებს გაუწევს კურატორობას. ვიქტორს გუშინ საფრანგეთში შევეხმიანეთ.

- რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან ნაკრებში სელექციონერად ჩემი დანიშვნის შესახებ სატელეფონო საუბარი მქონდა. - გვიამბობს ვიქტორ დიდებულიძე. - მართალი გითხრათ, ბოლომდე გათვითცნობიერებული არა ვარ, კონკრეტულად რა მევალება. პორტუგალიასთან თამაშისთვის ლეგიონერებთან ერთად ჩამოვალ. დავსხდებით და კონკრეტულად დავილაპარაკებთ, რას მოითხოვენ ჩემგან.

**- რაც არ უნდა იყოს, ვფიქრობთ, ეროვნულ ნაკრებში ერთ-ერთ მწვრთნელად მუშაობა დიდი პატივი უნდა იყოს.**

- რა თქმა უნდა. წინადადება ჩემთვის ძალიან სასიხარულოა. ვისაც რაში დავჭირდები, დიდი სიამოვნებით დავეხმარები, მაგრამ საქმე იმაშია, რომ საფრანგეთშიც საქმეები მაქვს. „მასიში" ამჟამად მოთამაშე-მწვრთნელი ვარ. თავიდან გუნდის საქმე ცუდად აეწყო და შუა სეზონში მწვრთნელობა შემომთავაზეს. გუნდმა ნელ-ნელა საქმე გაიუმჯობესა და ახლა პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი გვაქვს. საბოლოოდ ალბათ თამაშს თავს დავანებებ და მარტო მწვრთნელობით ვიქნები დაკავებული. ამასთან სწავლასაც ვაგრძელებ მწვრთნელთა სკოლაში, დიპლომი მინდა ავიღო. თუ ყოველივე ამაში ნაკრებში შემოთავაზებულმა წინადადებამ ხელი არ შემიშალა, ცხადია არანაირი პრობლემა არ შეიქმნება. ყოველივე კი საბოლოოდ თბილისში ჩემი ჩამოსვლის შემდეგ გადაწყდება.

**- საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელზე, ტიმ ლეინზე რა გსმენიათ?**

- საფრანგეთში მას კარგ მწვრთნელად იცნობენ. აქ ტიმს „კლერმონსა" და „ტულონში" უმუშავია. მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი მწვრთნელია. ვფიქრობ ის ჩვენი ნაკრებისთვის ძალიან საჭირო სპეციალისტია. როგორც წესი, გუნდი რაღაც დონეს რომ აღწევს, მერე განვითარება ჩერდება, სტაგნაცია იწყება. ჩვენ გუნდში ეს არ უნდა მოხდეს. ტიმ ლეინს ეს შეუძლია, ის თანაც უკანა ხაზის სპეციალისტია, რაც საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი სუსტი მხარეა. ტიმს შეუძლია ხელით თამაში და შერკინებასთან უკანა ხაზის ურთიერთობა დაალაგოს. პირადად მე მისი დიდი იმედი მაქვს.

**- ფიზმომზადების მწვრთნელი ნიკოლა ფულკიესთან ნაკრებში უკვე გიმუშავიათ. როგორ დაგვიხასიათებთ მას?**

- თუ სიმართლე გინდათ, მსოფლიო თასზე ჩვენი ნაკრების ასეთი კარგი გამოსვლა მეტწილად სწორედ ფულკიეს დამსახურებაა. გუნდი ფიზიკურად მშვენივრად იყო მომზადებული. თანაც, ფულკიე ყველა ასაკის ნაკრებებთან იმუშავებს. რაგბის კავშირის ეს გადაწყვეტილება სწორედაც რომ მისასალმებელია. ფიზმომზადების თვალსაზრისით ჩვენთან სერიოზული პრობლემებია, ისევ ძველი მეთოდებია შემორჩენილი. კარგია, რომ რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს სწორი ხედვა აქვთ. ზუსტად იმაზე მახვილდება ყურადღება, რაც პრობლემატური გვაქვს. იგივე ტიმ ლეინიც, ის ხომ უკანა ხაზის სპეციალისტია და ვფიქრობ მასაც მაქსიმალურად სჭირდება დატვირთვა, რომ ჩვენი რაგბის ამ სუსტ მხარესაც ეშველოს.

**- შერკინების მწვრთნელად „ბორჯღალოსნებს" ლევან ცაბაძე დაუნიშნეს, რომელსაც სამწვრთნელო პრაქტიკა არა აქვს.**

- ლეონსიო საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბეა. როგორც მწვრთნელს, გამოცდილება არ აქვს, მაგრამ შერკინების თამაში საკუთარი ხუთი თითივით იცის. თუ რამე პრობლემა შეექმნება, ტიმ ლეინიც დაეხმარება და მეც. სწორედ ამიტომ შეიქმნა მწვრთნელთა ასეთი შტაბი. ერთმანეთს გვერდში უნდა დავუდგეთ.

**- პორტუგალიასთან თამაშის წინ ჩვენ ეროვნულ ნაკრებს შემადგენლობის მხრივ სერიოზული პრობლემები შეექმნა.**

- IRB-მ სამწუხაროდ ისეთი კანონი მიიღო, რომ კლუბებს ანიჭებს უპირატესობას. თუმცა, მეორე მხრივ, ნაკრების ძირითადი ბირთვი სათამაშოდ რომ ვერ ჩამოდის თავისი პლუსიც აქვს. ვფიქრობ, საინტერესო იქნება ბევრი ახალი მოთამაშის ნახვა. მათ ტიმ ლეინიც არ იცნობს - ვინც იცის, ისინიც ვიდეოფირით გაიცნო. ახლა კი ცოცხლად იხილავს, ვის რა შესაძლებლობა გააჩნია. ისე კი, რაგბის კავშირს ფრანგულ კლუბებთან დაკავშირებულ პრობლემაზე სერიოზული მუშაობა მართებს. ფრანგები ამას მხოლოდ ჩვენ და რუმინელებს უბედავენ, თორემ ინგლისელებს, ირლანდიელებს და ფრანგებს ნაკრებში თამაშზე პრობლემას ვერ უქმნიან. ამიტომ რაგბის კავშირი სათანადო დონეზე უნდა დადგეს და ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას.



ტოჩინოშინი

იანვრის ბაშო

# ტოჩინოშინი კვლავ იგებს

ახალი წლის ბაშოზე მეცხრე მაეგაშირა კოკაის (**ლევან ცაგურია**) დადებითი ბალანსის დაბევამდე ერთი მოგებაა აშორებს, თუმცა ჩვენთვის უფრო საინტერესო ამბები მეორე ელიტურ დივიზიონ ძურიოში ხდება, სადაც 20 წლის **ლევან გორგაძე** სასწაულებს ჩადის - ბაშოს დასრულებამდე სამი დღით ადრე დებიუტანტი ქართველი ლიდერობს.

კოკაი ელიტის ყველაზე მძიმე რიკიშის, 180-კილოიან დებიუტანტ **იჩიჰარას** ხვდებოდა. დაჯახების მერე, კოკაიმ თავისკენ მიიზიდა მეტოქე და დოჰიოს ცენტრში დაანარცხა. ქართველს 7-5 ბალანსი აქვს და დღესვე შეუძლია რეიტინგში წინსვლა დაიზევოს. ამისთვის მან 19 წლის ოსი **სოსლან გაგლოევი (ვაკანოჰო)** უნდა დაამარცხოს. ვაკანოჰო 195 სმ. სიმაღლისაა და 154 კილოს იწონის. ნოემბერში კოკაი პირველად შეხვდა ვაკანოჰოს და დამარცხდა.

იმპერატორის თასისთვის ბრძოლა კი გახურდა, სავარაუდოდ, ორ დიდ ჩემპიონს შორის დაპირისპირება გადაწყვეტს თასის მორიგი მფლობელის ვინაობას. **ჰაკუჰოს** და **ასაშორიუს** 11-11 მოგება აქვთ. ათი მოგებით შანსებს ინარჩუნებს მერვე მაეგაშირა, მონღოლი **კაკურიუ**. ცხრა-ცხრა მოგება **ტაკეკაძეს** და **კიოკუტენჰოს** აქვთ.

ძურიოში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ლევან გორგაძემ (**ტოჩინოშინი**), რომელიც ერთ-ერთ ფავორიტ, მონღოლ **ჰოშიჰიკარის** ხვდებოდა. ქართველმა უვატენაგეს ილეთით იმარჯვა და 9-3 ბალანსი გაუხდა. ასეთივე ბალანსი მხოლოდ ვეტერან **კიტაძაკურას** აქვს. ტოჩინოშინს და კიტაძაკურას ერთბაშად ექვსი რიკიში მისდევს კვალში რვა-რვა მოგებით.

დღეს ტოჩინოშინი მეოთხე ძურიოს **კოტოკასუგას** ხვდება. 30 წლის კოტოკასუგა 7-5 ბალანსით ლიდერთა სიახლოვესაა. კოტოკასუგას კარიერის მიწურულს უკეთესი შედეგები აქვს, ასე მაღლა რეიტინგში ის არასოდეს ყოფილა.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში დადებითი ბალანსი და შემდეგი წინსვლა დაიბევა **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ). ქართველმა ერთადერთ ყაზახ სუმოისტს **კაზაფუძანს** მოუგო და 4-2 ბალანსი გაუხდა. გაგამარუ მაკუშიტას 35-ე ნომერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)
13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

**მაკუუჩი**

XII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი-იჩიჰარა 1:0 (ჰიკიოტოში), ასაშორიუ-ამინიშიკი 1:0, ჰაკუჰო-კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი-ასასეკირიუ 1:0, კაიო-კიოკუტენჰო 1:0, ამა-კისენოსატო 1:0, ტოჩინონადა-დეჯიმა 1:0, კოტოშოგიკუ-ტოკიტენკუ 1:0, როჰო-მიაბიამა 1:0, ბარუტო-ტოიონოშიმა 1:0, გოეიდო-ჰომაშო 1:0, კასუგაო-ჰოკუტორიკი 1:0, კაკურიუ-ფუტენო 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **11-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ასაშორიუ (იოკოძუნა). 10-2: კაკურიუ (მაეგაშირა 8). 9-3: ტაკეკაძე (მ 7), კიოკუტენჰო (მ 10). 8-4: კაიო (ოძეკი), კისენოსატო (მ 1), ასასეკირიუ (მ 4), ვაკანოჰო (მ 10), კასუგაო (მ 11), ფუტენო (მ 12), ივაკიამა (მ 13). 7-5: კოკაი (მ 9).**

XIII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი-ვაკანოჰო, ჰაკუჰო-კაიო, ასაშორიუ-კოტომიცუკი, კოტოოშუ-ტაკეკაძე, ამინიშიკი-ტოიონოშიმა, ამა-მიაბიამა, კოტოშოგიკუ-გოეიდო, ვაკანოსატო-დეჯიმა, კიოკუტენჰო-კისენოსატო, კაკურიუ-ტოკიტენკუ, ტოჩინონადა-ვაკაკირინი, ფუტენო-ასასეკირიუ, კასუგაო-კაიჰო.**

**ძურიო**

XII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **ტოჩინოშინი-ჰოშიჰიკარი 1:0 (უვატენაგე), მოკონამი-კორიუ 1:0, ჰაკუბა-ჰაკუროძანი 1:0, ოცუკასა-ტამავაში 1:0, კიტაძაკურა-მასაცუკასა 1:0, შიროონოამი-კიტატაიკი 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. **9-3: კიტაძაკურა (ძურიო 8), ტოჩინოშინი (ძ 12). 8-4: საკაიძავა (ძ 3), ჰოშიჰიკარი (ძ 5), ჰაკუბა (ძ 8), შიროონოამი (ძ 9), კიტატაიკი (ძ 11), ტამავაში (ძ 13).**

XIII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **ტოჩინოშინი-კოტოკასუგა, კიტაძაკურა-საკაიძავა, შიროონოამი-ოცუკასა, ჰოშიჰიკარი-ტამავაში, კიტატაიკი-ჰაკუბა.**

## ოქსანა ფედკაპაზე გადაერთვება

**ჩოგბურთი.** 17 წლის ოქსანა კალაშნიკოვა საბოლოოდ დაემშვიდობა კაარსტის (10 ათასი დოლარი) საერთაშორისო ტურნირს. ოქსანამ **დომინიკ რეპოლთან** (გერმანია) წყვილში მეორე წრეში პირველ ნომრად განთესილ დუეტთან (**იულია ბეიგელციმერი, ნეუსა სილვა**) წააგო - 4:6, 4:6. ამით ოქსანა კალაშნიკოვა ფიუჩერსის ტურნირებიდან „ფედერაციის თასზე" გადაერთვება, სადაც (ბუდაპეშტში) საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპა-აფრიკის I ზონაში ითამაშებს.

16 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** ჩეხეთის ახალგაზრდულ ლია პირველობაზე მონაწილეობდა, რომელიც მეორე კატეგორიის საერთაშორისო ტურნირია 18-წლამდელთა ასპარეზზე. კუხალაშვილი 105-ე ჩოგანია ახალგაზრდებში, ჩეხეთში ის მე-8 ჩოგნად განთესეს. პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელი ისვენებდა, მეორე წრეში ის „უაილდ ქარდით" მიწვეულ ჩეხ **ემანუელ რეპოლას** შეხვდა და მოულოდნელად დამარცხდა - 3:6, 1:6. წყვილთა თანრიგში ლაზარე იტალიელ **ენრიკო ფიოროვანტესთან** ერთად დუეტში პირველ ნომრად განთესეს ტურნირში. პირველ წრეში ისინი ისვენებდნენ, მეორეში კი მათი მეტოქეები ჩეხები იქნებიან, იგივე რეპოლა და **რადიმ ურბანეკი**.

თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების ცენტრის გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშის, პედაგოგისა და მოღვაწის, ქართული ტანვარჯიშული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის გ. ეგნატაშვილის შვილი, საქართველოში შევარდნული მოძრაობის მემკვიდრეობის ღირსეული დამცველი, ქართული სპორტის ვეტერანი მუშაკი, სპორტის ოსტატი აკრობატიკაში

ირაკლი ეგნატაშვილი

და სამძიმარს უცხადებს გასვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: 25.01; 16 სთ. გამოსვენება: 26.01; 14 სთ-ზე. მისამართი: ნინოშვილის, 46-ბ.

**კალათბურთი**

ევროლიგა

# ჰერბერტმა, ბოისამ და ბერძნებმა თურქეთი დაარბიეს

**ვლადიმერ ბოისას** „არისმა" თურქულ „ეფესი" სძლია და ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა ოფიციალურად გაიფორმა. **გორდონ ჰერბერტის** გაწვრთნილმა ბერძნებმა ყველასთვის მოულოდნელად „ეფეს პილსენი" მისსავე მოედანზე 84:74 დაამარცხეს.

სადღეისოდ „არისს" ევროლიგის რვაგუნდიან ჯგუფში 7 მოგება, 6 წაგება აქვს და მეხუთე ადგილზეა. მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე თითოეული ჯგუფიდან 5-5 საუკეთესო გადის. მეექვსეადგილოსან ხორვატიის „ციბონას" 4 მოგება აქვს და „არისს" რომ ვერ დაეწევა, წინასწარაა ცნობილი.

„ეფესთან" გამარჯვებაში დიდი წვლილი ფინელ **ჰანო მოტოლას** მიუძღვის, რომელმაც ბოლო წუთებზე თავი სამქულიანებით გამოიჩინა და შეხვედრის სნაიპერი გახდა - 22 ქულა.

ვლადო ბოისამ მოედანზე 16 წუთი გაატარა და მეტოქის კალათის მიმართულებით ბურთი ერთხელაც არ უსვრია. ქართველი ფორვარდის ანგარიშზე მხოლოდ 3 მოხსნაა. იმედია, ბოისა აკლიმატიზაციას მალე გაივლის და ქულების მოხვეჭასაც შეუდგება.

პირველი ეტაპის ბოლო მატჩს ბერძნული „არისი" 31 იანვარს ჩაატარებს - „მაკაბის" უმასპინძლებს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔᲡ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲐ

**ᲛᲐᲨᲘᲜ მეთოთხმეტე წელიწადში იყო გადამდგარი. „დინამოს“ სტადიონზე სოფლის სკოლებს შორის საქართველოს პირველობა დასრულდა თუ არა, ოზურგეთელმა ბიჭმა რკინიგზის სადგურს მიაშურა. თბილისი სხვა გზა არ იცოდა, თუმცა, არც არსად ჰქონდა წასავლელი. შინ დასაბრუნებლად მატარებელს უნდა დალოდებოდა. სადგურზე ერთ კაცს ხელში „ლელო“ შენიშნა და, რას ხედავს, წინა დღეს მისი გამარჯვების ამსახველი ფოტო იყო გაზეთში გამოქვეყნებული. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ სასურველი გაზეთი უკვე აღარსად იყო. ისევ იმ კაცს აეტუზა. „რა იყო ბიძია, რას აკვირდები“ - მიუგო უცნობმა. „აი, ეგ ჩემი სურათია“ - დაიმორცხვა ბიჭმა. ბოლოს გაბედა და, მაჩუქეო - სთხოვა. ვერ დათმო, თურმე ჯერ არ წაეკითხა ბოლომდე. ბიჭს შინ გაყოლა შესთავაზა. რაკი დრო ჰქონდა, ბიჭიც დათანხმდა. სადგურთან ახლოს გოგოლის ქუჩაზე მივიდნენ. „აი, ვინ მოგიყვანე, ეს ბიჭია“, - მიუთითა დიასახლისს გაზეთში დაბეჭდილ ფოტოზე. „დიდხანს ვილაპარაკეთ, კარგი სუფრაც გაიშალა. სალამოს გაზეთიანად გამომისტუმრეს. მერე იმ გაზეთმა მთელი რაიონი მოიარა და ძლივს დავიბრუნე გაცრეცილი“ - იგონებს საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔ.**



## ᲓᲝᲡᲘᲔ

დაიბადა ოზურგეთში, 1949 წელს. მძლეოსნობაში ვარჯიში დაიწყო ცნობილ მწვრთნელ გიორგი (ჟორა) ერქომაიშვილთან. დარბოდა 100 და 200 მ. დისტანციებზე. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, სსრკ ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებული, „ბურევესტნიკის“ საკავშირო ჩემპიონი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის (1967) ფინალისტი. 200 მ. რბენაში 14 წელი გაძლო მისმა რეკორდმა. სწავლის გამო ადრე წავიდა აქტიური სპორტიდან. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომისტის სპეციალობით. იმუშავა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1989 წლიდან სპორტს დაუბრუნდა მას შემდეგ, რაც ერთხმად აირჩიეს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად.

**Ბატონო თამაზ, თქვენ ერთადერთი ბრძანდებით, ვინც აგერ თითქმის 20 წელიწადია უცვლელად რჩებით ეროვნული სპორტული ფედერაციის პრეზიდენტად. რას მივაწეროთ ასეთი „გამძლეობა“, არ დაილალეთ?**

- ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვემსახურები ყმაწვილობისდროინდელ გატაცებას. როცა შენი სამყარო ზედიზედ რამდენჯერმე გამოგიცხადებს ნდობას, რა დამღლის, ყოველი ახალი ნდობა, ახალი სტიმული და ენერია იყო ჩემთვის.

**- გენდობიან, მაშასადამე გაფასებენ კიდეც. მაინც რის გამო, რა გააკეთეთ ასეთი?**

- უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ...

**- არა, მაინც უნდა მიპასუხოთ.**

- მაშინ, მოკლედ გეტყვით. ადამიანებს, შენ სამყაროს არ უნდა მოსწყდე. ყველას უნდა გაუგო, მათზე ზრუნვის გარდა, საერთო საქმისთვის თავდადების მაგალითის მიმცემიც უნდა იყო.

**- რა არის ისეთი, რისი მიუღწევლობაც დარდად გაწევთ?**

- მოჭიდავეების შემდეგ, მძლეოსნებმა მოუტანეს საქართველოს ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი. გვყავს უამრავი სხვადასხვა რანგის ასპარეზობებში გამარჯვებული და პრიზიორი ვეტერანები. აი, ვინ რჩება მთავარ საზრუნავად. რაც გავაკეთეთ და თუ მომავალში კიდევ გავაკეთებთ უკეთესს მათთვის, ეს სრულად მაინც ვრე იქნბა მათი დაფასების ადეკვატური. ისინი მეტს იმსახურებენ. მათდამი თანადგომა საჭიროა თუნდაც იმისთვის, რომ შემდგომ თაობებს მომავლის რწმენა ჰქონდეთ. აი, ამ პრობლემებზე ფიქრი თან დამდევს მუდამ.

**- გეთანხმებით, მაგრამ ახალგაზრდა თაობა მხოლოდ მომავლის იმედად ვერ იქნება. ფასდება კი ღირსეულად თუნდაც იმათი გარჯა, ვინც დღეს სარბიელზე გამოდის?**

- სრულფასოვნად არა. მარტო სურვილი არ არის საკმარისი. წავიდა ის დრო, როცა ფარატინა ქაღალდი, რომელსაც დიპლომი ჰქვია და უკეთეს შემთხვევაში, იაფფასიანი მედლით ამოიწურებოდა სპორტსმენის მიღწევის წახალისება.

**- რაში ხედავთ გამოსავალს?**

- უპირველესად ბიზნესის სამყარომ უნდა გამოიღოს ხელი, როგორც ეს უცხოეთშია მიღებული.

**- არ გიცდიათ...**

- არაერთხელ ვცადე, მაგრამ ასევე არაერთხელ ვინანე, შეურაცხყოფილი დავრჩი.

**- რატომ.**

- ჩვენში ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ რა არის სპონსორობა და რა არის მათხოვრობა. ოლიმპიურ ჩემპიონს დავეხმარებითო, ამბობენ. ჩემპიონის გაზრდაში კი შემწეობა არავის სურს. ასე დიდხანს აღარ გაგრძელდება.

**- რისი იმედი გაქვთ?**

- საკუთარი თავის. ღმერთმა გაანათლოს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო. თავის დროზე ამ კაცმა 18 ათასი დოლარი გამოგვიყო, რითაც ვაკეში მძლეოსნობის მანეჟის გამოსყიდვაში წილი დავიდეთ. დღეს ამ თანხამ მილიონს გადააჭარბა ჩვენი წილი აქციების გაყიდვით.

**- ეს კარგი ამბავი გვითხარით, რას აპირებთ?**

- მოდით, ჯერ ასე ვთქვათ: ოლიმპიური ჩემპიონებისა და პრიზიორების ვიქტორ სანეევის, რობერტ შავლაყაძის, ნინო დუმბაძის, ლევან სანაძის, საიდა გუმბას, მაია აზარაშვილის ქვეყანაში, რიგით ვეტერან მძლეოსანს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად რომ აგირჩევენ, თანაც ზეიზედ ექვსჯერ, ეს ხომ უნდა დააფასო, მეც ხომ უნდა ვუპასუხო რაღაცით. ვინმე ჩვენიანი აღარ მინდა ამიერიდან სხვის ხელებში შემყურედ ვიხილო. ყველას დავეხმარებით, რაც მუდამ ჩემი ოცნება იყო. ბანკიდან სოლიდური პროცენტი გვექნება მუდმივად. გავიღებთ მკურნალობის ხარჯებს, გადავიხდით იუბილეებს, დავაწესებთ ჩვენი ლეგენდარული ვერეტანი მძლეოსნების პრიზების გათამაშებას, მათი სახელები არ უდა დაავიწყდეს მომავალ თაობებს. ბინას დავიდებთ ხეირიან ოფისში. იცით, რომ აქამდე მილოცვების და განცხადებების გმოქვეყნებაც ნისიად გვიხდებოდა. სპორტსმენთა და მწვრთნელთა მატერიალური წახალისების შესაძლებლობაც მოვგეცემა. გამრავჯვებულ სპორტსმენს, სულ მცირე, 1000 ლარი ხომ მაინც უნდა მისცე, მწვრთნელს თუნდაც ამის ნახევარი. მოკლედ შეიქმნება დახმარების ფონდი, რომელსაც ფედერაციის პრეზიდიუმი თავისი გადაწყვეტილებებით განკარგავს თანხებს.

**- ადრე იხვეწებოდით ვინმე ფულით მოსულიყო თქვენს ადგილზე პრეზიდენტად ეროვნულ ფედერაციაში და არა იდეით, როგორც იტყვით ხოლმე. ახლა შეიძლება კონკურენტებიც გამოჩნდნენ, თქვენს ზემოთქმულს რომ შეიტყობენ.**

- საქართველოს მძლეოსნობის სამყარო ბრძენია, იმას ვერავინ გაბედავს, ამ ხალხს რაც არ ეკადრება.

**- მოდით, ბაზების საკითხზეც ვისაუბროთ, შემდეგ კონტინგენტსაც შევეხოთ...**

- სამწუხაროდ, ბაზებს მხრივ სავალალოა ვითარება. ნაწილობრივ გამოსწორდა პრობლემა „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციით, თუმცა აქაც შეუძლებელია საერთაშორისო ტურნირის ჩატარება. იცით, რომ სათადარიგო არენაა სავალდებულო, გასახდელების გამტარუნარიანობაც ვერ აკმაყოფილებს ნორმატივს. მაგრამ მონდომების შემთხვევაში, ამ მოთხოვნების გამოსწორება შეიძლება. გოჩა ძასოხოვმა დიდუბის მანეჟიც შეიძინა. ეს ობიექტიც მთლიანად განახლდება. აღფრთოვანებული ვარ ბატონ გოჩას დამოკიდებულებით სპორტისადმი. იცით რა მითხრა, როცა სიტყვა მძლეოსნობაში ბავშვთა მასობრივ მოზიდვაზე ჩამოვუგდე და შემწეობა ვთხოვე? „მე სპორტული ბაზები იმიტომ არ მიყიდია, ფული ვიშოვნო, შენ ის გააკეთე ბავშვებმა იურიამულონ, მოგება არ მაინტერესებსო“. აი, რა მიმაჩნია კიდევ ერთ დიდ სტიმულად, რომ მძლეოსნობა საქართველოში აღორძინდება. ბიზნესმენთა ამგვარ მიდგომაშია ქართული სპორტის ხსნა და მომავალი.

**- მომეცადინეთა სიმრავლით, ისე როგორც სპორტის სხვა ბევრი სახეობა, დღეს მძლეოსნობაც ვერ დაიკვეხნის, როგორია სტატისტიკა?**

- წინათ საქართველოში სპეციალიზებული 8 სკოლა მუშაობდა, აქედან თბილისში - 5. დღეს მხოლოდ კომპლექსურ სკოლებში შემორჩა ჯგუფები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში... ნაცვლად 6-7 ათასისა, ახლა „სპორტის დედოფალს“ სულ 1000-1500 მიმდევარი ჰყავს მთელ ჩვენს ქვეყანაში. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი დავით ნამგალაური დაგვპირდა იჯარის ფულს გადაიხდის და თბილისის სკოლების მოსწავლეთა მასობრივ შერჩევას ჩავატარბთ ნიჭიერთა გამოსავლენად. რაც შეეხება მწვრთნელებს, უნდა ვთქვა, რომ 250 სპეციალისტიდან ახლა მხოლოდ 50-60 დარჩა. ახალგაზრდა კი მათგან მხოლოდ 15-მდეა . მალე, ალბათ, კადრები პრობლემის წინაშეც დავდგებით, რაც არ შეიძლება არ გვადარდებდეს.

**- არადა, მძლეოსნობა სპორტის ყველა სახეობას ეხმარება ათლეტთა ოსტატობის სრულყოფაში და მაღალი შედეგების მიღწევაში...**

- მართალი ბრძანდებით. უკვე გაჩნდა სერიოზული მოთხოვნა მძლოესნობის მაღალკვალიფიცირებულ კადრებზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში თუ ცალკეულ კლუბებში. ამის საჭიროება მომავალში უფრო გაიზრდება. ამიტომ აქედანვეა ზრუნვა მაღალი დონის სპეციალისტების მოსამზადებლად. ეს უკვე ქართული სპორტის საერთო ინტერესებში შედის.

**- ათეული წლებია გიცნობთ, მეგონა ძალიან კარგადაც. მეგონაო, ვამბობ იმიტომ, რომ ბევრი რამ პირველად დავინახე თქვენში, უპირველესად ადამიანური თვალსაზრისით. რა არის თქვენი ფილოსოფია?**

- ყველაზე დიდი ფილოსოფია კაცობაა. შინაგანი მრწამსის წინააღმდეგ ვერ წავალ. ვარ ის, რაც ვარ და ასეთად დავრჩები ბოლომდე. დაპირისპირება ყველა საქმეს ვნებს. სპორტში რომ დავბრუნდი, ჩვენ სამყაროშიც დამხვდა დაძაბულობა. რა გვაქვს გასაყოფი. ამ ბოლო 19 წლის განმავლობაში 100-მდე ჩვენი დიდი ოჯახის წარმომადგენელი წავიდა ამქვეყნიდან. ეს ხომ მტკივნეულია, სიცოცხლის ნაწილი ხომ მიაქვს... აი, რა უნდა გვახსოვდეს. აფხაზეთის მოვლენების დროს ბევრი დევნილი, თავად მოვიძიეთ და ჩავასახლეთ ჩვენს სასტუმროში ოჯახებით.

**- სპორტში 20 წლის განშორების შემდეგ დაბრუნდით. აგერ, ლამის კიდევ ერთი 20 წელიწადი მიილევა, რაც ფედერაციას თავკაცობთ. გატყობთ, ახლა უფრო ოპტიმისტურად უყურებთ ხვალინდელ დღეს. საქმე მაინც შედეგით ფასდება. კარსაა მომდგარი პეკინის ოლიმპიადა. ჯერჯერობით ლიცენზია არც ერთ მძლეოსანს არ მოუპოვებია. აქ თუ გაქვთ ოპტიმიზმის საფუძველი?**

- რა თქმა უნდა, მაქვს, თანაც ძალიან მყარი. ათენის ოლიმპიადის მონაწილენი მარიამ ქევხიშვილი და დავით ილარიანი პეკინის საგზურს უთუოდ მოიპოვებენ. მარიამი ემზადება ამერიკაში, დავითი ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ - უკრაინაში. სამწუხაროდ, ჩვენთან სავარჯიშო შესაბამისი პირობები ჯერ არ არის. სავარაუდოდ, კიდევ ოთხი სპორტსმენიდან, რომელიმე უნდა გახდეს ოლიმპიელი. კარგი შანსი აქვთ შავი ზღვის თამაშებში გამარჯვებულს, ბირთვის მკვრელ გიორგი ბედოშვილს, ბადროს ტყორცნაში მეორე პრიზიორს სალომე რიგიშვილს და შუბის მტყორცნელ როსტომ ჭინჭარაულს.

**- რამდენადაც ვიცით, ფედერაციებთან სპორტის დეპარტამენტმა ხელშეკრულებები გააფორმა მიმდინარე წლის დაფინანსებასთან დაკავშირებით. ალბათ, თქვენც მიიღეთ სახელმწიფო დაკვეთა.**

- მივიღეთ, რა თქმა უნდა. ყველა გახარებული ვართ, რომ ასეთი სოლიდური ფინანსური მხარდაჭერა ადრე არასდროს გვქონია. სპორტის დეპარტამენტს, მის ხელმძღვანელებს კარგად ესმით, რომ მძლეოსნობას მართლა ჭირდება აქტიური თანადგომა.

**- პეკინის ოლიმპიადის გარდა, წლეულს რა მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებაში გეგმავთ მონაწილეობას?**

- უპირველესად, ყურადღებას ჩვენი სასიქადულო ოლიმპიური პრიზიორის მაია აზარაშვილის სახელობის კროსზე გავამახვილებ. როგორც იცით, ეს შეჯიბრება საერთაშორისო სტატუსისაა და წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდება. პირველი სამი ასპარეზობა ბორჯომში ჩატარდა, შემდეგი ორი - თბილისში, წლეულს მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა გვეყოლება, მინიმუმ 20 ქვეყნის მორბენლები ჩამოვლენ საასპარეზოდ 27-29 სექტემბერს, ამჯერად - ბათუმში.

აქვე გეტყვით, რომ ძალიან მაღალია მაია აზარაშვილის ავტორიტეტი მძლეოსნობის საერთაშორისო ორგანიზაციებში. მაია ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანია და დიდი პატივია ჩვენი ქვეყნისთვის, რომ იგი ევროპის ფედერაციაში აირჩიეს ყველაზე ავტორიტეტული ორგანოს - განვითარების კომისიის წევრად.

**- გისურვებთ წარმატებებს.**

- ულრმესი მადლობა „ლელოს“.

ესაუბრა
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ



პრიმო ნებიოლოსთან



თამაზ მდინარაძე, დავით ნამგალაური, მაია აზარაშვილი


ზაზა კედელაშვილი


მასატო უჩიშიბა

# მასატო ზაზას არაფერს ეკითხება

## რეპორტაჟი გივი კარტოზიას დარბაზიდან

**ერთი დღეც და თბილისის საერთაშორისო ტურნირი 33-ედ აიღებს სტარტს. სტუმართა დიდი ნაწილი უკვე გვესტუმრა, დანარჩენები კი დღეს ჩამოვლენ.**

სასტუმრო „ბატესტაში" დაბინავებული ჩვენი ნაკრები **გივი კარტოზიას** სახელობის დარბაზში ემზადება. გუშინდელი ვარჯიშიც, ჩვეულებისამებრ, დილის 11 საათზე დაიწყო, ოღონდ რამდენიმე განსხვავებული შტრიხით -ჩვენებთან ერთად იქ ამჯერად იაპონელები და კანადელებიც ვარჯიშობდნენ, მასპინძლებს კი რამდენიმე ლიდერი აკლდა - **ირაკლი ცირეკიძე (90) ზაზა კედელაშვილი (66)** და სატურნიროდ შეგულებული 28-კაციანი შემადგენლობის ნაწილი ლეიბზე ვარჯიშის ნაცვლად მწვრთნელებმა ფეხბურთის სათამაშოდ გაუშვეს.

**დარბაზში მისულს სპორტსმენებთან ერთად იაპონელ ტელეჟურნალისტთა ჯგუფი, მათი თარჯიმანი და რამდენიმე მაყურებელიც დამხვდა.** მათ შორის, ახლო წარსულის ცნობილი მორაგბე ლევან ცაბაძეც. ვარჯიშის მიმდინარეობისას მეტოქეთა შესახებ ორიოდ საინტერესო ამბავიც შევიტყვე. ბერძენი ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისი** 100 კილოში იჭიდავებს. მან პეკინის ლიცენზია კი მოიპოვა, მაგრამ ახლა თურმე აქაც აპირებს, ნაკრებს საგზური მოუტანოს. 90-ში იჭიდავებს შვეიცარიელი, მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **სერგეი აშვანდენი.**

...გუშინ ისეთებმაც ივარჯიშეს, რომლებიც ამ ტურნირზე არ ჭიდაობენ. მაგალითად, **ნესტორ ხერგიანმა (60)** თავიდანვე დაიმარტოხელა ერთი კანადელი და მთელი სავარჯიშო დროის განმავლობაში მისთვის ჩვეულად, თავდაუზოგავად გაისარჯა. სიმართლე ითქვას, ჯაბანი არც ის კანადელი გამოდგა - იმანაც კარგა ციბრუტივით იტრიალა და სისწრაფეში ნესტორს ტოლს არ უდებდა. ერთხელ იმდენად გაუთამამდა, ილეთზე წამოღებაც დაუპირა, მაგრამ ხერგიანმა მარჯვე კონტრილეთით მაშინვე ასწავლა ჭკუა.

ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** (90) ჩემგან მოშორებით - ტატამის მოპირდაპირე მხარეს ვარჯიშობდა. სიმართლე რომ ვთქვა, ჩვენი ჯილა როგორღაც დამძიმებული და მოდუნებული მეჩვენა - თითქოს მძიმედ მოძრაობდა და აკლდა ძველებური სისწრაფე. მას ოპერაციების კვალი აშკარად ეტყობა. მძიმეწონოსან **ლაშა გუჯეჯიანს** სახეზე ეწერა, რომ ყველაფერს გულიანად აკეთებდა და არა ზერელედ. როცა ილეთებს მორჩა, სახტუნელა დაიკავა და რაც ამხელა კაცმა მოხდენილად იხტუნავა, თინეიჯერებს შეშურდებოდათ. თან, შიგადაშიგ პირად მწვრთნელთან ლოკალურ პოლემიკასაც მართავდა, ვთქვათ, როგორი ტაქტიკით ეჭიდავა იაპონელ მსოფლიოს პრიზიორ **იოშეი ტაკაისთან.** საერთოდ, ვარჯიშებს მთელი გუნდი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, რაც აშკარად ეტყობოდათ სახეებზე. ბიჭები იმდენად მონდომებულნი იყვნენ, მწვრთნელებს ერთი შენიშვნაც არ დასჭირვებიათ.

იაპონელები რომ სხვა კასტას ეკუთვნიან, აქაც ეტყობოდათ - განცალკევებით ვარჯიშობდნენ და სხვებში დიდად არ ირეოდნენ, თუმცა მაინც დარბაზში კანტი-კუნტად მყოფ მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყვნენ. „მიზუნოს" გრძელ, ლურჯ ლაბადაში გახვეული ოლიმპიური ჩემპიონი **მასატო უჩიშიბა** მართლაც რომ ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ისე გულმოდგინედ ვარჯიშობდა. სხვები დროდადრო ერთმანეთს შემოახტებოდნენ და ტატამის ირგვლივ თოხარიკი ცხენებივით დარბოდნენ. ბუნებრივია, მძიმეწონოსან ტაკაის ასე იოლად ვერავინ გააჭენებდა და ამაში არც ჩართულა. სამაგიეროდ, მისი ვარჯიშების ხილვა ერთ რამედ ღირდა.

**იაპონელებთან გასაუბრების თადარიგი თავიდანვე დავიჭირე, თუმცა ვარჯიშის დამთავრებამდე რომ საუბარზე არ დამთანხმდებოდნენ, ეჭვიც არ მეპარებოდა. საბოლოოდ მართლაც ასე მოხდა, მაგრამ დროც სწრაფად გავიდა და მოჭიდავეებიც აიშალნენ. ვიდრე იაპონელები ბარგს ალაგებდნენ, დრო ვიხელთე და რამდენიმე ჩვენებურს გავესაუბრე.**

**ზურაბ ზვიადაური:** - თავდაპირველი გეგმით, ოპერაციის შემდეგ ვარჯიშები მხოლოდ 6 თვის შემდეგ - მარტში უნდა განმეახლებინა, მაგრამ დრო არ ითმენდა, სალიცენზიო ტურნირებში ჩართვას ვერ ვასწრებდი და ამიტომ დეკემბერში განვაახლე მზადება. უკვე მეორე შეკრებაც ვამთავრებ და ვერ ვიტყვი, რომ მთლად წარმატებით, რადგან პატარა ტრავმები ახლაც მაწუხებდა, თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე საჭიდაოდ მზად ვარ. ვერ დავიჩემებ, რომ მედალს მოვიპოვებ და ამას არც ვგეგმავ. სადღეისოდ ჩემი მთავარი ამოცანაა, წარმატებით მოვემზადო მომდევნო ეტაპისთვის და შედეგიანად ვიჭიდაო. ამ ტურნირს სასტარტო შეჯიბრებად განვიხილავ.

**ლომერ ჟორჟოლიანი:** - რამდენადაც ვიცი, ჩემს წონაში დიდი კონკურენცია იქნება. თავად განსაჯეთ, 100-ში ორი ოლიმპიური ჩემპიონი იჭიდავებს - ჯარჯი ზვიადაური და ბელარუსი იჰარ მაკარაუ, სხვა მედალოსნებზე რომ არაფერი ვთქვათ. მაკარაუს ბრაზილიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე კი მოვუგე, მაგრამ ახლა მთლად სასურველ ფორმაში არა ვარ - მხარი ვიტკინე და სათანადოდ ვერ მოვემზადე. ვნახოთ, რა იქნება... კიდევ კარგი, იმდენად სერიოზული ტრავმა არაა, მომდევნო ტურნირებამდე ვერ მოვირჩინო.

**ვალერი ლიპარტელიანი:** - სამწუხაროდ, ამ ტურნირს ისეთ ფორმაში ვერ ვხვდები, როგორც ჩვენი გეგმა ითვალისწინებდა - საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, ბაკურიანის შეკრებაზე ფეხი ვიტკინე და ამან შემიშალა ხელი. ტკივილების გამო რამდენიმე დღე ვერც ვვარჯიშობდი, თუმცა დიდ დატვირთვებს ვერც მერე ვიღებდი. თუმცა ყველაფერს დრო გვიჩვენებს და ვეცდები, ქომაგებს იმედები გავუმართლო. ჩემს წონაში ნაკრებშიც კი ძალიან დიდი კონკურენციაა - აქეთ მსოფლიო ჩემპიონი ცირეკიძე, იქით - ოლიმპიური ჩემპიონი ზვიადაური... ვერ ვიტყვი, რომ ჯერ მათთან საბრძოლველად მზად ვარ, თუმცა ასეთი მძაფრი კონკურენცია ჩემთვის კიდევ უფრო დიდი სტიმულია. ყველაფერს დრო და ძალიან დიდი შრომა სჭირდება.

**ლაშა გუჯეჯიანი:** - ამ წუთისთვის ცოტა წონის პრობლემაა, მაგრამ ტურნირისთვის ესეც მოგვარდება. ტურნირზე შესაძლებლობის მაქსიმუმს გავაკეთებ და რა შედეგიც არ უნდა გავაკეთო, იმას არავის ვათქმევინებ, რომ რაღაც დავაკელი. წარმატებისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

ამასობაში იაპონელთა მწვრთნელმა, მსოფლიო ჩემპიონმა **ჰიტოში საიტომაც** გამოიცვალა და კითხვებზეც გვიპასუხა.

**- უპირველესად, დიდი მადლობა საქართველოში სტუმრობისთვის. როგორც ვხედავთ, ძლიერი გუნდი ჩამოიყვანეთ. მიზნებიც შესაბამისი გექნებათ...**

- ბუნებრივია, პეკინის ოლიმპიადისთვის ვემზადებით და ჩვენთვის ყველა ტურნირი - თბილისიც, პარიზიც, ავსტრიაც და გერმანიაც მნიშვნელოვანია. აქ ჩამოყვანილთაგან ყველა ეროვნული ნაკრების კანდიდატია და ისინი ოლიმპიადაზე წასასვლელად თავდაუზოგავად ემზადებიან.

**- საინტერესოა, ამჯერად რატომ არ ჩამოიყვანეთ ჩვენი ტურნირის ხშირი სტუმარი და ჩემპიონი ტაკამასა ანაი, რომელიც ბოლო ხანებში არც ჩანს. იგი აღარ განიხილება ოლიმპიური გუნდის კანდიდატად?**

- ანაიმ მხარი იტკინა და ამიტომ არ ჩანდა, თუმცა პარიზსა და ავსტრიაში იჭიდავებს.

**- საინტერესოა, რამდენად იმოქმედებს მსოფლიო პირველობაზე წაგება მართლაც რომ ფენომენალური მონაცემების და შედეგების მქონე კეიძი სუძუკის კარიერაზე - ძველებურად გჯერათ მისი?**

- ვფიქრობ, ის წაგება სუძუკისთვის კარგი გაკვეთილი აღმოჩნდება და უფრო მეტად მოინდომებს. ალბათ, იმ მარცხიდან საჭირო დასკვნებს გამოიტანს, მეტს ივარჯიშებს და საჭირო დასკვნებსაც გამოიტანს. მისი საბოლოო მიზანიც ოლიმპიადაზე მოხვედრაა და გერმანია-ჩეხეთში გამოვცდით.

**- ბოლო წლებში მთლად წარმატებით ვერც თქვენი სახელოვანი ვეტერანები, მსოფლიოსა და ოლიმპიადის არაერთგზის ჩემპიონები - ტადაჰირო ნომურა (60) და კოსეი ინუე (+100) ჭიდაობენ. ისინიც აგრძელებენ ოლიმპიადაზე მოსახვედრად ბრძოლას თუ მიდიან სპორტიდან?**

- არა, რჩებიან და იბრძვიან პეკინში წასასვლელად. ინუეს პარიზში ვაჭიდავებთ, ნომურას - გერმანიაში.

**- თუ გავითვალისწინებთ, რომ უჩიშიბაც რჩება, ხოლო მსოფლიო ჩემპიონი ჰიროში იზუმი ძველებურად წარმატებით ჭიდაობს, გამოდის, პეკინის ოლიმპიადისთვის სერიოზულ საკადრო ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ და ქართველ ფალავნებს ისევ ძველ ნაცნობებთან მოუწევთ პაექრობები.**

- ოლიმპიადამდე ჯერ საკმაო დროა და ზუსტად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ იაპონიაში ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის და ცვლილებებს არ გამოვრიცხავ.

**მწვრთნელთან სასაუბროს რა გამომილევდა, მაგრამ დაცარიელებულ დარბაზში მარტო ჩვენ დავრჩით და მეტად არ შევაწუხე.** მით უფრო, მასატო უჩიშიბასთან გასაუბრებაც მინდოდა. ამასობაში ის ტატამის კიდესთან სასქაროდ იხდიდა თავის ჩაფართხუნებულ ლაბადას და პირად ნივთებს ფაცხა-ფუცხით ჩურთავდა ჩანთაში, რაკი დარბაზიდან გასვლას ისიც აგვიანებდა. მათი დელეგაციის ხელმძღვანელმა მომიბოდიშა, ყველანი ჩვენ გველოდებიან და გვეჩქარებაო, ფეხსაცმლის თასმების შეკვრაში გართულმა უჩიშიბამ კი ირიბად გამომხედა და ისე თავდაჯერებული კაცის იერით მითხრა, ამ ტურნირზე ვიმარჯვებ, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებო, თითქოს ჩვენი ზაზა კედელაშვილი მშობლიურ ტურნირზე მატყლის საპენტად გამოდის...

**ირაკლი თაბაძე**

ხელბურთი

პრესკონფერენცია

# ათი ათასი ერთი! ვინ გადაიხდის მეტს?

„ჩელენჯ ტროფის" მოგებით გამოწვეული სიხარული ქართული ხელბურთის სამყაროში კვლავაც არ განელებულა. გუშინ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა.

პრესკონფერენცია სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** გახსნა. მან ხელბურთელებს წარმატება მიულოცა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის დაპირებები, რაც „ჩელენჯ ტროფის" წინ აღუთქვა.

კერძოდ, სპორტის დეპარტამენტი ეროვნულ ნაკრებს დააფინანსებს ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის მოსამზადებელ ეტაპზეც და საკვალიფიკაციო ეტაპზეც. დეპარტამენტი ასევე საკუთარ თავზე იღებს ახალგაზრდული ნაკრების მომზადება-მონაწილეობის უზრუნველყოფას ევროპის ჩემპიონატში საკვალიფიკაციო ეტაპზე. ამას გარდა, დეპარტამენტი საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატსაც დააფინანსებს.

მოკლედ, დავით ნამგალაურმა მარტივად ჩამოაყალიბა ყველაფერი: სეზონის წარმატებული დასაწყისი და დამოუკიდებელი ქართული ხელბურთის ისტორიაში პირველი ტიტული კიდევ ერთი მოტივია სახელმწიფოსთვის, რომ ხელბურთს სერიოზულად მიხედოს. მთავრობა ძალიანაა დაინტერესებული ხელბურთის წინსვლით, ნაკრებს გუნდებს შეექმნებათ კარგი პირობები და დანარჩენი უკვე მათ მარიფათიანობაზე იქნება დამოკიდებული...

ამის შემდეგ, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ თევზაძემ** და ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იმედო ფხაკაძემ** ისაუბრეს. მათ მადლობა გადაუხადეს სპორტის დეპარტამენტს თანადგომისთვის და აღნიშნეს, რომ „ჩელენჯ ტროფი" უკვე წარსულია. ახლა ევროპის 2010 წლის საკვალიფიკაციო ეტაპზე, უმცროსი ასაკის ნაკრებ გუნდებზე და შიდა პირველობებზე გაკეთდება აქცენტი.

პრესკონფერენციის დასასრულ კი, სპორტის სასახლის მმართველი კომპანია „ლოჯიკ გრუპის" დირექტორმა **თამარ სეფერთელაძემ** ეროვნულ ნაკრებს სიურპრიზი მოუწყო. მან გაიხსენა ის ფაქტი, რომ განახლებულ სპორტის სასახლეში პირველი ოფიციალური შეხვედრები ხელბურთელებმა ჩაატარეს, რომლებმაც „ჩელენჯ ტროფის" ჯგუფური ეტაპი მოიგეს და გამარჯვება დაუბედეს განახლებულ არენას. სეფერთელაძის თქმით, სპორტის სასახლის ხელმძღვანელობა ძალიან გაახარა „ჩელენჯ ტროფის" მოგებამ და გადაწყვიტა, რომ ნაკრები ფინანსურად წაახალისოს. კონკრეტულად, „ლოჯიკ გრუპმა" ნაკრებს 10000 ლარი აჩუქა.



ნუგზარ სუარიძის ფოტო
თამარ სეფერთელაძე, დავით ნამგალაური, თამაზ თევზაძე, იმედო ფხაკაძე

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## ჩიკაგოს დენგი დააკლდა

"ჩიკაგო ბულზმა" ამ სეზონში მეორედ დაკარგა თავისი ერთ-ერთ ლიდერი, **ლუოლ დენგი**. სავარაუდოდ, ამჯერად კალათბურთელს უფრო ხანგრძლივი დროით მოუწევს დასვენება. მარცხენა ფეხის დაზიანების გამო, დენგი ერთიდან სამ კვირამდე იქნება თამაშგარე მდგომარეობაში.

ეს ინფორმაცია "ჩიკაგოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა, **ჯიმ ბოილანმაც** დაადასტურა, რომელმაც განაცხადა - დენგი ხანგრძლივი პერიოდით დავკარგეთო.

დაახლოებით ამდენიმე ხანს ვერ ითამაშებს, "ხარების" მცველი **კრის დუჰონი**, რომელსაც ასევე ტრავმა აწუხებს.

## ბულზი და ნეტსი მოთამაშეებს გაცვლიან?

"ჩიკაგო ბულზისა" და "ნიუ ჯერსი ნეტსის" ხელმძღვანელობა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ მოსალოდნელი ტრეიდის თაობაზე. იგეგმება "ნეტსის" ოთხი კალათბურთელის, ფორვარდების **ანტუან რაიტის** და **ბოსტჯან ნახბარის**, მცველ **მარკუს უილიამსისა** და ცენტრ **ჯამაალ მაგლოირის** "ჩიკაგოში" გადასვლა. ამ კვარტეტის ნაცვლად, "ნიუ ჯერსი" "ბულზის" ორი ლეგიონერით, არგენტინელი **ანდრეს ნოჩიონითა** და შვეიცარიელი **ტაბო სეფოლოშათი** აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას.

გუშინ ვწერდით იმის შესახებ, რომ "ნეტსში" შესაძლოა "ინდიანა პეისერსის" ცენტრი **ჯერმეინ ო'ნილი** გადავიდეს, მაგრამ ეს ჭორი კლუბის ხელმძღვანელობამ არ დაადასტურა. გარდა ამისა, "ჩიკაგო" სხვა ტრანსფერზე მუშაობს. კერძოდ, "ხარებს" კვლავ სურთ "მემფის გრიზლისის" ფორვარდის, **პაუ გასოლის** თავიანთ რიგებში ხილვა.

## მაკგრეიდი ოლ სტარზე არ იქნება?

მართალია, "ჰიუსტონ როკეტსის" ერთ-ერთი ლიდერი, **ტრეისი მაკგრეიდი** გამოჯანმრთელდა და რეგულარულ ჩემპიონატში ჩაერთო, მაგრამ "ყველა ვარსკვლავის მატჩში" მისი თამაში მაინც ეჭვის ქვეშაა. მაკგრეიდის მთელი სეზონის განმავლობაში აწუხებს მუხლის ტრავმა.

ბოლო მონაცემებით, გულშემატკივართა გამოკითხვაში ტრეისი მეორე ადგილს იკავებს დასავლეთის ვარსკვლავებს შორის. "ოლ სტარის" სასტარტო ხუთეულები დღეს გახდება ცნობილი.

*"17 თებერვალს, ნიუ ორლეანში აუცილებლად ჩავალ, მაგრამ არა მგონია, იქ თამაში შევძლო"*, - განაცხადა ტი მაკმა.

## ენტონი მომავალ კვირამდე ვერ ითამაშებს

როგორც ვიტყობინებოდით, "დენვერ ნაგეტსის" ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** "ლეიკერსთან" მატჩში მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო. თავდაპირველად, ექიმები ვარაუდობდნენ, რომ კალათბურთელი ამ კვირის ბოლოს შეძლებდა მოედანზე დაბრუნებას, მაგრამ საქმე უფრო სერიოზულად ყოფილა და ენტონი მხოლოდ მომავალ კვირას დაეხმარება თავის გუნდს.

## ფედერაცია წესებს ცვლის

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIBA) ტექნიკური კომისიის სხდომაზე, FIBA-ს ეგიდით გასამართ ტურნირებში რამდენიმე წესის შეცვლის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. კერძოდ, ფედერაცია ცდილობს მიუახლოვდეს NBA-ის სტანდარტებს.

მთავარი ცვლილებები შემდეგში მდგომარეობს. იგეგმება სამქულიანი ხაზის ფარიდან კიდევ 50 სანტიმეტრით დაშორება, გარდა ამისა, სამწამიანი ზონის ტრაპეციული ფორმა მართკუთხედად შეიცვლება.

წესებში ცვლილება მარტში, FIBA-ს ცენტრალური ბიუროს სხდომაზე უნდა დაამტკიცონ, რის შემდეგაც ის 2009 წლის 1 ოქტომბრიდან შევა ძალაში. მანამდე კი, კერძოდ ერთი წლით ადრე, ამოქმედდება წესებში სხვა, უფრო უმნიშვნელო ცვლილებები. ერთ-ერთია დიდი შესვენების 15-დან 10 წუთამდე შემცირება.

## პროკომი იშლება

პოლონური კალათბურთის გრანდს, ევროლიგის მონაწილე "პროკომს" წამყვანი კალათბურთელები ტოვებენ. ამ გუნდის ლიტველი ლეგიონერი **დონატას სლანინა** მზად არის იტალიის "მონტეპასკიში" გააგრძელოს კარიერა. ტრანსფერი უახლოეს დღეებში გაფორმდება.

სლანინა ევროლიგის 12 მატჩში საშუალოდ 11.3 ქულას და 2.0 მოხსნას აგროვებდა.

"პროკომი" სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის და ამის გამო, კლუბი კიდევ ერთ ლეგიონერს, სერბ ფორვარდ **მილან გუროვიჩს** გამოეთხოვება. ამ კალათბურთელით რამდენიმე ის კლუბია დაინტერესებული, რომლებმაც ევროლიგის მეორე ეტაპზე თამაშის უფლება გაინაღდეს.

ჭადრაკი

## ვეიკ ან ზეეს ტურნირი

**X ტური:** **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია)-**ლუკ ვან ველი** (ჰოლანდია) 1:0; **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა)-**პაველ ელიანოვი** (უკრაინა) 1:0; **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი)-**თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) 0.5:0:5; **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი)-**ბორის გელფანდი** (ისრაელი) 0.5:0:5; **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი)-**იუდით პოლგარი** (უნგრეთი) 0.5:0:5; **მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი)-**ლევონ არონიანი** (სომხეთი) 0.5:0:5; **პეტერ ლეკო** (უნგრეთი)-**ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) 0.5:0:5.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) - 6.5; 2. **ლევონ არონიანი** (სომხეთი) - 6; 3-7. **მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი), **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა), **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი), **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) - 5.5; 5. 7-10. **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) - 5; 11. **იუდით პოლგარი** (უნგრეთი) - 4.5; 13-14. 12. **ლუკ ვან ველი** (ჰოლანდია) - 4; 13. **ბორის გელფანდი** (ისრაელი) - 3.5; 14. **პაველ ელიანოვი** (უკრაინა) - 3.

კრივი

## დე ლა ჰოიამ მეტოქე გაარკვია

გაირკვა ლეგენდარული ამერიკელი მოკრივის **ოსკარ დე ლა ჰოიას** მორიგი მეტოქე. "ოქროს ბიჭად" წოდებული მოკრივე, 59 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს, ამერიკელ **სტივ ფორბსს** შეხვდება.

ცოტა ხნის წინ, დე ლა ჰოიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წელს სამ ბრძოლას გამართავს, რის შემდეგაც პროფესიულ კარიერას დაასრულებს. ფორბსთან დაპირისპირება პირველია ამ სამი ორთაბრძოლიდან.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონი ტიმმა იხსნა

"მაიამიში" **შაკილ ონილის** გადასვლის მერე, **კობი ბრაიანტი** და "ლეიკერსი" ასე ძლევამოსილად არასოდეს გამოიყურებოდნენ. კალიფორნიელები ისევ და ისევ ბრაიანტის ფენომენალური თამაშით ზემძლავრ დასავლეთში ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდად იქცნენ, გუნდური თამაში თითქმის იდეალურს მიუახლოვეს და მიუხედავად იმისა, რომ გუნდს წამყვანი ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** აკლია, "ლეიკერსი" ლიდერთა შორის იმყოფება.

"სან ანტონიო" კი არასტაბილურია. გუნდმა სეზონი 20-დან 17 შეხვედრის მოგებით დაიწყო, რის მერეც რამდენსაც იგებს, ზუსტად იმდენს აგებს. პრინციპში, მოქმედ ჩემპიონებს წამყვანი სამეულის, ანუ **ტიმ დანკანის, მანუ ჯინობილისა** და **ტონი პარკერის** ტრავმიანობამაც შეუშალა ხელი წინსვლაში, თუმცა "სპურსის" თამაში მაინც შორსაა იდეალურისგან. ეს, პირველ რიგში, დაცვაში გამოსვლას ეხება.





**ფილ ჯექსონმა** საამმატჩოდაც მშვენივრად განაწყო თავისი შეგირდები და "ლეიკერსმაც" პირველ ნახევარში აჯობა მასპინძელს, რომლის რიგებშიც ერთადერთი დანკანი თუ გამოირჩეოდა, სხვებს კი ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

ჯექსონმა დანკანის მეურვეობა ნიჭიერ, მაგრამ ზარმაც **კვამე ბრაუნს** დაავალა, რომელმაც მხოლოდ ის მოახერხა, რომ ტიმის მაგრად ეუხეშა, სამი ფოლის მიღებაც სწრაფად მოასწრო და ამის გამო, მოედანზე მხოლოდ 22 წუთი გაატარა და მატჩი 4 ქულითა და 6 მოხსნით დაასრულა.

"სპურსი" დიდი შესვენების მერელა გამოფხიზლდა და დანკანს სხვებიც შეეშველნენ. კერძოდ, სათადარიგო **იმე უდოკამ** საბოლოოდ, 18 ქულით კარიერის რეკორდიც კი დაამყარა, ხოლო **მანუ ჯინობილი** კი კობის მიენება და არგენტინელმა მატჩი მისთვის ასევე სარეკორდო, 8 (!) ჩაჭრით დაასრულა, ხოლო ბრაიანტმა კი სოლიდური ორმაგი დუბლის გაკეთების მიუხედავად, 9 შეცდომით "გამოიჩინა" თავი.

"ლეიკერსმა" რამდენიმე მნიშვნელოვან სათამაშო კომპონენტში აჯობა თანაკონფერენციელს. კერძოდ, სტუმარმა "სპურსზე" მეტი მოხსნა (48:35) დააგროვა და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ჯექსონის ბიჭებმა სამწამიანში მრისხანე მასპინძლეზე მეტი ქულითაც (44:30) გამოიჩინეს თავი, თუმცა "ლეიკერსმა" 22 შეცდომა დაუშვა და ამით მატჩის მოგების იმედი გადაიწურა.

*"როდესაც "სპურსთან" 22 შეცდომას დაუშვებ და მიუხედავად ამისა, მოგებასთან ახლოს ხარ, ესე იგი მთლად ბევრი რამ არ გვაქვს გამოსასწორებელი, თუმცა ნაგება მოგება არ არის და კმაყოფილები ნამდვილად ვერ ვიქნებით"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **დერეკ ფიშერი**. "ლეიკერსის" ვეტერანმა მსროლელმა 27 წუთში თავი 9 ქულით, 2 ჩაჭრითა და 1 შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა და ძალიან არაზუსტად (12-ში 4) შეასრულა "ცოცხალი" სროლები.

მატჩის ბედი მასპინძელთა მიერ დიდებულად ჩატარებულმა მესამე მეოთხედმა გადაწყვიტა. "სპურსმა" პირველი ოთხი წუთი 14:0 მოიგო, 59:54 გავიდა წინ, ხოლო როდესაც "ლეიკერსმა" ანგარიში გაათანაბრა, დანკანის ზედიზედ გაკეთებული 6 ქულით, ჩემპიონებმა ოპონენტს 15:5 გადაუარეს. სხვათა შორის, მეოთხედის ბოლო შვიდ წამში ვეტერანმა **ბრენტ ბერიმ** ორიდან ორი სამიანი გამოიყენა, ერთხელ კი ლამის ცენტრიდან ჩაუშვა ბურთი მეტოქის კალათში. უკანასკნელ მეოთხედში "სან ანტონიომ" მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

*"ლეიკერსი" ჩვენზე დალაგებულ კალათბურთს თამაშობს და გაგვიმართლა, რომ მესამე მეოთხედში მეტოქემ ამდენი უაზრო შეცდომა დაუშვა. დღევანდელი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე კი ულაპარაკოდ მანუა, რომელმაც კობის წინააღმდეგ დაცვაში არაჩვეულებრივად ითამაშა"*, - მიაჩნია ტონი პარკერს.

"სპურსმა" ზედიზედ მეორედ მოიგო და ოდნავ გაიუმჯობესა მოგება-წაგების მაჩვენებელი (27-13 წაგება). **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს მალე ძალიან ხანგრძლივი, ლამის სამკვირიანი გასვლითი სერია ელის, რისი მიზეზიც სან ანტონიოში ყოველწლიური როდეოა, რომელსაც "სპურსის" დარბაზიც უმასპინძლებს.

ზურაბ თალაკვაძე

**სან ანტონიო-ლეიკერსი 103:91**

23:27, 22:27, 31:12, 27:25

**სან ანტონიო:** დანკანი (28 ქ. 17 მ. 4 პ. 3 დ), უდოკა (18 ქ. 5 მ), ტ. პარკერი (16 ქ. 4 პ. 2 ჯინობილი (12 ქ. 8 ჩ. 6 მ. 4 პ), ფინლი (11 ქ), ბ. ბერი (11 ქ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (29 ქ. 12 მ. 5 პ), ტურიაფი (14 ქ. 4 მ. 4 დ), ვუიაჩიჩი (11 ქ. 7 მ), ოდომი (11 ქ. 12 მ. 3 პ).

**კლივლენდი-ვაშინგტონი 121:85**

34:26, 18:20, 43:17, 26:22

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (24 ქ. 6 მ. 4 პ. 3 დ), ლ. ჯეიმსი (23 ქ. 8 მ. 8 პ. 2 ჩ), გუდენი (178 ქ. 10 მ), დ. ბრაუნი (15 ქ), პავლოვიჩი (13 ქ. 7 პ. 4 მ).

**ვაშინგტონი:** ჰეივუდი (11 ქ. 5 მ), კ. ბატლერი (10 ქ. 5 მ), ჯეიმისონი (10 ქ), რ. მეისონი (10 ქ).

**ფილადელფია-დეტროიტი 78:86**

23:25, 18:25, 22:20, 15:16

**ფილადელფია:** უ. გრინი (16 ქ), იგუოდალა (15 ქ. 5 მ. 5 პ), ლ. უილიამსი (13 ქ), ა. მილერი (11 ქ. 5 პ), დალემბერი (8 ქ. 13 მ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (21 ქ), ბილაპსი (19 ქ. 5 პ), პრინსი (16 ქ. 4 მ. 2 ჩ), რ. უოლასი (7 ქ. 6 მ. 6 პ. 3 დ).

**შარლოტი-დალასი 95:102**

17:30, 32:27, 19:23, 27:22

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (22 ქ. 11 მ. 3 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (22 ქ. 8 მ. 5 პ), ოკაფორი (19 ქ. 10 მ), ფელტონი (16 ქ. 7 პ. 4 მ).

**დალასი:** დ. ჰარისი (23 ქ. 9 პ), ჯოშ ჰოვარდი (21 ქ. 12 მ), ნოვიცკი (20 ქ. 8 მ. 5 პ. 3 დ), ტერი (16 ქ. 2 ჩ).

**ბოსტონი-ტორონტო 112:114**

29:28, 26:29, 36:27, 21:30

**ბოსტონი:** გარნეტი (26 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), რ. ალენი (19 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), პირსი (19 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), ტ. ალენი (15 ქ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), რონდო )14 ქ. 6 მ. 4 პ).

**ტორონტო:** კალდერონი (24 ქ. 13 პ. 3 ჩ), ბოში (23 ქ. 7 მ), ე. პარკერი (23 ქ. 2 ჩ), ბარნიანი (20 ქ. 7 მ. 7 პ), დელფინო (15 ქ).

**მემფისი-ორლანდო 95:112**

28:27, 20:31, 24:28, 13:26

**მემფისი:** გეი (20 ქ. 8 მ), გასოლი (17 ქ. 11 მ. 5 პ), კონლი (13 ქ. 5 პ), მ. მილერი (10 ქ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (26 ქ. 5 მ. 4 პ), დ. ჰოვარდი (16 ქ. 10 მ. 3 დ. 2 ჩ), რ. ლიუისი (16 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), დულინგი (13 ქ. 2 ჩ), მ. ევანსი (12 ქ), ბ. კუკი (10 ქ).

**მინესოტა-ფინიქსი 117:107**

32:27, 33:23, 23:25, 29:32

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (39 ქ. 15 მ. 2 დ), იარიჩი (15 ქ. 10 პ. 8 მ), გომესი (14 ქ. 9 მ), ტელფეირი (13 ქ. 8 პ. 3 ჩ), კ. ბრიუერი (13 ქ), მაკკენტსი (7 ქ. 5 მ. 5 პ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (33 ქ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ), ნეში (21 ქ. 16 პ), რ. ბელი (18 ქ. 4 პ), ბარბოსა (13 ქ. 4 მ. 3 პ), გ. ჰილი (11 ქ. 4 მ).

**ჩიკაგო-ინდიანა 108:95**

27:24, 30:19, 22:30, 29:22

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (38 ქ. 10 პ. 7 მ. 2 ჩ), ნოჩიონი (24 ქ. 7 მ. 2 დ), ნოა (14 ქ. 15 მ. 3 დ), სეფოლოშა (14 ქ. 3 ჩ).

**ინდიანა:** გრეინჯერი (33 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), რაში (13 ქ. 4 პ), ფოსტერი (12 ქ. 11 მ. 3 პ), მ. დანლივი-უმცროსი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ), დიენერი (10 ქ).

**ნიუ ორლეანი-პორტლენდი 96:81**

20:26, 28:18, 22:15, 26:22

**ნიუ ორლეანი:** პარგო (24 ქ. 5 პ), დევიდ უესტი (24 ქ. 5 მ. 3 პ), პოლი (18 ქ. 10 პ), სტოიაკოვიჩი (12 ქ. 6 მ), ჩენდლერი (9 ქ. 14 მ).

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (17 ქ. 8 მ. 2 პ), ბლეიკი (15 ქ. 5 პ), როი (14 ქ. 7 მ. 6 პ), ტ. აუთლო (14 ქ. 4 მ. 4 პ), ჯეიმს ჯოუნსი (11 ქ).

**კლიპერსი-საკრამენტო 85:111**

22:19, 28:30, 26:15, 35:21

**კლიპერსი:** ტორნტონი (23 ქ. 9 მ. 2 ჩ. 2 დ), მაგეტი (21 ქ), კამანი (20 ქ. 21 მ. 2 ჩ. 2 დ), ტ. ტომასი (17 ქ), კასელი (12 ქ. 7 პ).

**საკრამენტო:** ბიბი (16 ქ. 5 პ), ბ. მილერი (15 ქ. 12 მ. 5 პ. 3 ჩ), კ. მარტინი (11 ქ), გარსია (11 ქ).

**დენვერი-ატლანტა 107:100**

29:17, 23:25, 26:28, 29:30

**დენვერი:** აივერსონი (29 ქ. 6 პ. 3 ჩ), კლეიზა (23 ქ. 2 ჩ), კ. მარტინი (20 ქ. 10 მ. 2 დ), კემბი (13 ქ. 21 მ/4 დ), ე. კარტერი (8 ქ. 9 პ).

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (22 ქ. 12 მ. 10 პ. 3 ჩ. 5 დ), მ. უილიამსი (20 ქ. 6 მ), ჯ. ჯონსონი (14 ქ. 5 პ. 2 ჩ), პორფორდი (14 ქ. 11 მ. 5 ჩ), ა. ჯონსონი (12 ქ. 6 პ).

**სიეტლი-ჰიუსტონი 107:109**

25:24, 34:26, 24:28, 24:31

**სიეტლი:** დიურანი (25 ქ. 2 დ), შჩერბიაკი (22 ქ. 2 ჩ), კ. ტომასი (16 ქ), უოტსონი (10 ქ. 6 პ), რიდნური (10 ქ. 8 პ), კოლისონი (3 ქ. 14 მ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (28 ქ. 5 პ), მინი (26 ქ. 12 მ. 6 პ), ალსტონი (18 ქ. 8 პ), ბატიე (11 ქ. 2 ჩ).

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო-ვაშინგტონი 3:2**

1:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 კოლგერი-9 (სტრალმანი-3), 1:1 ოვეჩკინი-39 (ვიქ. კოზლოვი-23, ემინგერი-2), 2:1 ა. სტინი-10 (სუნდინი-33, ანტროპოვი-22), 2:2 სიომინი-12 (მტეკელი-5), 3:2 სუნდინი-21 (ა. სტინი-14, ანტროპოვი-23).

**ვანკუვერი-სენტ ლუისი 3:2 (ბ)**

1:1, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კინგი-2 (პინოტი-3, მ. უოკერი-1), 1:1 ოლუნდი-7 (ჰ. სედინი-41, დ. სედინი-26), 1:2 ბოიესი-28 (კარია-31, ე. მაკდონალდი-22), 2:2 ოლუნდი-8 (ჰ. სედინი-42, სალო-6).

**ბულიტები გაიტანეს:** დ. სედინი (ვანკუვერი).

**ანაჰაიმი-დეტროიტი 1:2**

0:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 რაფალსკი-9 (ლიდსტრიომი-41, დაციუკი-41), 0:2 ფილპულა-15 (კოპეცკი-4), 1:2 პრონგერი-11 (გეტცლაფი-39, ბერტუცი-17).

## ტურის მოვლენები

- "ტორონტომ" ბოლო ხუთ მატჩში მეოთხედ მოიგო.
- ტორონტოელთა კაპიტანმა **მატს სუნდინმა** კარიერაში 544-ე გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა ყველა დროის სიაში 24-ე ადგილზე მყოფ **მორის რიშარს**.
- 37 წლის სუნდინმა 93-ედ შეაგდო გამარჯვების შაიბა. მოქმედ ჰოკეისტებს შორის, შვედს ამ მაჩვენებლით **იარომირ იაგრი** (111) და **ბრენდან შენეჰანი** (108) უსწრებენ.
- "ვაშინგტონ კეპიტალზის" ლიდერმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა** ზედიზედ მეექვსე მატჩში გატანა გოლი. 39 შაიბით, რუსი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია.

■ ■ ■

- "ვანკუვერმა" შეწყვიტა შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია.
- "ვანკუვერი" ორი პერიოდის შემდეგ აგებდა შეხვედრას. მანამდე, ეს გუნდი ასეთი სიტუაციაში 18-ჯერ იყო და ყოველთვის დამარცხებული ტოვებდა მოედანს.

■ ■ ■

- ჩემპიონატის ლიდერმა "დეტროიტმა" სტენლის თასის მოქმედი ჩემპიონი "ანაჰაიმი" სტუმრად დაამარცხა. ეს იყო "რედ უინგზის" მეცხრე მოგება ბოლო 10 გასვლით შეხვედრაში.
- "ანაჰაიმთან" ბოლო შვიდ დაპირისპირებაში, "დეტროიტს" მხოლოდ 2 მოგება აქვს.
- "დეტროიტმა" თავისი საუკეთესო ბომბარდირის, **ჰენრიკ ზეტერბერგის** გარეშე ითამაშა.

## მძლეოსნობა

პეკინი 2008

# გებრესელასიე არ იქნება?

მარათონულ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის ავტორი, სახელოვანი ეთიოპიელი მორბენალი **ჰაილე გებრესელასიე** ამბობს, რომ შესაძლოა, არ იასპარეზოს პეკინის ოლიმპიადის მარათონულ დისტანციაზე და ამის მიზეზად ჩინეთის დედაქალაქის ჰაერის ძლიერ დაბინძურებას ასახელებს. თუმცა, ის პეკინში გამგზავრებას ნებისმიერ შემთხვევაში აპირებს – თუ მარათონზე არ გამოვა, მაინც იასპარეზებს 10 000 მეტრზე სირბილში, რომელშიც მას ორი ოლიმპიური ოქრო აქვს მოპოვებული.

*"ჩვენ გარკვეული ეჭვები გაგვაჩნია. თუ პეკინის ჰაერი არ გასუფთავდა, მაშინ ჰაილეს იქ გამოსვლას აზრი არ ექნება, რადგან ამან შეიძლება მისი სპორტული კარიერის ნაადრევად დასრულება გამოიწვიოს. მას დიდი ქალაქების დაბინძურებული ჰაერისადმი ალერგია აქვს და ამის გამო, პეკინში რომც იასპარეზოს, შესაძლოა, მიზანს ვერ მიაღწიოს. ამიტომ, შეიძლება მისთვის იქ გამოსვლას აზრი არც ჰქონდეს"*, - ამბობს გებრესელასიეს მენეჯერი **იოს ჰერმენსი**.

ცნობისათვის, ჩვეულებრივ დღეებში პეკინის ატმოსფერო, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილ დასაშვებ ნორმაზე დაახლოებით ხუთჯერ მეტადაა დაბინძურებული.

ტრადიციულად, ოლიმპიადებზე მარათონული გარბენი თამაშების ბოლო დღეს ეწყობა ხოლმე. ოლიმპიადის დროს პეკინში ძლიერი გვალვებია მოსალოდნელი და ჰერმენსი შიშობს, რომ მზის ქვეშ ხანგრძლივად ყოფნა და ბინძური ჰაერით სუნთქვა მის პროტეჟეზე უარყოფითად იმოქმედებს. ამიტომ, ის თვლის, რომ შესაძლოა, გებრემ უფრო მოკლე დისტანციაზე (10 000 მეტრზე) გამოსვლა ამჯობინოს. ყოველ შემთხვევაში, ის ოლიმპიადაზე ამ დისტანციაზე მოსახვედრად იბრძოლებს, რისთვისაც ძლიერ ეთიოპიელ სტაიერებთან პაექრობა მოუწევს.

ჰერმენსის სამენეჯერო კომპანიამ შეისწავლა იმ მარათონელთა ისტორიები, რომლებმაც წინა ხუთ ოლიმპიადაზე, ძლიერ სიცხეში მოიპოვეს გამარჯვება. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ძლიერ სიცხეში ასპარეზობამ ბევრ მორბენალზე იმდენად ცუდად იმოქმედა, რომ მათ ოლიმპიური ასპარეზობის შემდეგ თავის გამოჩენა ძალიან უჭირდათ.

*"ის მეუბნება: ძალიან კარგი, თუ მოვიგე. ამით ბედნიერი ვიქნები, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, შეიძლება ჩემს კარიერას წერტილი დავუსვათო. არადა, გებრეს ძალიან უნდა ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა და თითქმის დარწმუნებულიცაა, რომ თუ პეკინში არ გამოვა, მაშინ ლონდონში მაინც შეძლებს მარათონზე ოლიმპიური ოქროს მოპოვებას"*, - დასძენს ჰერმენსი.

მარათონი ეთიოპიაში ლამის სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად მას შემდეგ იქცა, რაც **აბებე ბიკილამ** ეს უპრესტიჟულესი დისტანცია შიშველი ფეხებით მოიგო რომის (1960 წლის) ოლიმპიადაზე, შემდეგ კი ეს მიღწევა, ოღონდ ამჯერად სპორტული ფეხსაცმლით, მომდევნო ოლიმპიადაზეც (ტოკიო) გაიმეორა.

34 წლის გებრემ მარათონულ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი (2:04:26) შარშან, სექტემბერში, ბერლინში ასპარეზობისას დამყარა. ახლახანს კი, დუბაის მარათონზე, ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგით (2:04:53) გაიმარჯვა. შარშან მან ლონდონის მარათონზეც იასპარეზა, მაგრამ იმავე ალერგიის გამო, ფინიშამდე ვერ მიაღწია.

სხვათა შორის, დუბაის მარათონის ორგანიზატორები მილიონ დოლარს პირდებოდნენ იმ მორბენალს, ვინც მსოფლიოს რკორდის გაუმჯობესებას შეძლებდა. მართალია, გებრემ ეს კუში ვერ მოხსნა, თუმცა გამარჯვებისთვის 250 000 დოლარი მაინც დაიმსახურა.



გებრე დუბაის მარათონის ფინიშზე

შეგახსენებთ, რომ გებრემ ათენის ოლიმპიადაზეც 10 000 მეტრზე იასპარეზა და მხოლოდ მეხუთე შედეგს დასჯერდა. მაშინ ოქროს მისი თანამემამულე **კენენისა ბეკელე** დაეუფლა. ოლიმპიური ორი ოქროს გარდა, გებსრელასიეს 10 000 მეტრზე სირბილში მსოფლიო ჩემპიონის ოთხი ტიტულიც აქვს მოპოვებული, სხვადასხვა დისტანციებზე კი მსოფლიოს ოცზე მეტი რეკორდის დამყარება შეძლო.

რაც შეეხება პეკინის ოლიმპიადას, მის ორგანიზატორებს (რა თქმა უნდა, მთავრობის ხელშეწყობით), ოლიმპიადის დროს ქარხნების დახურვა და ქალაქის ქუჩებში ავტომობილების მოძრაობის შეზღუდვა აქვთ განზრახული. მაგრამ თუ ჰაერის პრობლემა არ გადაწყდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგე** რამდენიმე ტურნირის გადადებასაც კი აპირებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## სამთო თხილამურები



მარიო მატი

მსოფლიო თასი

# ავსტრიელთა მე-700 ტრიუმფი

ავსტრიის სამთო კურორტ შლადმინგში გამართული სლალომის ღამის რბოლა ავსტრიელი **მარიო მატის** გამარჯვებით დასრულდა, ვისთვისაც ეს მიმდინარე სეზონში მეორე, კარიერაში კი მსოფლიო თასზე მოპოვებული მეათე გამარჯვებაა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 1967 წლის შემდეგ, რაც სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასი იმართება, ეს ავსტრიელი მოთხილამურეების მიერ მოპოვებული მე-700 გამარჯვებაა.

პირველ ცდაზე საუკეთესო შედეგი იტალიელმა **მანფრედ მიოლგმა** აჩვენა. მართალია, მატს არც მეორე ცდაზე ჰქონია საუკეთესო დრო, მაგრამ ორი ცდის ჯამში, მან ყველას გაუსწრო და შლადმინგის ღამის სლალომზე მეორე გამარჯვება იზეიმა (პირველად ის 2000 წელს მოიგო), რითაც ძლიერ გაახარა რბოლის სანახავად მისული 44 000 მაყურებელი.

*"რვა წლის წინაც ზუსტად ასე მოხდა. რბოლის წინ ძლიერი წვიმა იყო, შემდეგ გამოიდარა და ჩვენ ასპარეზობის საშუალება მოგვეცა. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ შევძელი ამ პრესტიჟული რბოლის მოგება"*, - განაცხადა მატმა, ვინც სლალომში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია.

ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა წინა ორი ეტაპის მომგები ფრანგი **ჟან-ბაპტისტ გრანჟი**, ვისაც პირველი ცდის შემდეგ მესამე საუკეთესო შედეგი ჰქონდა, ორი ცდის ჯამში კი გამარჯვებულს 0.64 წამით ჩამორჩა. მიოლგი კი მას 0.01 წამით ჩამორჩა და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა

მიოლგი კარიერაში მერვედ ავიდა კვარცხლბეკზე, მაგრამ მისი უმაღლესი საფეხური ჯერ ერთხელაც არ დაუკავებია. კვარცხლბეკზე კი პირველად ოთხი წლის წინ, იმავე შლადმინგის ღამის სლალომის შემდეგ ავიდა.

### ვენგენი (შვეიცარია). კაცები. სლალომი

**1. მარიო მატი (ავსტრია) 1:42.84 (50.29, 52.55); 2. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 1:43.48 (50.87, 52.61); 3. მანფრედ მიოლგი (იტალია) 1:43.49 (50.21, 53.28); 4. ტედ ლიგეტი (აშშ) 1:43.54 (51.64, 51.90); 5. ფელიქს ნოიროითერი (გერმანია) 1:44.00 (50.91, 53.09); 6. ჟულიან ლიზერუ (საფრანგეთი) 1:44.15 (51.20, 52.95); 7. მარკუს ლარსონი (შვედეთი) 1:44.39 (52.49, 51.90); 8. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:44.47 (51.14, 53.33); 9. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:44.57 (51.50, 53.07); 10. აკირა სასაკი (იაპონია) 1:44.60 (52.42, 52.18)...**

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 892; 2. ბოდე მილერი (აშშ) 831; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 794; 4. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 636; 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 572; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 567; 7. მანფრედ მიოლგი (იტალია) 518; 8. მარიო მატი (ავსტრია) 440; 9. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 402; 10. კალე პალანდერი (ფინეთი) 367...**

ჰოკეი

### მსოფლიოზე ოთხი მსაჯის სისტემას შემოიღებენ

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი სიახლე იქნება. მატჩებს ოთხი არბიტრი მოემსახურება - ორი მთავარი და ორი ხაზის მსაჯი. აქამდე, მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებს სამი არბიტრი სჯიდა. *"ჩვენმა გამოკვლევებმა დაადასტურეს ამ სისტემის უპირატესობა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მისი 2008 წლის ჩემპიონატში დანერგვა"*, - განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა **რენე ფაზელმა**.

### ბრიზგალოვის ახალი კონტრაქტი

"ფინიქს კოიოტზმა" რუს მეკარესთან, ილია ბრიზგალოვთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, ჰოკეისტი უეინ გრეტცკის გუნდში კიდევ სამ სეზონს გაატარებს და ჯამში 12.75 მილიონ დოლარს მიიღებს.

27 წლის ბრიზგალოვი ამ სეზონის მსვლელობისას "ანაჰაიმიდან" გადავიდა "ფინიქსში" და ახალი გუნდის შემადგენლობაში 28 მატჩის ჩატარება მოასწრო. აქედან 16 მატჩში ის გამარჯვებული გამოვიდა. ბრიზგალოვი საშუალოდ თამაშში 2.33 შაიბას უშვებს.

### მეფეები კარგ მეკარეს ეძებენ

"ლოს ანჯელეს კინგზი" ძლიერი მეკარის დამატებით არის დაინტერესებული. ამ მიზნით, "მეფეების" გენერალური მენეჯერი **დუგ ლომბარდი** მზადაა თავისი გუნდის სამ მოთამაშეს შეელიოს. ტრეიდისთვის გაამზადეს მცველები **რობ ბლეიკი** და **იაროსლავ მოდრი** და ფორვარდი **ლადისლავ ნადი**.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, ყველაზე სავარაუდოა გაცვლა "კინგზსა" და "ოტავა სენატორზს" შორის. ამ უკანასკნელს პლეიოფის წინ, დაცვის ხაზის გაძლიერება სურს. "ოტავას" ორი თანაბარი ძალის მეკარე ჰყავს - მარტინ გერბერი და რეი ემერი და არ არის გამორიცხული, კლუბი ერთ-ერთს შეელიოს.

## TV სპორტი

### 25 იანვარი. პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:30 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი.
15:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ტვენტე.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:30 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-სტ. ეტიენი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:10 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი.
01:00 საფეხბურთო კლუბი.
01:50 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

09:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. V ეტაპი. ახალი ზელანდია.
09:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:10 სპორტდოსიე.
10:35 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
11:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. პანათინაიკოსი-ფენერბაჰჩე.
12:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი.
14:30 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. მალიორკა-რეალი.
16:15 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. რეალი-მალიორკა.
18:00 სპორტდოსიე.
18:27 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ჰამბურგი.
20:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:25 გოლფი. მიმოხილვა.
20:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
21:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:06 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. 1/4 ფინალი. დინამო (კ)-რეალი.
00:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:57 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ბრძოლები.
02:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. პანათინაიკოსი-ფენერბაჰჩე.
04:20 სპორტდოსიე.
04:49 ფეხბურთი. Barca TV.
04:56 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი.
06:46 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ჰამბურგი.
08:30 ფეხბურთი. Barca TV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

#### EUROSPORT

11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. მელბურნი.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. მელბურნი (LIVE).
15:15 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
17:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. თავისუფალი პროგრამა. ზაგრები. ხორვატია.
18:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. კოტ დ'ივუარი-ბენინი. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
23:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-მალი. განა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
02:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვა. ზაგრები. ხორვატია.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლო.
06:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. ფინალი. მელბურნი (LIVE).

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ალმერია (ესპანეთი).
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა-ნამიბია. განა.
15:00 ავტოსპორტი. აზიური სერია. I რბოლა. დუბაი. საემიროები (LIVE).
16:15 ახალი ამბები.
17:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
18:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ალმერია (ესპანეთი).
18:45 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
19:45 მულტისპორტი.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. H134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. კანადა (LIVE).
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. VII ტური. ოში-ტულუზა (LIVE).
01:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
01:45 ახალი ამბები.
02:15 ავტოსპორტი. აზიური სერია. I რბოლა. დუბაი. საემიროები.
03:15 ახალი ამბები.

## ახალი ხაზი

### ფეხბურთი

#### აფრიკის თასი. A ჯგუფი

**გვინეა-მაროკო 3:2**

გვინეა: კ. კამარა, ბალდე, ი. კამარა (81. ზაიატი), ჟაბი, კალაბანე, ის. ბანგურა, მ. სისე, მანსარე (78. საკო), სილა, ფეინდუნო, იულა (77. კ. სისე).

მაროკო: ფუჰამი, შრეტიენი, ალ-ქადური, ერბატე, უადუ, ჰაჯი, ხარჯა (55. აბუშერუანი), კისი, საფრი, ზერკა (80. ელ-მუბარკი), სექტიუი (62. შამახი).

გოლები: 1:0 ფეინდუნო (11), 2:0 ის. ბანგურა (59), 2:1 აბუშერუანი (60), 3:1 ფეინდუნო (63-პენ), 3:2 უადუ (90)

გაძევება: ფეინდუნო (67. გვინეა)

მაყურებელი: 14 000

**განა-ნამიბია 1:0**

განა: რ. კინგსტონი, ადო, მენსა, პანტსილი, სარპეი, ესიენი, ლ. კინგსტონი (64. აიევი), აგოგო, გიანი (65. ბაფური), მუნტარი, ოვუსუ-აბეიე.

ნამიბია: მბაპა, გარისები, მ. პიენაარი, ტორომბა, ბენჯამინი, ბრენდელი (84. შატიმუანი), იაკობსი, ნგატიიზეკო, პლაატიესი (64. კაიმბი), რისერი, ბესტერი (69. პინეასი).

გოლი: 1:0 აგოგო (41)

მაყურებელი: 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. მაროკო | 2 | 1 | 0 | 1 | 7-4 | 3 |
| 3. გვინეა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 4. ნამიბია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ლიბერტი-ზენიტი | 0:2 |
| საარბაკი-დინამო კ | 0:3 |

#### ინგლისი. კონფერენცია

| | |
|---|---|
| ფარსლი-სტივენიჯი | 0:0 |

#### იტალიის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

| | |
|---|---|
| ლაციო-ფიორენტინა | 2:1 |

#### ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

| | |
|---|---|
| რასინგი-ატლეტიკი | 2:0 |
| ვილარეალი-ბარსელონა | 0:0 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ბორდო-სტ. ეტიენი | 1:0 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი-ტვენტე | 3:1 |

#### თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| დემირი-მანისა | 2:1 |
| ტრაბზონი-გენჩლერი | 3:2 |

### კალათბურთი

#### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ოლიმპიაკოსი | 88:75 |
| პანათინაიკოსი-ულკერი | 88:68 |
| მაკაბი-მილანი | 91:76 |
| რუანი-რეალი | 68:82 |
| ოლიმპია-ვირტუსი | 75:60 |
| პარტიზანი-ბამბერგი | 85:37 |

### ხელბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ისლანდია | 33:26 |
| პოლონეთი-ჩერნოგორია | 39:23 |
| საფრანგეთი-უნგრეთი | 28:31 |
| დანია-სლოვენია | 28:23 |
| ნორვეგია-ხორვატია | 23:23 |
| გერმანია-შვედეთი | 31:29 |

### ჰოკეი

#### გერმანია

| | |
|---|---|
| იზერლონი-ჰანოვერი | 7:3 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| კალპა-კერპეტი | 2:5 |
| პელიკანსი-ესპოო ბლუზი | 2:1 |
| ტპს-ესატი | 4:2 |
| ჰიფკ-იოკერიტი | 5:4, ოტ. |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-ლიტვინოვი | 1:2 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| სკელეფტეა-ლულეა | 3:2, ოტ. |
| ბრიუნესი-ჰვ 71 | 2:5 |
| მოდო-ლინშეპინგი | 2:4 |
| სოდერტალიე-იურგორდენი | 2:3, ოტ. |
| [illegible] | 4:1 |
| ფრიოლუნდა-ფიოლუნდა | 5:4, ოტ. |

ჩოგბურთი

## უილიამსები ნაკრებს განუდგნენ

ახლოვდება ქალთა შორის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური ეტაპი, რომელიც 2-3 თებერვალს უნდა გაიმართოს.

ერთ-ერთ წყვილში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ამერიკისა და გერმანიის ნაკრებები. შეხვედრა აშშ-ში წარიმართება და ადგილობრივი გუნდი მეტოქეს შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდება. ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში ხელმოცარულმა დებმა - **სერენა და ვენუს უილიამსებმა** უარი განაცხადეს გერმანიასთან თამაშზე.

ასე რომ, მასპინძელთა ნაკრების შემადგენლობა შემდეგი ჩოგბურთელებით დაკომპლექტდება: **ლინდსი დავენპორტი** (51-ე ჩოგანი), **ეშლი ჰარკლროუდი** (58), **ლორა გრენვილი** (72) და **ლიზა რეიმონდი**.

უკვე ცნობილია გერმანელთა შემადგენლობაც. კორტზე გასასვლელად მზად არიან: **ტატიანა მალეკი, იულია გიორგესი, საბინ ლისიცკი** და **ანა-ლენა გრიონეფელდი**.

## პანტუხოვა ფედერაციის თასზე იქნება

ფედერაციის თასის მეოთხედფინალში ჩეხოსლოვაკიის ყოფილი წარმომადგენლები, ჩეხეთი და სლოვაკეთი შეხვდებიან ერთმანეთს.

სლოვაკეთის ნაკრების ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ნაკრებში თამაშზე თანხმობას განაცხადებს გუნდის ლიდერი, **დანიელა ჰანტუხოვა**, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობაზე შესანიშნავი თამაში აჩვენა და მხოლოდ ნახევარფინალში წააგო სერბ **ანა ივანოვიჩთან**.

*"გასულ წელს, დანიელა დაგვპირდა, რომ ჩეხების წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებდა. იმედი გვაქვს, ის არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას"*, - აცხადებს სლოვაკეთის ნაკრების კაპიტანი **მოიმირ მიხალი**.

უკვე ცნობილია, რომ სლოვაკთა რიგებში ითამაშებენ **დომინიკა ციბულკოვა, მაგდალენა რიბარიკოვა** და **ჟანეტ გუსაროვა**. თუ ჰანტუხოვამ მაინც უარი თქვა, მის ადგილს ნაკრებში **კრისტინა კუკოვა** დაიკავებს.

სლოვაკები საკუთარ მოედანზე ეთამაშებიან ჩეხებს.

## ისრაელმა შემადგენლობა გაარკვია

ისრაელის ნაკრები საკუთარ მოედანზე **მარია შარაპოვათი** გაძლიერებულ რუსეთის ნაკრებს შეხვდება.

მასპინძელთა გუნდს ეყოლება თავისი ლიდერი, მსოფლიოს მე-17 ჩოგანი **შაჰარ პეერი**. მისი თანაგუნდელები იქნებიან **ზიპორა ობზილერი, კერენ შლომო** და **იულია გლუშკო**.

ეს მეოთხედფინალი ქალაქ რამატ ჰაშარონის კორტებზე გაიმართება.

## ავსტრალიას ჰიუიტი გაუძლიერებს

ფედერაციის თასის მეოთხედფინალიდან ერთი კვირის შემდეგ, სტარტს აიღებს მამაკაცთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი - დევისის თასი.

ამ სეზონში ავსტრალიის ნაკრებს მსოფლიო ჯგუფში დასაბრუნებლად უწევს ბრძოლა და ამაში გუნდს ავსტრალიური ჩოგბურთის ლიდერი, **ლეიტონ ჰიუიტი** დაეხმარება. "მწვანე კონტინენტის" წარმომადგენლებმა სტუმრად, ტაივანის ნაკრების წინააღმდეგ უნდა ითამაშონ.

ჰიუიტის გარდა, ავსტრალიელთა კაპიტანმა **ჯონ ფიტცჯერალდმა** გუნდში **კრის გუჩიონე, ალან ჯონსი, ჯოზეფ სირიანი** და **პოლ ჰენლი** მიიწვია.

## ჩანგი დიდების დარბაზში

როლან გაროსის 1989 წლის ჩემპიონს, ამერიკელ **მაიკლ ჩანგს** ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანენ. საზეიმო ცერემონია 12 ივლისს, ამერიკის ქალაქ ნიუპორტში გაიმართება.

ჩინური წარმოშობის ამერიკელს ATP-ის ტურის 33 ტურნირი აქვს მოგებული. აქედან ერთხელ, 17 წლისა და 3 თვის ასაკში, მან "დიდი სლემის" ტურნირზე გაიმარჯვა (საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში შვედი **სტეფან ედბერგი** დაამარცხა).

მსოფლიო კლასიფიკაციაში საუკეთესო პოზიცია ჩანგს 1996 წლის სექტემბერში ეკავა - ის რეიტინგში მეორე ადგილამდე ალზევდა.

ფორმულა 1

## ჯაშუშობა მკაცრად დაისჯება

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA) მკაცრ ბრძოლას უცხადებს ფორმულა 1-ში გუნდებს შორის ჯაშუშობას. *"ნებისმიერი საჯინიბო, რომელიც რაიმე სახის ჯაშუშურ ისტორიაში გაეხვევა, ჩემპიონატიდან იქნება დათხოვნილი"*, - განაცხადა FIA-ს პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ**.

მოსლი იმედოვნებს, რომ 2008 წლის სეზონი სხვაგვარად წარიმართება, ვიდრე გასული წელი, რომელიც ხმაურიანი იყო "მაკლარენისა" და "ფერარის" შორის მომხდარი გახმაურებული ისტორიის გამო. ამის გამო, პრეზიდენტმა საჭიროდ ჩათვალა წინასწარ გაეფრთხილებინა გუნდები, რომ მსგავსი ისტორიის გამეორების შემთხვევაში, სანქციები ძალიან მკაცრი იქნება.

შეგახსენებთ, რომ შარშან, "მაკლარენი" 100-მილიონიანი ჯარიმით დაისაჯა, გარდა ამისა, მას კონსტრუქტორთა დავაში მოპოვებული ქულები ჩამოართვეს, თუმცა ჩემპიონატში ადგილი შეუნარჩუნეს.

*"ამიერიდან, ნურავის ექნება იმედი, რომ მათ ჩემპიონატში ადგილი შეუნარჩუნდებათ. "მაკლარენის" შემთხვევაში ყველანი ამბობდნენ: "წარმოგიდგენიათ, 100 მილიონი ჯარიმა!" მაგრამ ალტერნატიული სასჯელი შესაძლოა ჩემპიონატიდან გარიცხვა ყოფილიყო"*, - ამბობს მოსლი.

ჰოკეი

## კოვალჩუკმა დისკვალიფიკაცია მიიღო

"ატლანტა ტრეშერზს" რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის ჩატარება თავისი საუკეთესო სნაიპერის, **ილია კოვალჩუკის** გარეშე მოუწევს. რუსმა ლეგიონერმა "ნიუ იორკ რეინჯერსთან" მატჩში უხეშად ჰკრა ხელი მეტოქე მცველს, **მიხალ როჟსივალს**. ამ ინციდენტის შემდეგ, კოვალჩუკის მატჩის ბოლომდე გააძევეს მოედნიდან, ახლა კი, NHL-მ მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

## რეინჯერსი ლიჩს დააფასებს

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დააფასოს ამ კლუბისადმი ლეგენდარული მცველის, **ბრაიან ლიჩის** ღვაწლი. ამ ჰოკეისტს სამუდამო მფლობელობაში გადასცემენ მეორე ნომერს. "მედისონ სკვერ გარდენის" ჭერში ლიჩის მაისურის აღმართვის ცერემონია დღეს, "რეინჯერსისა" და "ატლანტას" მატჩის წინ გაიმართება.

აქამდე, "რეინჯერსის" ისტორიაში მსგავსი პატივი ოთხ მოთამაშეს ხვდა წილად - **როდ გილბერტს, ედ ჯაკომინს, მაიკ რიხტერსა** და **მარკ მესიეს**.

*"როცა ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს "რეინჯერსის" მოთამაშე, პირველ რიგში ბრაიან ლიჩის მაგალითი მოგვყავს. ის სრულად შეესაბამება წარმოდგენას ჩვენი კლუბის შესახებ"*, - აცხადებს "რეინჯერსის" გენერალური მენეჯერი **გლენ სატერი**.



ავსტრალიის ღია პირველობა

# ფანტასტიკური ცონგა

მიმდინარე საჩოგბურთო სეზონის დიდი სლემის სერიის პირველი ტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ქალთა ბადეში უკვე გამოვლინდა ორივე ფინალისტი, კაცებში კი ჯერ მხოლოდ ერთი ფინალისტია ცნობილი და თანაც, სენსაციური – ტურნირის ჩემპიონის სახელისათვის იბრძოლებს ფრანგი **ჟო-ვილფრედ ცონგა**, რომელმაც ნახევარფინალში ტურნირი დაატოვებინა მსოფლიოს მეორე ჩოგანს ესპანეთიდან, **რაფაელ ნადალს**. ქალთა ფინალში კი ერთმანეთის პირისპირ დადგებიან რუსი **მარია შარაპოვა** და სერბი **ანა ივანოვიჩი**.

მეოთხედფინალი რომ გაიარა, ნადალმა განაცხადა, ამას მე თვითონაც არ ველოდი. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, თუ ნახევარფინალში გზას ის ჩოგბურთელი გადაუღობავდა, ვისაც მანამდე დიდი სლემის ტურნირებზე მხოლოდ ოთხჯერ ეთამაშა. 22 წლის ცონგას ატპ-ს ერთი ტურნირიც არ აქვს მოგებული, რისი მიზეზიც წელისა და ორივე მხრის ხშირი ტრავმებია. ეს მაშინ, როცა მისი თანატოლი ნადალი ზედიზედ სამჯერ გახდა საფრანგეთის ღიას ჩემპიონი და კარგა ხანია, რეიტინგში მეორე საფეხურზე დამკვიდრდა.

*"რაფაელი ყოველთვის უმაღლეს დონეზე გამოდის. მის წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია, თუმცა მატჩის დროს ამაზე არ ვფიქრობდი. უბრალოდ, მთელი ყურადღება საკუთარ თამაშზე გადავიტანე. კორტზე ისე ვმოძრაობდი, როგორც არასდროს. თანაც, ყველაფერი კარგად გამომდიოდა"*, - განაცხადა ცონგამ, ვინც ნახევარფინალამდე, ტურნირი დაატოვებინა ისეთ ძლიერ მეჩოგნეებს, როგორებიც არიან ბრიტანელი **ენდი მარეი**, ფრანგი **რიშარ გასკე** და რუსი **მიხაილ იუჟნი**.

*"უნდა ვაღიარო, რომ მან შესანიშნავად ითამაშა. სულის მოთქმის საშუალება წამითაც არ მოუცია. თანაც, ისე ურტყამდა, გეგონებოდა, მოკვლას მიპირებსო. მოწოდებაც ბრწყინვალე აქვს. მოკლედ, ყველა სათამაშო კომპონენტში მაჯობა. ბექჰენდზე შეცდომას პრაქტიკულად არ უშვებდა. არანაკლებ ძლიერია მისი ფორჰენდიც. მოკლედ, ისღა დამრჩენია, გამარჯვება გულითადად მივულოცო"*, - განაცხადა ნადალმა.

ესპანელის თქმით, ის საკმაოდ კარგად თამაშობდა იმისათვის, რომ ტურნირიც კი მოეგო, მაგრამ ფრანგ მთა-კაცს გადაეყარა და ფინალამდე ამიტომ ვერ მიაღწია.

*"მე ძალიან კარგად ვთამაშობდი, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა იმისათვის, რომ ცონგა დამემარცხებინა. ის შესანიშნავი ჩოგბურთელია ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე ითამაშებს ფინალსაც, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება. ის შესანიშნავ ფორმაშია, წარმოუდგენლად სწრაფად გადაადგილდება, ბადესთან ხშირად გადის და თავისი დიდი ხელებით თითქმის მთელ კორტს ფარავს"*, - განაცხადა ნადალმა.

ფრანგმა თამაში ნერვიულად დაიწყო – ბურთის პირველი ორი გათამაშება იოლად დათმო, მაგრამ მალე დამშვიდდა და ტიტულოვანი მეტოქის დაბომბვას შეუდგა. ნადალი ამას არ ელოდა. მან რამდენჯერმე სცადა ტაქტიკის შეცვლა, მაგრამ მეტოქე ყოველთვის ალღოს ულებდა.

ცონგამ ნადალის პირველივე სერვის-გეიმი მოიგო, რამაც ესპანელი ფსიქოლოგიურად გატეხა. მან ვერაფრით დაუბრუნა ხურდა ფრანგს, რომელმაც სეტის ბოლომდე კიდევ ერთი ბრეიკის აღება მოასწრო.

მეორე გეიმის დასაწყისში, ორივე ჩოგბურთელი თავის მოწოდებაზე ქულის აღებას ახერხებდა. მაგრამ თუ ფრანგს ეს იოლად გამოსდიოდა, ნადალს ბრეიკ პოინტების მოსაგერიებლად გარჯა უწევდა. სხვათა შორის, მთელი შეხვედრის განმავლობაში, რომელიც საათი და 57 წუთი გრძელდებოდა, ცონგამ 17 ეისი მოაწოდა. ნადალი აშკარად გაძლებაზე იყო, ცონგა კი შეტევით არ იღლებოდა. რაც იმას ნიშნავდა, რომ ადრე თუ გვიან, ესპანელი თავის სერვის-გეიმს დათმობდა.

მერვე გეიმში სწორედ ასე მოხდა. ცონგას სულ ერთი ბრეიკ პოინტი ეყო გადამწყვეტი გეიმის მოსაგებად. ეს ქულა მან ბადესთან მორიგი გასვლით (სულ შეხვედრაში ბადესთან ორმოცჯერ გავიდა) მოიპოვა, რის შემდეგაც, იოლად მოიგო თავისი სერვის გეიმი და სეტებში 2:0 დაწინაურდა.

მესამე სეტის დასაწყისში ნადალმა კიდევ გაიბრძოლა. შედეგად, მეორე გეიმში მან ამ შეხვედრაში პირველად მოიპოვა ბრეიკ პოინტი, მაგრამ მისი ქულად გარდასახვა ალარ გამოუვიდა. უფრო სწორედ, ამის საშუალება მეტოქემ არ მისცა. მომდევნო გეიმში კი თავად მოუხდა ბრეიკების მოსაგერიებლად ბრძოლა, მაგრამ მის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა ცონგას საქმე გაუადვილა. ფრანგმა კიდევ ერთი ბრეიკი მეშვიდე გეიმში აიღო და ამით, პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. გამარჯვების ქულა კი ეისით მოიპოვა.

შარაპოვა იოლად გაუსწორდა სერბ **ელენა იანკოვიჩს** და ზედიზედ მეორედ გავიდა ავსტრალიის ღიას ფინალში, სადაც შარშან **სერენა უილიამსთან** დამარცხდა. სხვათა შორის, იანკოვიჩმა თამაშის დროს მასაჟისტის დახმარება მოითხოვა – წელის ტრავმამ, რომლის გამოც, ნახევარფინალში მას არავინ ელოდა, ბოლოსდაბოლოს თავი იჩინა.

შარაპოვა კი ფინალში ისე გავიდა, ერთი სეტიც არ დაუთმია. ნახევარფინალური შეხვედრის დასაწყისში, მან ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო, მაგრამ შემდეგ, თავის სერვის-გეიმზე, როცა სეტზე აწოდებდა, ანერვიულდა, რამაც ცუდი სამსახური გაუწია. სერბმა ამით ისარგებლა და ზედიზედ სამი გეიმი მოიგო, მაგრამ უფრო მეტის საშუალება რუსმა ალარ მისცა. მეორე სეტიც თითქმის ანალოგიური სცენარით წარიმართა. ოღონდ ამჯერად შარაპოვა ალარ ანერვიულებულა და მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო იანკოვიჩს.

უფრო დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარფინალური შეხვედრა, რომლის პირველი სეტი ჰანტუხოვამ მშრალად მოიგო. მანვე მეორე სეტის პირველი ორი გეიმიც მოიგო და 2:0 დაწინაურდა. ივანოვიჩმა პირველი ქულა მეორე სეტის მესამე გეიმში აიღო და ამის შემდეგ, თამაში მთლიანად შეიცვალა. ახლა უკვე სერბი იყო აგრესორი, სლოვაკს კი მეტწილად ბურთის მოსაგერიებლად გარჯა უწევდა. ივანოვიჩმა ჯერ საპასუხო ბრეიკი აიღო, შემდეგ კი სეტის ბოლომდე მხოლოდ ერთი გეიმი დათმო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტის მეექვსე გეიმში ჰანტუხოვას ბრეიკის შანსი მიეცა, მაგრამ მარტივ სიტუაციაში უზუსტოდ დაარტყა. სამაგიეროდ, მომდევნო გეიმში სერბმა შეძლო მისი მოწოდების აღება, მეათე გეიმში კი შეხვედრას წერტილი დაუსვა.

**კაცები. ნახევარფინალი**

ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრ)- რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:2, 6:3, 6:2

**ქალები. ნახევარფინალი**

მარია შარაპოვა (რუს, 5)-ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3) 6:3, 6:1

ანა ივანოვიჩი (სერბ, 4)-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9) 0:6, 6:3, 6:4



ცონგას ჟურნალისტებმა მეტსახელად "ჩოგბურთის მუჰამედ ალი" შეარქვეს

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა